

52 /
184 / 2

ISSN 0134 3450

საქართველოს
საბჭოთავო მკვლევართა
კავშირების

ქართული

1984

5



652/1
1984/2

ჭოჩოსი

საბავშვო-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს მშვიდობა კავშირისა
და აჭარის განყოფილების
ორგანო

გამოცემის 26-ე წელი

5
1984

რა მშვენიერი ზღვა გვადევს, აჭარა,
რა მომავალი, ძვირფასი ბუდე...
ქალაქი — ჩვენი ქუყნის ღანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

ქმედებანი
ოქტომბერი



გათუბი

აჭარის უზენაეს-განყოფილების გამომცემლობა

პოეზია, პროზა

ნანა გვარიშვილი	3 ლექსები
რევაზ ოსეტაიშვილი	5 ჩემი დუმილი შენი განაჩენია, (რომანის ფრაგმენტები)
შოთა ზოიძე	16 ლექსები
ჭემალ ჩხეიძე	21 ქარბორბალა (მოთხრობა)
ვახტანგ ღლონტი	23 ლექსები
ჭემალ ხოფერია	30 ლურჯი ცის ნაკერი (მოთხრობა. დასასრული)
სულიკო დიასამიძე	39 ახალგაზრდობა (ლექსი)
ბაბო ხვედელიძე	40 ლექსები
ნიკოლოზ ალელიშვილი	44 მერცხლების დაბრუნება (ლექსი)
ლევან ანანიძე	45 ლექსები

ნარკვევი

ალექსანდრე პაქსაძე	42 ტყე შეტუნაზე შეილებსა...
--------------------	-----------------------------

გამარჯვების 40 წლისთავისათვის

ღავით აბუხერიძე	46 ხომალდი და ადამიანი
მერაბ დონდოლაძე	48 ომგადახდილი ქალის ამბავი
ალექსანდრე ანანიძე	50 მამის სურათთან (ლექსი)

ვენატე ნინოშვილის დაბადების 125 წლისთავი

იოსებ მეგრელიძე	51 „ღვაწლი ამოდ არ ჩაივლის“ (დასასრული)
-----------------	---

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მიხეილ მახარაძე	61 ზურაბ კაკაბაძე
ასნათ ველაძე	67 საინტერესო მოთხრობა

წერილები

ღავით ხახუტაიშვილი, ამირან ვახიძე, სერგო ვოგიტიაძე,	70 არქეოლოგიური ავღევა-ძიებანი ახალმშენებლობათა მოედნებზე
ზურაბ კომახიძე	80 აღზრდა — უპირველესი საზრუნავი
მაია ბარამიძე	84 ტბელის ენა
გულდერი დიასამიძე	87 ჩვენი საერთო საქმე
ცინტლა ქვლივიძე	91 „ოტელოს“ პირველი ქართული თარგმანის გამო
	93 გასულ ორ თვეში

გარეკანის 1-ლ გვერდზე — ბათუმი. სკვერი ლენინის პროსპექტზე, მხატვარი ა. ლომაძე.

მშვიდობის სახელით

1950 წელს სტოკჰოლმში ფრედერიკ ჟოლიო კიურიმ პირველმა მოაწერა ნელი მოწოდებას ატომური იარაღის გამოყენების წინააღმდეგ

სიკეთის მარცვალს თესდა გონება,
წამი შეჩერდა უეცრად მაშინ,
როცა სიცოცხლე შთაინთქა ალში
ყუმბარის ფერფლად ხიროსიმაში...
როცა სულდგმული შთაინთქა ცეცხლში,
შეძრწუნდა მაშინ გონების ღმერთი,
ახლაც ჩამოსდის კეთროვან მიწას
ულმობელ ბომბის მწვანე ნალვენთი...
მაგრამ ადანთო აზრი ზომალდმა,
ცაში აჭრილმა ზღაპრულმა გემმა,
ცაში ავიდა პირველი კაცი
და დედამიწის სუნთქვა აგემა.
თან ახლდა მიწის კერიის ალი
გვიან გამომცხვარ ოცნების კვერში,
გონების ღმერთი თვით იქცა ღმერთად
ცისარტყელების ზეიმის ფერში.

კუხის სალვადორ ალიენდეს სახელით უნივერსიტეტში

თავისუფლებისათვის დაცემული მებრძოლნო, სიკვდილის შემდეგაც არ ძალუძთ თქვენი დაძლევა და ჩემი ხალხის გამარჯვების ნათელი რწმენა საყოველთაო სიხარულის ჰიმნად იქცევა

პაბლო ნერუდა

მოედინება ახალგაზრდობა,
ლოყა უბრწყინავს ყვავილებს ფერადს,
და ალიენდეს გულივით ანთია
ცოდნის სამჭედლოს გიზგიზა კერა.

17708

აქ დღენიადაგ თესავენ სიბრძნეს
დიდი მოძღვრების უტყუარ თესლით,
სამშობლოს უზრდის მედგარ თაობებს
ჩილეს პრეზიდენტის უკვდავი ფესვი.

დიდება შრომას!

სოციალისტური შრომის გმირს ნათელა ჩელებამეს, რომელმაც
პიონერულ ასაკში დამსახურა ეს წოდება

ყელსახვევიანი ბავშვთა ლაშქარის
გმირულ ბრძოლებზე ისევ მღერიან,
შენს სახელოვან შრომით ამაყობს
ჩვენი გმირული პიონერია.
თოლიის ფრთებში ათრთოლებს აფრა
მაგნოლიების უთეტრეს ყვავილს,
ჩვენს რესპუბლიკას ამკობს, აზარებს
ჩაის დოვლათის მადლი და ხვავი.
ბუჩქებზე ელავს უნაზეს ვარდად,
ჭიქაში ბრწყინავს უტკბილეს მაჭარად,
დიდება ჩვენს ქალებს, დიდება შრომას,
სულ დღეგრძელობდეს ჩვენი აჭარა!

3 0 6 0...

უზბეკეთის სახალხო პოეტ ქალს ზულფიას.

შენს სამარყანდის უძველეს მიწას
უნდა უწმინდეს ფიქრით ვეახლო,
ბამბის ფოთლებში ჩავმალო სევდა
ნადირას ცვრიან ლექსების ახლოს...
ვიცი, შენი ცის მხურვალე მიწა
აღარ ახურავს მის ლექსებს ჩაჩქანს,
ვიცი, მთრთოლვარე სიმების კვნესა
ყინულოვან ჭის წვეთებში ჩარჩა...
ლაჟვარდის ფერით მოჰყვება წყაროს,
ვარდისფერ სხივად ადგება თავთავს
და უზბეკეთის ბამბის თეთრ ველებს
მგზნებარე ლექსის სტრიქონით ართავს.

ჩემი დუმილი შენი განაჩენია

მაგრამ მე უფრო აღარ ვუგდები. ახლა უკვე სხვაგან ვიყავი, სხვაგან ქროდა ჩემი ფიქრები. ჩემს თავზე გული მომდიოდა, ნაქმე რომ გავიჩინე და ზაბაბალა ავითებე. მე და მარიკას ყველა შიშის თვალით გვიყურებდა. იოლად ვერავის ვარწმუნებდით, რომ სატანკო კოლონის „ნორჩი პიონერის“ ასაგებად შესატანი თანხის გადახდა არ მოუწევდა. ზოგიერთი ბიჭის საქციელი მთლად მაგიჟებდა: თავი უარამან უნთელიად რომ მოჰქონდა, გავანდობდით თუ არა საიდუმლოს, უცებ მშისარა ხდებოდა. ისე, ჩვენში დარჩეს და, რომ დავუფიქრებოდი, აღარც მიკვირდა და აღარც მწყინდა. უტანსაცემლობა იმდენი არაფერია, რამდენადც უფულობა. უტანსაცემლობაც და უჭმელობაც უფულობას მოსდევს. ხალხი არაფერს იშურებდა, წელზე ფეხს იდგამდა, ცალკე ომში, ფრონტზე რომ გზავნიდა, ცალკე ქალაქის მუშეებისა და მშრომელებისათვის აგროვებდა სიმინდს და სხვა სასურსათო პროდუქტს. ჰოდა, რა გასაკვირი იყო, ბავშვი, რომელსაც ერთი ნაჭერი ჭადი ოცნებად ჰქონდა ქცეული, უნდობლად მოკიდებოდა ჩვენს მიერ შეთავაზებულ საშიშ ნაქმეს.

სუფსის პირას ერთი გუთურელი ბიჭი ძროხას აბალახებდა. ისე იყო გართული დაუს დასაჭერი კალიების ძებნაში, არც კი გაუგია, როგორ წავადექით თავზე.

ბიჭმა თავი რომ ასწია და შემოგვხვდა, მაშინვე ვიცანი. ეს ის ბიჭი იყო, წისქვილში სიმინდი რომ მიმიქონდა და კუკურას უთხრა, კაი ორფხა ვირი ჩანსო, ჩემზე.

— გამარჯობა შენი, კოწია! — ვუთხარი მე. კარვად ვიცოდი გენიოსა რომ ერქვა, მაგრამ ასე ვამჯობინე საქმისთვის.

— კოწია ვარ მე? — მოჰიყუტა თვალნი ბიჭმა.

— გენიოსა ამდენ ხანს იყავი.

— ამდენ ხანს?

— ჰო. აწი გეყოფა და მართლა გენიოსი უნდა იყო. ყველაფერს თავისი დასასრული აქვს.

ჩემს წინ, ბალახში, კალია ჩახტა. დავაჭარე და გენიოსას გავუწოდე. გენიოსამ გაბრწყინებული თვალებით ჩამომართვა და მითხრა, ომმა ჩიტება და კალიებიც გაწყვიტაო.

— ჰო, მართლა, — ვთქვი მე, — რას შვრება შენი „ორფხა ვირი“, გენიოსა? ამას ჩემზე ვეუბნებოდი.

გენიოსა შეკრთა. უცებ მარიკას თვალი შეავლო და ყურებამდე გაწითლდა. — ნუ სულელლობ, ბავშვობაში ყველაფერი ხდება. — აწრიალდა გენიოსა.

— მაგი ორი თვის წინ არ იყო? ან რის გრცხვენია? — ვკითხე მე.

— ყველაფრის გახსენება არ ღირს. რახან მუდამ სიცილის და სიმღერის ხასიათზე ვიყავი, ყველას სულელი ვგონებ. მაშინ არაფრის დარდი არ მქონდა.

— კი მაგრამ, ახლა რისი დარდი გაქვს, გენიოსა?

— ერთი კვირის წინ კვილი არ გავიგონია?

— ერთი კვირის წინ? — იკითხა მარიკამ ჩუმად და თითები ტუჩებთან მეც ჩაფეიქრდი.

— ზო, ერთი კვირის წინ. ეგერ, იქით, იმ ისლით დახურული პატარა მხრიდან არ გსმენიათ ერთი კვირის წინ კვილი?

— კი მომესმა. მე მომესმა კვილი. — თქვა გაფითრებულმა მარიკამ.

— იმ დღეს მამაჩემის დაღუპვის ცნობა მოვიდა.

— რას ამბობ, გენიოსა! — დავიბენი მე, — სად იბრძოდა?

— ჭერჩში. — ჩააშტერდა მიწას გენიოსა.

ჩვენ კარგა ხანს ვლუმდიით. არც კი ვიცოდით, რით უნდა გვენუგეშებინა ეს უცებ დადარდინებული, აღრე მხიარულზე მხიარული ბიჭი. ლაპარაკის დაწყება გვიჭირდა.

— რა იცო, იქნებ არც დაღუპულა. — თქვა ბოლოს მარიკამ.

— ზო, ვთქვი მე, — რამდენი ცნობაც მოდის, იმდენი კაცი რომ დაიღუპოს, დავიღუბეთ და ისაა. ასალო ნაბიშვილის ბიჭზე ცნობა რომ მოვიდა, ერთი კვირის თავზე თვითონ ჩამოვიდა შინ. შორიახლო ყუმბარა აფეთქებია, მიწაში დამარხულა და მესამე დღეს უნახავთ. ამისთანა რამე რამდენი ხდებდა... ერთი კაცი შინ რომ ჩამოვიდა, ცნობა მერე მოვიდა, დაიღუპაო... კალიები რად გინდა, ღაჟოს იქერ?

— ზო, ფილიპე სიმონიშვილი ერთ თეთრგულა ღაჟოში ერთ წველა ყველს მამლევს.

— აგი ძროხა ვისია? — გაუკვირდა მარიკას, — რა ჭრელია! — თითქოს ახლა დანახა პირველად. — რა ლამაზია. შენია?

— არა, ასლანა ბოლქვაძის ძროხაა.

— ასლანა ჭარში არაა?

— კი, კატუშა ბიცოლამ გამომატანა. მის ბიჭს დღეს არ სცალია, დეპუტატებს ლექსი უნდა წაუკითხოსო.

— ლექსი? — ვთქვი მე.

— ზო, — თქვა გენიოსამ.

— არ იცნობ? — მკითხა მარიკამ.

— არა. კაი ბიჭია?

— კი. დიდი, შეშინებული თვალები აქვს, რალაცნაირი, ნალვლიანი, ჭკვიანი თვალები.

— მისი ჭკვიანი თვალები რად მინდა, თვითონ თუა ჭკვიანი?

— „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცის. — თქვა მოწონებით გენიოსამ.

— რახან ასეა, — ვთქვი მე და მარიკას გადავხედე, — ის ნამდვილად მოგვეჩმარება.

— იქნებ მეც შემიძლია მოხმარება? — ეწყინა გენიოსას.

— შენ თუ გგონია, დიდი საქმეა გასაკეთებელი. უბრალოდ, ხელის მოწერაა საჭირო და მეტი არაფერი. — ვთქვი მე.

— ხელის მოწერა და, ვინმე თუ გკითხავს, მართლა შეიტანე ეს ფული თუ არაო, კიო, უნდა უთხრა. — დაამატა ჩემს ნათქვამს მარიკამ.

გენიოსამ ექვის თვალით გადმოგვხედა. მერე უცებ ქვაზე შეხტა, რალაც მედიდური იერი მიიღო, თვალები მოგვიჭუტა და მკაცრად გვითხრა:

— გაპამპულმბას თუ მიპირებთ, სჯობს ახლავე მოუსვათ აქედან. საყვავისტყელმბი გუთურლებს თავის დღეში ვერ გაპამპულმბენ. თქვენს ტერიტორიაზე რომ ვარ გამოსული, მაგის იმედი არ დაიჭიროთ. ისე გაგიშვებთ აქედან, რომ შინ პატრონმა ვერ გიცნოს!

გენიოსას თვალები ნაკვერჩხლებივით აენთო, მაგრამ გარეგნულად მშვილად გამო-

იყურებოდა. მარიკას გაუკვირდა ლიფსიტა გენიოსას ამხელა გამბედაობა. თქვით, ახლა რა გინდათო. — თქვა გენიოსამ.

— სატანკო კოლონა „ნორჩი პიონერის“ გაგიგონია?

— გამიგონია.

— ამ კოლონის ასაგებად ფულს რომ აგროვებენ, იცი?

— ვიცი.

— ზოლა, ჩვენ, აგერ, გვაქვს სია. — ვთქვი მე და სია ამოვიღე. მარიკამ საწერ-კალაში შომაწოდა. — რა გვარი ხარ?

— გიორგაძე.

— რა გქვია?

— გენიოსა ჰქვია, ბიჭო. — შემახსენა მარიკამ სიცილით.

— ნუ იცინი, — უთხრა მარიკას გენიოსამ, — სწორს შეკითხება. მე გენიოსა არ მქვია. ეს სახელი ბიჭებმა შემარქვეს. კოწია მქვია.

— რა გითხრა, იცი? — ჩემს შერქმეულ სახელს ნუ მიაცივლები ახლა. იგი ალალ-ბედზე დაგიძახე. თუ მამის სული რამედ გიღირს, გვითხარი შენი ნამდვილი სახელი და გვარი.

გენიოსა-კოწიამ ახლა უკვე სხვა თვლით შემომხედა.

— მაწაშენს რა ჰქვია? — ვკითხე მე.

— სულიკო ერქვა.

— თვლებში გეტყობა, გვატყუებ, სხვის სახელზე და გვარზე გინდა შეგვატანიო ეს ფული.

— კარგი, ყველაფერს გეტყვით. მამაჩემს შალვა ერქვა, მე გაიოზა მქვია და ჟღენტი ვარ.

— აბა დედა დაიფიცე.

— მაგაზე თავს ნუ აიტკივებთ. დედა არ მყავს. სულ პატარა ვიყავი, რომ გარდა-მცეცალა, ლანდად მახსოვს.

— გაიოზ შალვას ძე ჟღენტმა, — დავიწყე მე წერა, — სატანკო კოლონის „ნორჩი პიონერის“ ასაგებ ფონდში ჩასარიცხად შემოიტანა სამას ორმოცდაათი მანეთი. — ვთქვი და ავხედე.

უცებ გაიოზამ ტურები წააბზუა, წარბები შუბლზე აიტანა და გაბმით დაუსტვინა.

— ზღაპარია! — თქვა ბოლოს, — ამდენს ვერ შევძლებ, ტყუილია. დღეში ცხრა დასო რომ დავუჭირო რაფიელ სიმონიშვილს, მაინც ვერ შევძლებ.

— ჩვენ შენი ფული არ გვინდა, — უთხრა მარიკამ.

— აბა რა გინდათ?

— ხელის მოწერა.

— მე წელან გითხარით, თუ ჩემი გაამპულებია გაქვთ გუნებაში, აქედან მოუსვით-მეოქი და მოუსვით აქედან!


— რატომ?

— თქვენნი ეშმაკები ჩემი გამოწრდილია. მაგას ვინ ჭამს! აფერისტებითაა ახლა სავსე ქვეყანა! თქვენ გინდათ, ჩემი ხელწერა იმაზე, რომ მე, გაიოზა შალვას ძე ჟღენტმა, სატანკო კოლონის „ნორჩი პიონერის“ ასაგებ ფონდში ჩასარიცხად შევიტანე სამას ორმოცდაათი მანეთიო, არა?

— კი, ასეა. — ვუპასუხე მე. — რაა მერე ამაში ცუდი?

— არაფერი. პირიქედ, გადასარეგია. მარა გადასარეგია თქვენთვის. ჩემთვის — ცუდი. თქვენ მერე აღგებით, შეიტანთ მაგ სიას სასამართლოში და განაცხადებთ: გაიოზ შალვას ძე ჟღენტმა ხელი მოაწერა სატანკო კოლონის ასაგებ ფონდში შესატან

სამასობროცდაათ მანეთზე, მაგრამ არ შემოიტანაო... აბა, მოუხვით ახლა აქედან ბაყა-
ყური! — ჩამოსტა ქვიდან გაიოზა.



— გეყურება, რას ამბობს? — შემომხედა მარიკამ.

— გენიოსა-კოწია-გაიოზა, — ვთქვი მე, — ნუ გლახობ, თვარა ბაღინჯოსავით მივასრისავ მაგ ქვაზე. თუ გინდა გაუწიო ფრონტს დახმარება, მოაწერე ხელი ამ თანხაზე და მერე კრინტი არ დაძრა, ფული არ შეიტანაო. ხომ ვანსოვს, რამხელა ტომარა მდლო ამას წინათ მხარზე?

— დიდი ტომარა გედო, კვესია, მარა ნუ იზამ მაგას. — შემეხვეწა გაიოზა. — მე რას ფულის მშოფენელი ვარ. გაწყდება ბებიარჩემი წელში.

— არ ვინდა, კვესია, რას ეხევი? — გამომღლიტა ხელიდან სია მარიკამ, — ბიჭები და გოგონები რამ წაიღო, ამ მშიშარას რომ შემოუჩნდი? აბალანოს ძროხა, იჭიროს კალიები, დაუოები და იუოს თავისთვის, წამოდი!

გვეგონა, გაიოზა გამოგვეიდებოდა, შეგვაჩერებდა და ხვეწნას დაგვიწყებდა, ხელს მოვაწერო, მაგრამ ამის ნაცვლად გაიოზა, წამოვიდით თუ არა ქვაზე შებტა და ხმამაღლა, სიცილით გადმოგვძახა:

— ჰეი, აფერისტებო, ჩაგვიარდათ კოვზი ნაცარში!

მაგრამ საღამოს, გაიოზამ ოცამდე ბიჭი და გოგო მოიყვანა. პირველი, ვინც ხელი მოაწერა, ის დიდრონთვალემა ბიჭი იყო, იმ დღეს ლექსი რომ უნდა წაეკითხა დემუტატებისათვის, ხოლო ერთ კვირაში, ჩემსა და მარიკას გარდა შევიდი თუ რვა ჭგუფი დადიოდა და ახალ-ახალი სიები მოჰქონდათ. ჩვენი თანხა თითქმის ამოწურული იყო, რომ ვანიჩქას წერილი მივიღე. აი, რას მწერდა იგი:

„გამარჯობა, კვესია!

რას შვრები, ბიჭო, ხომ ხარ მაგრად? იმის საქმე როგორაა, მე და შენ რომ ვიცით? იმედი მაქვს, შენებურად დატრიალდებოდი. არ გაგეცინოს, ბიჭო, ამ წერილს ბათუმიდან რომ გწერ. ონოფრეს რომ ასელებდით, კარტოფილს თლიდა მახარაძეშიო, სწორედ კარტოფილის თლის მეტს არაფერს მაკეთებინებენ. არ იფიქრო, ზღვაში ვიყო, გემზე, მეზღვაურად. ჩემისთანა ჭიამკვდარა მეზღვაური ვის უნდა? ხმელეთზე ვარ, ბიჭო. ჭერ თოფი თვალად არ მინახავს. არ გაგიკვირდეს, წერილს შენ რომ გწერ. აბა, სხვას ვის მივწერო? ვინ მყავს? ხანდახან გადდი ჩემსას, კვესია, ძროხა არ ჩავიდეს ეზოში. ყურძენი მოკრიფე, ღვინო დააყენე, სიმინდი მოტეხე და ყველაფერი შენ გქონდეს. ზო, მართლა, ევენასში თეთრი ბამბის ხაპები იქნება ახლა მწიფე. ყველას ნუ შეჭამ, ერთი ცალი, შენ რომ გაიმეტებ, ჩემთვის შეინახე..

წერილი მომწერე, ერთი სული მაქვს, როდის გავიგებ, რა ჰქენი იმ საქმის...

კარგად იყავი, კვესია! მოკითხვა გადაეცი დედაშენს, მარიკას, ონოფრეს, მოკლედ, ვისაც ვიცნობ ყველას.

გწერს შენი ვანიჩქა მასწავლებელი“.

წერილი რამდენჯერმე გადავიკითხე და სულ ბოლოს მივხვდი, რომ თვალეში ცრემლით მქონდა სავსე.

— რა გატირებს? — მკითხა მარიკამ.

— ვანიჩქა მასწავლებლის წერილი მივიღე.

— მაჩვენე.

მარიკამ წერილი ჩაიკითხა და სუნთქვას მოუხშირა.

— რაა, ბიჭო, მერე აქ, სატირალი? — თქვა და გაღიმება სცადა, მაგრამ, უცებ დაასლოცინა, ყელში მომდგარი ცრემლის გადაყლაპვა ვერ მოასწრო და სიცილ-ტიროლი აუფარდა. — რაა, ბიჭო, აქ სატირალი? — მერე შეეშალა და „რაა, ბიჭო, აქ სატირალის ნაცვლად, „რაა, ბიჭო, აქ სასაცილოო“, იძახდა თან მჯიღისხელა კურცხლებს აღვარდვარებდა. — ვახსოვს? — თქვა მან.

— მახსოვს. — ვთქვი მე და დავამატე, — შენ გახსოვს?

— კი, შენ ის გახსოვს? ერთხელ რომ.. ერთხელ რომ ვანიჩქა მასწავლებლებს

— მახსოვს.

მერე, ვინ იცის, რამდენი „გახსოვს-მახსოვს“ ვთქვით.

ქარში წამოუბერა. მარიკას შუბლზე ათამაშებულ თმას მივაჩერდი. მერე თითქმის დაბლა ჩამოვუწვი. მან ცხვირზე საჩვენებელი თითი მომაპიჩრა და, არ თქვა არაფერი, მითხრა.

— შენ ჩემს სულში ყვავილივით ხარ ამოსული, მარიკა, იცი? — მაინც ვთქვი.

— შენ კი — ქარივით.

— ქარი არ ვარა. ყვავილს წყალს თუ დაუნსამ — დიდხანს იცოცხლებს.

— გაჩუმდი...

— სიყვარულს უყვარს დუმილი, ხომ?

— ჰო, სიყვარულს ყვარებია დუმილი.

— მე კი მინდა ვიყვირო, ვიყვირო კი არა, გავიქცე, სულმოუთქმელად ავირბინო ნაკოშვარაზე, გადმოვხედო ჩემს გამწარებულ სოფელს, ჩემს ქიანჭველებივით მოფუხსფუხს ხალხს და, მიუხედავად იმისა, რომ დღეს მთელ მსოფლიოში ომის ხანძარი მძვინვარებს, მიუხედავად იმისა, რომ თუნდაც ახლა, აი ამ წუთში, მე და შენ როგორ აგერ ვლაპარაკობთ, იქ თოფი გავარდა, ვიღაცას ტყვია გულში მოხვდა, ვაი, დედაო, დიძაბა და დეცა; მიუხედავად იმისა, რომ მთელი სოფელი წელემზე ფეხს იდგამს და ხალხი ჭადის, პურისა და ხაჭაპურის ნაცვლად მოხარულ მსხალს, უმ, ჭყინტ სიმინდს, იაფოფხს და ზოგი იმასაც ვერ ჭამს, მინდა ვიყვირო, რომ მე მაინც ბედნიერი ვარ.. ბედნიერი ვარ, გესმის? რატომ ხარ ბედნიერიო, არ მკითხავს ვინმე?

მარიკა გაოცებული შემომცქეროდა.

— გადავამლაშე, ხომ? — ვკითხე ბოლოს.

— არაფერიც არ გადავიმლაშებია. ყველაფერი მართალია. — ისე მიბასუხა, სახეზე ერთი ნაკვიციც არ შეტოკებია.

— აბა, რაზე ფიქრობ?

— არაფერზე.

— კი ვიცი მე, რაზე ფიქრობ შენ.

— არაფერზე არ ვფიქრობ, კვესია.

— შენ მე კი არ გიყვარვარ, გეცოდები.

— რას ამბობ, კვესია, არ გრცხვენია?

— ამ ბოლოს, რატომღაც ფულის ჩაბარების თაობაზე ხმას არ იღებ. მე თუ ლაპარაკი დავიწყე, სიტყვას ბანზე მიგდებ, თვალები სადღაც ეშმაკებში გაგირბის.

— მეშინია და იმიტომ.

— იქნებ ფიცაც გატეხე? — ავენთე მე. — ვინ იცის, იქნებ გეცი კიდე ჩვენი საიღუმლო?!

— რას სულელობ, ბიჭო, შენ!

მარიკას უაზრო სიცილი აუტყდა. თავი უკან გადაიგდო და ისე კარკაცებდა, ვიფიქრე ხომ არ გაგიუღამეთქი.

სცებ, ზურგს უკნიდან ხმა შემომმესმა:

— კვესიას გაუმარჯოს!..

მარიკა მაშინვე ქვასავით დადუმდა. მე უკან მივიწედი. რამდენიმე ფეხის ნაბიჯზე ფაშია, ჭიგარო და კეშა იდგნენ, ჩვენი სოფლის „აცვენილი ბიჭები“. ფაშია, როგორც უფროსი, შუაში იდგა, ოღნავ წინ წამოწეული.

მე სალამზე არ მიბასუხნია. მოსულეებს მხოლოდ ზურგი შევაქციე უხმოდ, მარიკას მკვდრის ფერი დაღებოდა.

— წადი შინ. — ვუთხარი მარიკას დაბალი ხმით,

— უნც წამოდი.

— მე ჯერ არ მცალია. ამ ბოლოს, რატომღაც, ამით აღარც მე მოვწონვარ.

— აბა, მე მართო არ წავალ.

— ნუ ჯიუტობ. შენ ვერაფერს მომეხმარები.

— მოდის. — წაიჩურჩულა მარიკამ და თვალთ მანიშნა, ფაშია ზურგიდან ვიახლოვდებო. არ გავნძრეულვარ. წათელილი ბალახების შრიალზე ვატყობდი ფაშიას მოახლოებას. მზის ჩრდილმა ფაშიას ლანდი გველივით გააცოცა ჩემს გვერდით, შემინიას ხის ტანზე გადაატარა და თავით აკოფის ნათხარ მიწას მიაჯახა; ფაშიას ჩრდილმა მარცხენა ხელი ასწია და მის გვერდით მდგარ ჩემს უთავო ჩრდილს მხარზე ხელი დაადო.

— კვესია, მე შენთან საქმე მაქვს.

— მე არ მაქვს შენთან საქმე.

— შენ არ გაქვს, ვიცი, მაგრამ მე მაქვს.

— რა გინდა?

— წამოდი ჩემთან და გეტყვი.

— აქ მითხარი.

— მარიკასთან არ მინდა ვითხრა.

— მარიკა წავა.

— მე არსადაც არ წავალ! — თქვა მარიკამ.

— წახვალ! — შევეყვირე მე. — ახლავე წახვალ. ხომ არ გგონია, შენი დარჩენით რამეში წამადგები? ესენი სამსამად, ოთხ-ოთხად და საერთოდ, ჯგუფჯგუფად იმისათვის დადიან, რომ ცალ-ცალკე სუყველანი მშიშარები არიან. უფრო მეტიც, ლაჩრები. ერთად უოფნის დროს კი ცდილობენ ერთმანეთს დაუმტკიცონ თავიანთი გამბედაობა, რასაც მხოლოდ ერთმანეთის იმედით ბედავენ.

— ჩვენ შენთან საჩხუბრად არ მოვსულვართ, ფრიტა. ტყვილა ნუ მოგდის გული. არც განგებ მოგვიტენისხარ, რომ იცოდე. უბრალოდ დავინახეთ, რალა ვაგავახსენდა და გვინდა გკითხოთ. ახლა მობრუნდი და ხელი ჩამომართვი.

— კაი ხანია არ გინახივარ?

— კაი ხანია.

— მე კი, — მოვბრუნდი, ხელი ჩამოვართვი და ვუპასუხე, — კაი ხანია ძაღლის კულისთვის ხელი არ შემვივლია.

ფაშიას ხმა არ ამოჟლია. ჩაყლაპა. სხვა დროს, ყბის ძვლების ჩამოღებას შეეცდებოდა. ალბათ, რალაც მეტად სერიოზული საქმე ჰქონდა. ამასობაში ჯიგარო და კეშაც მოვიდნენ. საერთო სალაში თქვეს. მაშინვე მივხვდი, ეს ისე, ცალყბად, ზერეგლედ და მშრალად იყო ნათქვამი, რომ ამით მხოლოდ თავიანთი ავაზაკობის გარეგნულად შენიღბვას ცდილობდნენ, თითქოს, ნახეთ, რა პატიოსნები ვართო. მე კვლავ არაფერი ვუპასუხე. მარიკა კი თოფნაკრავივით შებრუნდა და შინისკენ გაიქცა.

— რა გინდათ?

— გაიგებ.

— შორს თუ მიწვეს წამოსვლა, ნება მომეცით, საგზალი წამოვიღო.

— ფეხსაც არ მოვიცვლით აქედან.

— მაშინ თქვით. მარიკა უკვე წავიდა.

— ეკურკურები, არა? — მკითხა ფაშიამ. — პირი არ დაგწვას.

— მაგი არაა შენი საქმე. თქვი, რა გინდა.

— გავიგეთ, სატანკო კოლონის „ნორჩი პიონერის“ ასაგები ფონდისთვის ფულს აგროვებსო.

— ვაგროვებ. რა გინდათ მერე? იქნებ პიონერები გგონიათ ისევ თავი და ფულის დადება გინდათ? თუ ასეა, სატანკო კოლონა „პარტოელი კოლმეურნიც“ ბობს და იქ, კოლმეურნობაში შეიტანეთ თქვენი ჭარბი ფული, როგორც სკოლიდან გარიცხულებმა. თუმცა, როგორც ვიცი, თქვენ არც კოლწევრები ბრძანდებით.

— მბრძანებლურ კოლოს თავი დაანებე და ახლა რა ქენი, იცი? — მითხრა ფაშამ, მხარზე ხელი გადამხვია, მეორე ხელი წინ გაიშვირა და დაიწყო, — მიდი მეძინიას ხესთან, მეძინიას წინდან, წისქვილის მიწართულებით გადაწომე ოცდაცხრა ფუნის ნაბიჯი. ეს ოცდაცხრა ფუნის ნაბიჯი მიგიყვანს ეკლის ხესთან, და იქ, თხმელის ბუჩქებში რომ ქვა დევს, გადააბრუნე.

გულმა საშინელი რეჩხი მიყო. იმ ქვის ქვეშ მქონდა სწორედ ის ფული დამალული, რომელიც ხვალ, გაკვეთილების შემდეგ, ბანკში უნდა შემეტანა. წამით საშინელმა დაბნეულობამ შემოიპყრო. მაგრამ იმ ერთწამში იმდენი რამ გავიფიქრე, რასაც, ალბათ, დაწყნარებულ გულზე, მთელ დღეს ვერ გაიფიქრებს კაცი. ფულის დამალვის ადგილი მე და მარიკას გარდა კაციშვილმა არ იცოდა, და, ამ შემთხვევაში, მარიკაზე უფრო ჩემს თავში შემეპარა ეჭვი, ხომ არ გავისულელე თავი და სადმე ხომ არ წამოვყარანტალე-მეთქი.

— ჰე, გიცდით, — შემახსენა ჯიგარომ. — ოცდაცხრა ნაბიჯი! ზუსტად ვერ გეტყვი, შეიძლება ოცდაათი, ან ოცდარვა იყო.

— ჭკუის კოლოფებო, — შეეძახე მე, — რაღა საჭიროა ოცდარვა, ოცდაცხრა. ოცდაათი, ან ორმოცდაათი ფუნის ნაბიჯი, როცა ვიცი, მისასვლელი ვარ ეკლის ხესთან?

— ჰოდა, მიდი პირდაპირ. — თქვა კეშამ.

— არა, მინც რატომ უნდა გადავაბრუნო, ჩემი ძალის მოსინჯვა გინდათ? ქვა არც ისე ღიღია, რომ ვერ მოვერიო.

— არა, ჩვენ შენი ძალა სულ არ გვიანტერესებს. ვიცით რა ჭიამკვდარაც ხარ.

— გველია ქვის ქვეშ?

— არა.

— ნიძლავი გაქვთ წაგებული?

— არა. — ისევ მიპასუხა კეშამ. მე მის, დაობებული პურივით ახალ წაფერთხილ საულვაშეს დავაკვირდი.

— აბა, რა ეშმაკი გინდათ! — ვიყვირე ბოლოს, — სულ ერთი არაა, ის ქვა გადაბრუნებული იქნება, გადმობრუნებული, პირჩაღმა, თუ პირაღმა?

— ბევრს ნუ ლაპარაკობ. — შემაწყვეტინა სიტყვა კეშამ, — თქვი, რატომ წევს ჭოლორიამ ამ ქვასთან და რატომ არ გვიშვებს სიახლოვეს?

— ჭოლორია? — გამიკვირდა.

— ჰო, ჭოლორია. გადაუხვევ თუ არა ქვისკენ, მაშინვე საშინელ ღრენას ატებს. შენ გეცოდინება, რაშია საქმე.

— რა ვიცი ახლა მე, რამდენი შტერი ძაღლია, რატომ წევს სადღაც, მინდორში?

— შტერი შენ ხარ! — მიპასუხა კეშამ.

— ჭოლორიას ვიცნობთ. — თქვა ჯიგარომ, — ასე რომ, ჭოლორია ტყვილა არასოდეს არ იწუხებს თავს.

— თქვენ რატომ არ მიღინართ?

— არ გვიშვებს.

— მე რა, წითელი კვერცხი ვარ, აბა?

— შენი ძმაკაცია და მიგიშვებს.

— მართალი ხართ. კია ძმაკაცი. მაგის არ მრცხვენია, რადგან თქვენ სამივეს გჯობიათ მაგი ჭკუითაც და მეგობრობითაც, მარა მე იქ არ მივალ.

— რატომ, მაგალითად? — ამომღო საჩვენებელი თითი ნიკაში ფაშამ.
ჭოლორიას პირად საქმეებში არ ვერვცი. ვთქვი მე და ფაშას ხელი ტოვად
მოვიშორე.

— ერთი კეცი ქალი შევაკამეთ მაგ უპატრონოს! — გადაულაპა მკილისხელა ნერ-
წყვი ჭიგარომ.

— თქვენც ადექით და წადით თქვენს გზაზე. რას ერევით ძაღლის საქმეში?

— თავს ნუ ისულელებ. ჩვენ ყველაფერი ვიცით.

— მაინც რა იცით? — ამოიანკალდა ხმა.

— ის, — თქვა ჭიგარომ და ახლა მიან ამომღო ნიკაში თითი, — რომ შენ სატა-
ნკო კოლონის „ნორჩი პიონერის“ ასაგებ ფონდში შესატანი ფული იმ ქვის ქვეშ გაქვს
დამალული...

მე უაზრო სიცილი ავტეხე.

— ნუ იკრიკები! — ჩამავლო საყელოში ხელი ფაშამ და თვალი თვალში გამი-
ყარა. — ახლავე მიდი, შე მახინჯო მამაძაღლო, თორემ შენს მოხრჩობას ბევრი არა-
ფერი უნდა!

— ხელი გამიშვი! — გავუძალიანდი მე.

ფაშამ მარჯვენა თავისუფალი ხელი სახეში მთხლიშა. ჭიგარო და კეშა უკნიდან
მეცნენ და ხელები გამიკავეს. მე წიხლის ამორტყმა მაინც მოვასწარი, წამოდგა და ახ-
ლა კბილებში მატაკა მუშტი. მე უცებ, მარცხნივ მდგომ კეშას მივუბრუნდი, ხელს
რომ მიჭერდა და სახეში მივაფურთხე. კეშამ მიშვა თუ არა ხელი, მარჯვნივ მდგომ
ჭიგაროს მუშტი ყბაში მოვუქნიე. ჭიგარო პირუკუ გადავარდა. კეშა ამ დროს ჩემგან
წურგით შებრუნებული იდგა და სახეს მაჭით იმშრალებდა. ამასობაში ფაშამ, მოუ-
ლოდენივით მომაკერა და ჰაერში ავტრიალდი. ეტყობა, კარგა ხანს ვეგდე უგონოდ
რადგან თვალი რომ გავახილე, გაქანებული ჩხუბის მოწმე ვავხდი. ერთხანს ვიფიქრე,
ნამდვილად ამოთხარეს ფული და ახლა გაუოფავე ხოცავენ ერთმანეთს-მეთქი. ჭერ კი-
სერი ქაში ჩავარდნილი ბატვით დავავარძლე. ვერაფერი გავარჩიე. საგნები ორად,
სამად, ცხრად შეჩვენებოდა. მერე ვცადე ძალა მომეკრიბა, ხელეებზე დაყრდნობით
სისწრით წამოვჭექი, თავი წყლიდან ამოხული ძაღლივით გავიბერტყე და ისევ ვცადე
გამერკვია, რა ხდებოდა ჩემს ირგვლივ.

საგნები თავთავის ადგილზე რომ დალაგდა, თვალწინ საოცარი სურათი გადაამეშა-
ლა: საიდანღაც გაჩენილ გუთურელ გაიოზას ფაშა მეძინიას ხესთან მიეგდო, ზედ მიე-
ყუდებინა და ისე მადიანად ურტყამდა, მზერა ვერ მოვწყვიტე. მინიკვდილებულ ფა-
შას წინააღმდეგობის გაწევინა ვი ალარ ჰქონდა. გაიოზას ყოველ დარტყმაზე თავი
მკერდზე უვარდებოდა. გაიოზა მუსხლებში ჩაკეცვას და წაქცევას არ აცლიდა. ხელს
დაავლებდა, ფეხზე დააყენებდა, ხეზე წელშიგაწყვეტილ თოჯინასავით ხელახლა მია-
ყუდებდა და ისევ მოუნაცვლულა. გაიოზას ჩხუბმა გამაოცა. აი, თურმე, რატომ მა-
ფრთხილებდა იმ დღეს, ისე გაგიშვებთ აქედან, რომ შინ პატრონმა ვერ გიცნოთო. მე
კი „კოწია“ დავუძახე. კაი „კოწიას“ მაჩვენებდა, რომ ეკადრებინა!

მარტივს შინიდან მამამისის თოფი მოეტანა, სანგარში ჩამსტარიყო, იქიდან ჭიგა-
როსთვის ებრძანებინა ხელები მალა ასწიეო, და იდგა ჭიგარო ასე, გერმანელ ტყვე-
სავით ხელებაწეული.

კეშა ქვის გვერდით ეგდო, წყლიდან ამოგდებულ კალმახივით, გულაღმა. თავ-
ზე ჭოლორია დადგომოდა და კეშას თითის განმრევავზე უღრენდა.

თავი რომ წამოვწიე, პირველად ჭოლორიამ დამინახა და სიხარულისაგან კულის ქი-
ცინი აუტყდა.

— მაღალეც ჭოლორია! არ გაუშვა მაგი ძუნკალი, თუ ხარ ბიჭი, მოვალ ასლა,
ჩამოვუღებ ყბის ძვლებს და მივცემ ხელში. არა, თუ გინდა, შენ მოგცემ იმ ძვლებს.

უკან მოხედვაც ვერ მოვასწარი, რომ უცებ ჯოღორიას საზარელი კივილი გაისმა.

— მოკალი, შე გათახსირებულო? — დავიძახე მე და წამოვხტი. ახლა მარჯვენა რიბა ეგდო გულალმა მიწაზე და ფეხებს უმწეოდ ასავსავებდა, მკერდიდან სისხლის შადრევანი მოასხამდა. კეშა, რომელსაც ხელში სისხლიანი დანა ეჭირა, თავბირდღელ-ტით გარბოდა თავდაღმართში. გულში რაღაც ჩამწყდა და ყრუ ტკივილი ვიგრძენი.

— მომეცი მაგი თოფი აგერ! მოვკლავ მაგ მათხოვარს! — ავადლიტე ხელი-დან თოფი მარიკას, გაქცეულ კეშას დავუმიხსნე, გამოვუშაღე ჯერ ერთი, მერე მეორე ფეხი, მაგრამ არც ერთი არ გავარდა.

— ცარიელია მაგი თოფი, — თქვა მარიკამ წყნარად და გამიღიმა. მარიკას სიმშვიდემ გამოაცა. ძალი საცოდავად წკავწკავებდა, მარიკას კი თითქოს არაფერი ესმოდა.

უკან მოვიხედე. ჯიგარო არხად იყო. ისევ მარიკას მივუბრუნდი.

— ჭურში ზიხარ? — ჩავძახე მარიკას. — კეშამ ჯოღორია მოკლა, დაურუფდი? დაბრმავდი?

— ჯოღორია მოკლა? ვინ?

მარიკა პირველი მივარდა გასოლიკებულ ძაღლთან. შეველივით გარბოდა, თავზე მსუბუქად ახტებოდა ქვეს, ბუჩქებს, ოღროჩოღროებს. ჯოღორიასთან რომ მივიდა, ჩაიმუხლა, თავზე ხელი დაადო.

— რას შვრები, ჯოღორია, ჯოღორია, კვდები? — დაიძახა მარიკამ და ძაღლს ყურებში ჩააფრინდა, შეანჯღრია, მერე მე ამომხედა. თვალები ცრემლით აევსო. — კვდები, კეცია, ვუშველოთ რამე!

ჯოღორიკ ალარ წკავწკავებდა. არც სუნთქავდა, უკვე სული დაელია. ახლა მხოლოდ ძარღვები უთრთოდა. ხანდახან წინა ფეხს გაიქნევდა. მარიკას კი ისევ ცოცხალი ეგონა.

— ღმერთო, რა საცოდავად იყურება! — იძახდა მარიკა.

— ჩემმა მტერმა გამოიხედა, მაგი რომ იყურება, — ვთქვი მე. — მკვლარია უკვე. პირდაპირ გულში გაუყრია იმ ბინძურს დანა.

— ძალი მაგი ყოფილა. — თქვა გაიოზამ. იგი მაჯებს ისრესდა.

— გმირულად მოკვდა, — ვთქვი მე და ცრემლი ჩუმად გადავუვლაპე.

ჯოღორია უკვე უსულოდ ეგდო, კბილებდაკრეჭილი, გვერდზე ენაგადმოგდებული.

რამდენიმე წუთში, ფულის ნამყოფ მიწაში ჯოღორია დავმარხეთ და წემოდან ის ქვა დავადეთ, რომელსაც ასე პატიოსნად იცავდა.

ერთი საათის შემდეგ მე, მარიკა, გაიოზა და ისიდორე მასწავლებელი, რომელსაც მონად გადავექეცით იმისათვის, რომ წაგვეყოლოდა, სახელმწიფო ბანკში ვიყავით. ისიდორემ არ იცოდა, რა ხდებოდა და ხან ერთს შოგვაჩერდებოდა, ხან მეორეს.

— გხოვთ ჩარიცხოთ სატანკო კოლონის „ნორჩი პიონერის“ ფონდში 500.000 მანეთი — ვთქვი მე და მაგიდაზე დავყარე.

— რამდენიო?! იკითხა ნანკის მმართველმა და თვალები შუბლზე აუფიდა. ჩემს ამოლილავებულ თვალს და დახეთქილ ცხვირ-პირს რომ შეხედა, მთლად გაშტერდა.

— 500.000 მანეთი. — გავუმეორე მე. ბანკის მმართველმა ახლა ისიდორე მასწავლებელს ახედა, მერე მზერა მარიკაზე გადაიტანა. სულ ბოლოს გაიოზა ელენტს დაასო წვრილი თვალები.

— კი მაგრამ, საიდან თქვენ, ლენინო, ამდენი თანხა?

— ჩარიცხე შენ, რომ გეუბნებიან! — წყნარად, საგრამ მკაცრი, მბრძანებლური კილოთი ვუთხარი მე.

ისიდორე მასწავლებელს მაგიდაზე თითების კაკუნით აუტყდა.



— ვის შემოაქვს ფული? — იკითხა ბანკის მმართველმა, რომელსაც მოლოდინში უბა მოეწერა.

— პიონერებს. — თქვა მშვიდად მარიკამ.

— პირადად? — ისევ იკითხა ბანკის მმართველმა და ახლა ხელეები აუცანცანდა.

— რა პირადად?

— აქ ათას შვიდასზე მეტი კაცია სიაში. ყველა ხომ არ მოაწერს ხელს? ფულის შეტანაზე ვილაცამ ხომ უნდა მოაწეროს ნელი?

— საქართველოს შეაქვს ეს ფული.

— საქართველოს? საქართველოს კი, მაგრამ, კერძოდ?

— მე მოვაწერ, — ვთქვი მე, — რაან ასეა საქირო.

ბანკის მმართველმა ტუჩები ააბზუა და წერა უსიტყვოდ განაგრძო. მერე ფული მოლარესთან ერთად შეაპოწმა, ყალბი ხომ არ არისო, დათვალა, ქვითარი გაგვიჭრა და თითქოს თავისთვის ელაპარაკებო, თქვა:

— მდაა! ამ საქმეს რაცხა კაი სუნი არ უდის, მდაა.. ხომ იცით, ფულს რომ უკან ვეღარ გაიტანთ?

— ვიცით. — უპასუხა ყოყმანით ისიღორე მასწავლებელმა ბანკის მმართველს. დაემშვიდობა და მე მომბრუნდა, — წავედით!

ფებს არც მარიკა იცვლიდა ადგილიდან და არც მე. ისიღორე მასწავლებელმა, ზოლოტი უკვე დერეფანში იდგა, ბანკის მმართველის კაბინეტის კარებში ისევ შემოჰყო თავი, გაკვირვების ნიშნად სათვალე მალლა აიწია, დაგვაცქერდა და წამოიძახა:

— რა გპირთ, ბაღნებო? — ფულის უკან დაბრუნება ხომ არ გინდათ?

მე უბიდან მეორე შეეკრა ამოვიღე და ბანკის მმართველის მაგიდაზე დავდე.

— ეს თანხა თავდაცვის ფონდში ჩარიცხე. ეს ობლიგაციებიც...

— ბიჭო, შენ, კაცი ხარ თუ ბანკი? — მკითხა ბანკის მმართველმა.

— შენ ფული მიიღე, ბანკი ვარ თუ შემნახველი სალარო, მაგი არაა შენი საქმე! — უკმუნად მივახალე მე.

— აგაშენათ ღმერთმა! — თქვა შეშინებულმა ბანკის მმართველმა, როცა ის ფული და ობლიგაციებიც გადათვალა. — ესეც ჯოღორია ცხოძის სახელით ჩაწერისა?

— არა. — ვუპასუხე მე — საქართველოს მასწავლებლებსა და კოლწევრების სახელით.

— აგაშენა, ბიძია, ღმერთმა! ამით რიცი, რამდენი ტანკი გაკეთდება?..

რაიონიდან ჩვენს სოფლამდე ორი კილომეტრი გზა ისე გავიარეთ, ჩვენი კლასის დაშრიგებელს ისიღორე თოლორდავან ხა არ ამოუღია. გადასახვევთან რომ მივედით, გასწე გამიყვანა და მითხრა:

— ვილაცა რომ გაგიძარცვათ, ეს ცხადია, მარა მე რას შემართლებოდი, ამ შარში რომ გამხვიე? ამხელა ძალლი და მამაძალლი რანაირად მიგიღო, ბატონო, ხვალ მე შენ კომკავშირში? რანაირად მოგცე რეკომენდაცია? საღ ჯანდაბაში გქონდა, ბიჭო, ამდენი ფული და ობლიგაცია? თუმცა, ერთი მგლისკენ და ერთი თხისკენო, რომაა ნათქვამი, ისიც გასათვალისწინებელია. სხვა შენს ადგილზე სხვანაირად მოიქცეოდა, მარა გამართლებს შენ, როგორც ქუილს, ვითომ აგი საქველმოქმედო ამბავი? მე მგონი, არ გამართლებს და ნუ მოხვალ, ბიძიკო, ხვალ შენ საერთოდ სკოლაში. იზამ ამას? თუ არ იზამ, მაშინ მე არ მოვალ, ბატონო, სკოლაში. თავს ვერ გავიპუსტიაკებ აგი ქაღარა კაცი, ორი შენი ნნის მასწავლებლობის სტაჟი მაქვს შენოდა, ახლა შენი გულისთვის წავიდე ციხეში, ბიჭო? ციხეს ვინ მამაძალლი ჩივის, ციხიბირს დამატოვებინებენ უკან, ბატონო, ციხიბირს.

— დროა გამოხვიდე გარეთ, ისიდორე მანწავლებელო, გაახილო თვალი და გაიგო, რა ხდება ქვეყანაზე.

— ვის უბედავ, შე დამთხვეულო! — გადმომიქაჩა თვალები ისიდორემ. — დღესვე გიჩვილებს! დაგიქერ! ციხეში ამოგაღობს! ყველაფერს სიტყვა-სიტყვით ჩამოგაუპიენს, ვის რამდენი მოპარე!

— მილიცია რად გინდა, ყველაფერს ჩემით გეტყვი: ობლიგაციები მამაჩემს, ხოლო ფული მაქიმელა ცხოიძეს მოვპარე.

— მაქიმელას?

— ჰო, მაქიმელას, შენს ძმაცაცს, წადი ახლა და გინდ რაიკოში მიჩვიდე, გინდ მილიციაში, სადაც გინდა!

შინ გულდამძიმებული მივედი. დედაჩემს* * * რომ არაფერი შეემჩნია, წიგნებს ვეცით. ჩემი შინ მისვლა დედაჩემს არ გაუგია. უკვე სადილობის დრო იყო. სამზადიდან ახალგაომცხვარი ჭადის სუნი მეცა. მხოლოდ ახლა ვიგრძენი, რომ მშოილა. რატომღაც დედაჩემთან მისვლა მომინდა. რამ მომაფიქრა, არც კი ვიცი, მაგრამ გადავწყვიტე: მივალ, კალთაში თავს ჩავუდებ, თვალებს დავხუჭავ, როგორც ამას ბავშვობაში ვაკეთებდი და ვებტყვი, ზღაპარი მომიყვები-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავებ. პირველად მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ დედის სიახლოვის უკმარობას განვიცდიდი. დედისაც და მამისაც. მდგმურით მულამ ცალკე ვიყავი. მე ჩემი ცხოვრება მქონდა, დედაჩემს თავისი, მამაჩემს კიდევ თავისი.

გული დამწყდა, რომ ბავშვობისდროინდელ მიძინებულ წადილს, რომელმაც ახლა მთელი სიცხადით გაიღვიძა ვერ ავისრულებდი.

— მაინძელო! — გაისმა ამ დროს ჰიშუართან ხმა.

ფარდა გავწიე და ფანჯარაში გავიხედე. თუმცა განედვა რად მიხდოდა, ხმაზე ვიცანი, ჩვენი სოფლის ფოსტალიონი იყო, კაპიტო.

— მობრძანდი! გასძახა სამზადიდან გამოსულმა მკლავებდაკაპიწებულმა დედაჩემმა. — კაპიტო ხარ? მობრძანდი, კაპიტო.

— მალარიჩი შენზეა, კეკელიძის ქალო!

— წერილია ხომ?

— კი, წერილია.

— საიდან იწერება, თუ იცი?

კაპიტომ ჩანთა დიდი მოწინებით გადმოიღო მხრიდან, შიგ ცხვირი ჩაჰყო და მანამ არ ამოუღია, სანამ დედაჩემი ჭაქის არყითა და თხილით არ დაადგა თავზე.

თვალები დავხუჭე. სულ არ მაინტერესებდა ფოსტალიონის გაცუთილი სადღეგრძელო. თვალი რომ გავახილე, ისევ გავწიე ფარდა. დედაჩემი საყვითლია მსხლის ძირში იდგა, წერილს კითხულობდა და სახე იმ საყვითლია მსხალს მიუგავდა. ორჯერ წაიკითხა წერილი. მესამეჯერ რომ გადმოაბრუნა ფურცელი, აივანზე გავედი. კარები განგებ გავაჯანუნე. დედაჩემმა წერილი მაშინვე უბეში ჩაიკუჭა. არაყს, თხილიან თეშუს და ჭიქას ხელი დაავლო და სახლისკენ წამოვიდა. სახელაღწილმა მიმინოსავით ჩამიქროლა, მაგრამ სირცხვილისაგან ფეხები უკან რჩებოდა. ეს პირველი არ იყო და არ გამკვირვებია. დედაჩემი უკვე მესამე წერილს მიმალავდა.

— მოდი, შვილო, კეხია, საჭმელი, ჭამე, — დამიძახა რამდენიმე წუთის შემდეგ.

(გაგრძელება იქნება)

ჰგავს სერაფიტას, — ასულს ზევახის
 შენი ლამაზი სახის პროფილი,
 რომლის სადარი სიზმრად მინახავს,
 რომლითაც ცხადში ვარ კმაყოფილი.
 შენ გაიეღვე თუ ცა გაიხსნა,
 შენი პერანგის გულისპირივით,
 გამოგიწოდა ხელი მაისმა
 და ენძელებმა მორთეს ტირილი.
 სიყვარულს ჩემსას ჰქვია ზაფხული,
 სიყვარულს შენსას ჰქვია აპრილი,
 ცეცხლი ჩემს გულში შემონახული,
 შენს ლამაზ თვალებს უხმოდ დავპირდი.
 იმგვარად ბრწყინავს შენი საყურე,
 შენი სიცილი ისე იღვრება,
 ბედნიერი ვარ შენი მსახური,
 შენით არასდროს არ დავიღლები.
 შენ დამანახე ცა საღამური
 და არ ჩაქრება ასე მგონია,
 შენი პირველი კოცნის აღმური
 და სიყვარულის ალეგორია.
 სერაფიტას გავს, — ასულს ზევახის,
 შენი ლამაზი სახის პროფილი,
 რომლის სადარი სიზმრად მინახავს,
 რომლითაც ცხადში ვარ კმაყოფილი.

დიდი სულვახი

იყო სტრავენსკი, არის რიხტერი,
 დღეს მოგონებად იქცა მრავალი.
 რისი თქმა მინდა, ალბათ, მიხვდებით.
 ჟამი სწრაფია და წარმავალი.
 აინშტაინიც იქცა წარსულად,
 გუდიაშვილიც იქცა წარსულად,
 გალაკტიონიც იქცა წარსულად

და გაგარინის გზებიც დასრულდა.
წუთისოფელი ბეწვის ხიდია,
ბევრის მომსწრე და ბევრის მნახველი.
დიდი სულები ცაში მიდიან,
მიწაზე რჩება დიდი სახელი.

ილია ჭავჭავაძე

შუბლდასერილი დიდი მამული,
შუბლდასერილი დიდი ილია.
ილიას შუბლი და წიწამური
ქართველთა მწარე გაკვეთილია.
შუბლდასერილი დიდა წარსული,
წარსულისაგან შობილი აწმყო.
ღვთის ნება-სურვილს უხმოდ ვასრულებ
და ძველთან დაფნის გვირგვინებს ვაწყობ.
კურთხეულ იყო მაღალი ღმერთის,
აღებათ, რჩეული თუ იყო მისი,
საქართველოში ის არის ერთი
ყველაზე დიდი გვირგვინის ღირსი.
ჩვენ მისი სიბრძნით სად არ გვივლია,
იყო მამულის ღამის მთევველი,
საქართველოა თავად ილია
და ივერია — საკურთხეველი.

17708

●
მე შენ გენდობი, რადგანაც ვიცნობ,
ვიცი, რომ შენაც აქ გეგულები,
მინდა მოვიდე და შემოგფიცო
ულალატობა და ერთგულება.
პატარავდება ზოგი საგანი,
თითქოს დავსორდი უცებ ძმა-ბიჭებს.
მინდა გაგიღო გულის საკანი,
თავისუფლება რომ მოგანიჭო.
შენ ჩიტი ხარ და უნდა იფრინო,
შენ ხარ დილა და უნდა ანათო,
შენ ცერზე გიზის ჩემი მიმინო,
რომელიც გულთან ერთად წამართვი.
ესეც ბედაა და უფრო მეტი...

ქ. მარქსის ს.ს. საქ.
სახელმწიფო ც.ს.მ.ს.
ბიბლიოთეკა 17

თითქოს დახატა ერთად გოგენმა —
შენი ნათელი და ნათლის სვეტი,
შენი ღუმილი და გაოგნება.
მე ვაღებ კარებს და შინ შემომყავს
შენი ანრდილი და ერთად ვწევართ,
აღერსი შია შენს ფერმკრთალ ლოყებს,
შენს დამფრთხალ თვალებს — ნღობა და
რწმენა.

მე ვაღებ კარებს, რადგანაც გიცნობ,
შენმა სურვილმა აღარ დამტოვა,
უკანასკნელად მსურს შემოგვიცო
ერთგულება და უღალატობა.

ვიძი, გიყვარვარ

აღიარება თუ უარყოფა? —
ეს ორი ცნება მაშინ სხვა იყო,
წუთი, რომელმაც შენთან მამყოფა,
წამი, რომელმაც შენგან გამრიყა.
ახლა სხვა სიტყვა უნდა გავრითმო,
რადგან საკუთარ თავთან ვკამათობ,
სიტყვა, რომელმაც გული გავითხო,
კოცნა, რომელმაც უმაღ დაგათრო.
გვიან გამოინნდი და ნომეკლინე,
მე ვიცი, ქალი მაინც ქალია,
ვიცი, გიყვარვარ და ყოველივე
ჩემი ცისფერი სისხლის ბრაღია.
ყოველთვის იმედს ვტოვებდი შენთან,
ვით შეფის კარზე ტოვებდნენ მძევალს.
შენ საკამათო ბევრი გაქვს ღმერთთან,
მეც, რადგან მეც ხომ ადამის მე ვარ.
მე ვიცი, შენ ხარ ლამაზი ევა,
წილად მხვდა შენი სამოთხის ვაშლი,
და თუკი ცოდვის მიზეზი მე ვარ,
თქვი, უცოდველი ვინ არის მაშინ?!
შენ ახლაც ჩემზე საუბრობ ვნებით,
ფიქრით მოდიხარ ძალიან ახლოს,
აქრობ სინათლეს, იხდი და წვები,
რომ ბედნიერი სიზმარი ნახო.

ვიდრემდე ჩემი ზარი დარეკავს,
 მწუხრის ზარები ჩემი ცხოვრების,
 ჩემს წილ სიზარულს, ცრემლს და ნარ-ეკალს
 ნელ-ნელა ვზარჯავ და ვეთხოვები.
 ნელ-ნელა ვზარჯავ ბუნების რისხვას,
 ბუნების ღალატს, ბუნების ჯიღოს
 და გული სრული სიზუსტით რიცხავს
 დროს, თითქოს მასში საათი იდოს.
 ვერ შეეურიგდი საკუთარ გრძნობებს,
 საკუთარ ფიქრებს, რწმენას და აზრებს,
 კი მცნობენ, მაგრამ ვერაფერს გრძნობენ,
 რომ ამ ყოფაში დიდხანს ვერ გავძლებ.
 ამიტომ სურვილს ფრთებივით ვისხამ,
 ფრთებივით ვისხამ ბობოქარ სურვილს,
 რომ ავიცილო ბუნების რისხვა
 და დავასვენო დაღლილი სული.
 ვიღაც მეძახის და მელოდება,
 ვიღაც მწუხარე სახის რაინდი,
 როგორც ღრეობის შემდეგ გოდება
 და ავღრის შემდეგ კარგი ამინდი.
 და მიზარია ლოცვაც და წყევლაც,
 და მიზარია წყევლაც და ლოცვაც,
 შენ დაგიტოვებ უკლებლივ ყველას,
 ამ ქვეყნად აღარ ვიქნები როცა.

მოედინება ჭოროხი თავქვე,
 ხეობისა და ხეების ჩრდილში.
 შენს აქ შემოსვლას მე სიზმარს ვარქმევ,
 რომელსაც ახლავს გრძნეული შიში.
 მე მახსოვს, შენ რომ მიღებდი კარებს,
 შავი უხალი გფარავდა სახეს,
 განგებამ განგებ გარგუნათ ქალებს
 თვითონვე ივებთ საკუთარ მახეს.
 მე ვიმეორებ შენს ლამაზ სახელს,
 რომელიც ასე მიყვარს და მომწონს.

სხვა რომ არ იყოს, თვალები ამწვლს
 ვნებებისა და გრძნობების კოცონს.
 ამჯერად ასე აეწყო საქმე,
 ვილაცა განგებ მანჯღრევს და მამღვრევს.
 მოედინება ჭოროხი თავქვე
 და უერთდება შავი ზღვის ტალღებს.

მყუდრო ნაპირი

არ მიძებნია ხსნა და საშველი
 უცხო მიწაზე და სხვათა სასლთან,
 მე მსურდა, მაგრამ ვეღარ გაჩვენე
 რისი ჩვენებაც არ ძალმიძს ახლა.
 და თუ კი დღემდე ვიცხოვრე ასე,
 მართლაც არ ვიცი, რა შემცვლის აწი.
 მე მხოლოდ შენი ფიქრებით ვავსებ
 ჩემი სიცოცხლის დარჩენილ ნაწილს.
 აღრე თუ გვიან მაინც ითქმება,
 რაც ერთხელ თქმულა კაცთან და ღმერთთან,
 როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები,
 ცოტა ხნით მაინც დამტოვე შენთან.
 თუ კი ეს ფიქრი რაიმეს უდრის,
 რომელსაც გიწვდი, გიწვდი და გახმარ,
 მაჩვენე შენი ნაპირი მყუდრო,
 რომლის ნაწილი მეცა ვარ ახლა.
 შენი მაღალი სინათლის დროშა
 შორიდან მოსჩანს და წითლად ელავს,
 ვერ დააბერებს ცხოვრება დროჟამს,
 ჩვენ დაგვაბერებს დროჟამი ყველას.
 და ზოგი რამეც ჩემზეც ითქმება,
 რაც ერთხელ თქმულა კაცთან და ღმერთთან,
 როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები,
 ცოტა ხნით მაინც მამყოფე შენთან.



ქ ა რ ბ ო რ ბ ა ლ ა

1884 წლის შემოდგომის წვიმიანი დღე იდგა.

ცა ქვეყნად ჩამოდიოდა. წვიმის ნიაღვრები ისე თავისუფლად იკვლევდა გზას ფიცრულ სახლებში, რომ ღამ-ღამობით ბევრგან დასაწოლი მშრალი ადგილიც კი საძებარი ხდებოდა.

ხარაჩოვები ჩასმულ ნავსადგომთან ბუქსირზე გამობმული დიდი ბარჯა ჩამოეყენებინათ და ასობით მუშა მზემოკიდებულნი, გარუჭული ხელებით ქვებს ტვირთავდა ნაპირზე. წვიმისა და მრავალრიცხოვანი მუშების ხმაურს დრო და დრო პეტრას ციხის ნანგრევებიდან ლაღუმების ყრუ გრგვინვა ერთვოდა (ანუა ყოველთვის, ერთი უკვე მივიწყებული და ყავლგასული, მსხვერპლად ეწირება მეორეს, უფრო საჭიროსა და საშუბს).

ღარსა თუ ავდარში, გამთენიიდან დაბინდებამდე, ხალხი ფუტკარივით ირეოდა ნავსადგურის მშენებლობაზე. ძირითადი სამუშაოების დამთავრება მომავალი წლისთვის იყო ნავარაუდები და ჩქარობდნენ.

ვის არ ნახავდით მაშინ ბათუმში, ლუკმა-პურის, ორიოდ გროშისა თუ გამდიდრების მაძიებლებს. ზღვამ ხომ არ გამორიყო ამდენი ხალხი, უკვირდით ახლომასლო სოფლებში და თვითონაც ერთმანეთს ასწრებდნენ ზღვის მიერ გამორიყულთა რიგებში მოსახვედრად. საშავიეროდ, არც სამუშაო იყო საძებარი. მოდიოდნენ და პირველსავე მეწარმეს თუ მოიჭარადრეს უვარდებოდნენ ხელში.. მარტო ნავსადგურის მშენებლობაზე თითქმის ყოველდღე დებულობდნენ დამატებით მუშახელს.

შემოდგომის ამ წვიმიან დღეს ნავსადგურში, ხან სად და ხან კიდევ სად, გამოჩნდებოდა თავიდან-ფეხებამდე სველი, ექვსი-შვიდი წლის ბიჭი, რომელიც შემცივებულ ბედურასავით მსრებჩამოყრილი დააბიჯებდა მუშებს შორის.

ტანზე შავი სატინის ბლუსა და ბამბის უხეში ქსოვილის შარვალი ეცვა. წულებს, სისხელის გამო, თავდაპირველი ფორმა თითქმის დაჰკარგოდა. თავზე ქუდი არ ეხურა და შავი თმებიდან წვიმის წყალი ნაკადებად ჩამოსდიოდა.

ადრე არც არავის ენახა ნავსადგურის ტერიტორიაზე და ვერც ვერავინ იცნობდა ამ ბიჭს. ახლა ზოგიერთებს უკვირდით კიდევ, ასეთ თავსხმაში, ასე მარტოღმარტო აქ საუდან გაჩნდა და პატრონი თუ ყავსო საერთოდ..

ღამდებოდა. ბარჯიდან ქვების გადმოტვირთვას მორჩნენ და ნავსადგურშიც ხალხი თანდათან შეთხელდა. შინ მიმავალ მუშებს ერთი ჯმუხი ტანის ლაზი გამოეყო, ბიჭთან მივიდა და კითხა, ბიჭო, ვისი ხარ და აქ მარტო რას აკეთებო? ბიჭი იდგა და გაფართოებული თვალებით უყურებდა თავზე წამომდგარ, თავიდან-ფეხებამდე გაღუმბულ, გაუგებარ ენაზე მოლაპარაკე კაცს. მერე ქართულად გაუმეორა იგივე შეკითხვა ლაზმა; მაგრამ ვერც ახლა გაუგო ბიჭმა ლაზს ვერაფერი. შეხედულად ბიჭი არც რუსს გავდა, და მაინც ლაზმა ახლა, ყოველი შემთხვევისათვის, გაუმართავი რუსულით მოუწაცლა იგივე შეკითხვა.

ყრუ-მუნჯი ხომ არ არის? — გაიფიქრა ლაზმა, როცა არც ახლა გასცა ბიჭმა პასუხი და ერთხანს თვითონაც დუმდა. მერე, თითქოს რაღაც გაახსენდაო, ბიჭს თავზე მოფერებით გადაუსვა ხელი და თურქულად ჰკითხა:



— ახეთ ამინდში აქ რას აკეთებ?..

ბიჭს ოდნავ შეერხა ნაკეთები სახეზე, მაგრამ არც ახლა დასცდენია სიტყვა.

— არ იტყვი, რას აკეთებ აქ? — კვლავ ჩაეძია ლაზი ბიჭს.

— არაფერს, — როგორც იქნა, ენა ამოიდგა ბიჭმა და თავი ჩაღუნა.

— რატომ სახლში არ წახვალ? — ლაზმა ნიჩაბივით ფართო ხელი გადაუსვა

ბიჭს თავზე და თმებიდან წყალი გადმოუწურა.

წვიმას გადაღების პირი აღარ უჩანდა.

— სახლში? — გაიკვირვა ბიჭმა.

— ჰო, სახლში, მშობლები არ გყავს?

მშობლების ხსენებაზე თვალები აემღვრა ბიჭს... — მერე თავი ჩაღუნა და როდის, როდის უპასუხა:

— არ მყავს მშობლები.

— სად არიან, რა მოუვიდათ? — შეწუხდა ლაზი.

— დედა არ მახსოვს, მამა ლალუმმა მოკლა სამი დღის წინ, — ენის ზორძივით თქვა ბიჭმა და ხელი ნისლით დაბურთული პეტრას ციხის მიდამოებიცენ გაიშვირა.

ბიჭი თურქი არ ჩანდა, ძლივს უყრიდა სიტყვებს თავს.

— სადაურები ხართ? — კითხა ლაზმა და ნიჩაბივით ფართო ხელი ახლა მხარში ჩასჭიდა ბიჭს.

— აწერბაიჯანიდან ჩამოვედი სამუშაოდ, ისე ეკემები ვართ, პერსიანები. — სპარსულ-აწერბაიჯანული ნარევით მიუგო ბიჭმა.

— ჩემთან წამოხვალ? — ნაჯფი ხელით ერთხელ კიდევ მოეფერა თავზე ლაზი.

— შენთან? — გაიკვირვა ბიჭმა.

— აბა, სად წახვალ? — გაუკვირდა ლაზსაც.

ბიჭს პასუხი არ გაუცია, ან კი რა ჰქონდა სათქმელი.

— მე პატარა ბავშვები მყავს, მათთან იქნები, წამოხვალ?

ბიჭი ერთხანს დაფიქრდა, მერე თავი დაუქანა და უსიტყვოდ გაყვა ლაზს.

ექვსი მცირეწლოვანი ბავშვი და ავადმყოფი ცოლი ელოდებოდა ლაზს შინ. ერთ მოწირდილ ფაცხაში ცნოვრობდა მთელი ოჯახი და მანაც წარბიც არ შეუხრიათ ახალი წვერის შემომატებაზე.

მალე ლაზის ოჯახი შეიღებინაგან აღარ გამოარჩევდა ობოლ ბიჭს...

მერე ტბებრიდან გადმოსვეწილი ერთი ყარაჩაელი უშვილო ქვისმთლელი გადაეკიდა ლაზს, — შენ შენი გაბირვებაც გეყოფა, ეგ ბიჭი მე დამითმეო.

ლაზმა ქვა ისროლა და თავი შეუშვირა, — როგორ გეკადრებო, — უთხრა წყენით, მაგრამ აღარ მოეშვა ყარაჩაელი, — ვინ არ ჩარია, ვის არ თხოვა, ვინ არ მიუგზავნა.. ბოლოს, როგორც იქნა, დაიყოლიეს ლაზი. მეშეთალისთვისაც ასე ჯობდა, ამ უშვილო კაცის ხელში უფრო მეტი წარუნვა და ყურბადღება ექნებოდა..

ცრემლიანი თვალებით გამოაცილა მეშეთალი ყარაჩაელის სადგომამდე ლაზის დიდმა ოჯახმა.

* * *

ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის ბათუმის მთავარ ღირსებას — დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო, შემდეგში სავაჭრო ეკონომიკური მნიშვნელობაც დაემატა, რაც ყველაზე მეტად, გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოიკვეთა.

მსახვრელი ბელი ოდითგანვე პატივაცურილი, უპირისუფლო ქალივით ექცეოდა ბათუმს საუკუნეების მანძილზე, ერთი მოძალადის ხელიდან შეორეს ხელში გადასცე-

მდა და, რაც დრო გადიოდა, უფრო მეტი უნინდა ვნება, აჩნდებოდა მისი საბოლოოდ დასაკუთრებისათვის თავგამოდებას.. და მაინც, ბათუმისადმი ასეთი დიდი ინტერესის მიუხედავად, 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის გამათავისუფლებელი ომის შემდეგ, რამაც საზღვარი დაუდო ოსმალთა ბატონობას აჭარაში, ბათუმი, რუსი და ქართველი ჯარის ნაწილების შემოსვლას გარეგნულად. შელახული და შებლაღული, გათვლილი და სულთმოზობავე, ქონსახეზითა და ტალახიანი ქუჩებით, უდღეური დუქნებითა და საწვრიდმანო სახელოსნოებით, გარეუბნებში მოხეტიალე გარეული თხებითა და დამშეული ტურების გნაისით შესვდა...

სხვა გადასახელი გამოუჩინდა მომავლისკენ ბათუმს. საფუძველი ეყრებოდა ახალ ქალაქს, რაც ადამიანებს უფრო აახლოებდა ერთმანეთთან... მაგრამ შენდებოდა იგი ბუნებესა და პალაშკოვსკისათვის, სიღერიდისისა და რიხნერისათვის, მანთაშვიისა და ხაჩატურიანისათვის, ანგელიდისისა და ნობელისათვის, სხვებისა და სხვებისათვის, რომლებიც, თავიანთი კაპიტალით, მთელი მსოფლიოს ბაზრებზე იყვენენ მოდებული. მარტო ბათუმში მათ ათობით მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო და მილიონობით ფუთი ნავთობის გამტარიანობის რეზერვუარები ჰქონდათ და უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა ნავთობპროდუქტები საზღვარგარეთის ქვეყნებში. ნავთობის გარდა, გაჰქონდათ აგრეთვე მარცვლეული და მარგანეცი, ხე-ტყე და ბევრი სხვა რამ... მწყობრში ღებოდა ქიმიური, ტყავის დასამზადებელი, თუჩის ჩამოსახმელი, თამბაქოს, მექანიკური და სხვა საწარმოები. ბათუმში სწრაფი ტემპით ემშობოდა რუსეთის სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების ფერსულში. მსოფლიო ბაზრებთან ბათუმის გზით რუსეთის იმპერიის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა მალე ისე გაფართოვდა და ისეთი, მასშტაბები მიიღო, რომ ამ პატარა ზღვისპირა ქალაქში საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს ათზე მეტი ქვეყნის, მათ შორის თურქეთის, ინგლისის, საბერძნეთის, იტალიის, იაპონიის, სპარსეთის საკონსულოები იყო აკრედიტებული. უკვე მეოცე საუკუნის გარეყრაზე ბათუმში ახალი სამრეწველო რევოლუციური მუშათა კლასი ათასობით კაცს ითვლიდა თავის რიგებში.


ბირს იკრავდა ოსმალთა ბატონობის დროინდელი ჭრილობები ბათუმის სხეულზე. გაჰყავდათ სწორი, მწვანეში ჩაფლული ფართო, ლამაზი ქუჩები, შენდებოდა ევროპული სტილის სახლები, წუმბე და ჭუჭყი მუშებით დასახლებულ. გარეუბნებს შემოარჩა მარტო.

* * *

დრო გადიოდა. ხანდაშეშე, უშვილო ცოლ-ქმარის ხელში მშობლიური ზრუნვა არ აკლდა მეშეთლის. იგი მამობილის ხელდას გაყვა და ოცდასამი-ოცდაოთხი წლისა ერთ-ერთ საუკეთესო ქვის ოსტატად ითვლებოდა. ხან მარინეს ქუჩაზე ნახავდით ხარაჩოებზე, ხან დონდუკოვ-კორსაკოვზე, ხან სმეკალოვზე და ხანაც შერემეტი-ევზე... იზრდებოდა და მხრებს შლიდა ქალაქი...

ამ დროის, სხვა ბევრ სიახლეებს შორის, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კათოლიკური ეკლესიის მშენებლობაც.

მოსახლეობის ზრდასთან ერთად, მესხეთ-ჭავჭავთიდან სამუშაოდ ჩამოსულთა ხარჯზე ბათუმში შესამჩნევად იზრდებოდა კათოლიკეთა რიცხვიც; იმდენად შესამჩნევად, რომ ამან მოითხოვა მათთვის ეკლესიის აშენება და ეს საქმე ცნობილმა ქველმოქმედმა სტეფანე ზუბალაშვილმა აიღო თავის თავზე. სულ რაღაც ოთხ წელიწადში გოტიკურ-რომანული სტილის ბრწყინვალე ტაძარი აიგო, რომლის კურთხევა ზარზემად გადაიტკა.



კათოლიკური ტაძარი თავისებური განაცხადი იყო იმისა, რომ ბათუმში ევროპულ-სტილის ქალაქად იკვეთებოდა...

ყვებოლენენ ასეთ შემთხვევაზე: ერთ დღეს, როცა მშენებარე ეკლესიაში ზუბალა-შვალი მშენებლობას თვალს ადევნებდა თურმე, იქ შემთხვევით მისუდიყო კანისთაველი ვინმე ხოჯა, კაცი ჭკვიანი, დარბაისელი. ეკითხა ამ ხოჯას, ეკლესია ვისი ფულით შენდებოდა. უთქვამთ: აგერ ბრძანდებოდა და ზუბალაშვილზე მიუთითებიათ. ხოჯა მისულა სტუდენტთან და გულწრფელი მადლობა გადაუხდია... ასეთი ქველმოქმედებისათვის... იმასაც ამბობდნენ, რომ წირვა-ლოცვის დროს, ტაძარში, სალოცავად შესული მორწმუნე კათოლიკები, პირველ ხანებში, გაკვირვებულები იჩქრავდნენ მხრებს, როცა ეკლესია ხალხით გატენილი დასვდებოდა და თვითონ ძლივს პოულობდნენ ადგილს. თავისი უნიკალური არქიტექტურული ღირსებით ეს ტაძარი არა მარტო მორწმუნე ქრისტიანების, არამედ სხვების ყურადღებასაც იქცევდა და თანამედროვეთა თქმით, მოხწონდათ კიდევ.

კათოლიკური ეკლესია იყო ევროპისაკენ გადასახელი თავისებური კულტურული ცენტრიც. ამ ტაძრის მეშვეობით უნდებოდათ ერთმანეთთან დაკავშირება, აგრეთვე, ევროპულ კათოლიკეთ, რომლებიც სხვადასხვა მისიით ჩამოდიოდნენ ბათუმში ემეებით, ეცნობოდნენ ქართველთა ყოფას, კულტურას, წარსულსა და აწმყუსს...

ეკლესიის კარის შესავლის ზევით, მშენიერი თლილი ქვის აივანზე ორდანი იდგა, ესეც თავისი ხარჭით ჩამოატანინა ზუბალაშვილმა იტალიიდან, ამ ორდანთან ახლოს დგებოდა მგალობელთა გუნდი.

უნდა გენახათ მეშეთალი, ეს უღმერთოდ დარჩენილი კაცი, ცნობისმოყვარეთა შორის, წინა რიგებში რომ ჩადგებოდა ხოლმე და გაბადრული ადევნებდა თვალყურს ყველაფერს, რაც ეკლესიაში ხდებოდა. ადრე, როცა დრო იყო საამისოდ, მისთვის არავის უსწავლებია ღმერთისა და სარწმუნოების სიყვარული და მორჩილება, ცხვარივით უწყინარი მისი გაწარღვევები, უშვილოების გამო, დიდხანს გულაყრილი იყვნენ ღმერთზე. მაგრამ, როცა მეშეთალიმ შვილივით გაუმართლა უკვე ასაკში შესულთ, მართალია, სარწმუნოებაზე გული მოუბრუნდათ, მაგრამ მეშეთალისთვის აღარ დაუძალეზათ ისლამის სასახურში ჩადგომა და აღარც მეშეთალის გამოუღვია თავი, და თუ შინაც, მას ხან ებრაულ სინაგოგაში ნახავდით კარებთან ატუზულს, ხან ქალაქის სამი მეჩეთიდან ერთ-ერთში იატაკზე დაგებულ ნოხზე ფეხმორთხმულს, ხან სომხურ ეკლესიაში მლოცველებში გარეულს; ხან ბერძნულში და ხანაც რუსულ „სობორში“ — წითელი აგურით ნაშენ უზარმაზარ სამხედრო ტაძარში, რომლის კედლებიდან ექვსი ზარბაზნის ლულა იყო გამოშვებული, — ეს ხელოვანი კაცის ცნობისმოყვარეობის უინით მოხდიოდა მეშეთალის და არწანდროს არ აღძვრია სინანულის გრძნობა, რომ ვერც ერთ რელიგიას ვერ დაუღვა ერთგულ მსახურად... კათოლიკურ ეკლესიაში უფრო ლაღად და თავისუფლად რომ გრძნობდა მეშეთალი თავს, ამას თავისი მიზვნები ჰქონდა, — ჭერ ერთი, ტაძრის კედლებში მისი ხელით გათლილი ქვებიც იყო ჩაშენებული, მეორეც (და ვფიქრობთ, მთავარიც), ორდანი გახლდათ. — ისეთი სულის-შემძრავი უღერადობა ჰქონდა ორდანს, ისეთ საამო ხმებს გამოცემდა ეს უცხო საკრავი, რომ უიმისობა უკვე აღარ შეეძლო მეშეთალის. — მის მსმენელს ყველაფერი ავიწყდებოდა...

ვერც რევოლუციის შუაგულში მოხვდა ურწმუნო მეშეთალი, — რატომღაც, მისთვის არავის შეუთავაზებია ეს, თითონ კი მოერიდა თავი შეეხსენებინა, — იფიქრა უცხო ტომის კაცს, ვინ იცის, შეიძლება, გული არ გამიხსნანო და გარეგნულად თითქოს ვანზე ვადგა, მაგრამ, ხვდებოდა, რომ ეს მოძრაობა ალაღმართალი, პატიოსანი მშრომელი ადამიანების მომავალი ბედნიერებისათვის იყო გამიზნული და გულში თანაუგრძნობდა კიდევ.

ომმა სრულიად მოშალა ბათუმის სამეურნეო ცხოვრება. საწარმოთა დიდი ნაწილი ომის პირველხვევ წელს დაიხურა. საქონლის ტრანზიტი თითქმის შეწყდა. მიცემობისა და ყოველგვარი წარმოების ძარღვი ჩაკვდა. ქალაქი სასაფლაოს დაქვეშა გახდა. მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლებში გაიხიზნა... რუსეთს წარმატებები ჰქონდა თურქეთის ფრონტზე, მაგრამ რუსეთში რევოლუციამ გაიმარჯვა და ქვეყანა გამოეთიშა უმიზნო ხოცვა-ჟლეტას... საქართველოს მენშევიური მთავრობა თურქეთთან ომს აგრძელებდა. თურქეთი აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა და მალე თითქმის წინააღმდეგობის გაუწევლად აიღეს ბათუმი. მერე ოსმალეთის ალგილი ბათუმში ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ დაიკავეს.

ქალაქს დიდი რაოდენობით მოაწყდნენ რუსი სამხედრო ტყვეები გერმანიიდან და ავსტრიიდან. ყოველ ნახიჯზე შეხვდებოდით საბჭოთა რუსეთიდან გამოქცეულ თეთრ-გვარდიელ ოფიცრებს, — მეგობრობასა და თანადგომას რომ სთავაზობდნენ ყველა დამპყრობელსა და მოძალადეს...

სასურსათო კრიზისი ზენიტში აღიოდა...

მთელი ომის მანძილზე და შემდეგშიც ბათუმში იშვიათად შეხვდებოდით მენახელე ჩერქებს, ოქრომჭედელ დაღესტნელებს, ვაქარ ბერძენს, სპარს მეთულუხჩესა და ათობით სხვა ხელობის კაცს, რომლებიც შინა და ლაშათს მატებდნენ აღორძინების გზაზე დამღვარ ქალაქს. თითქმის ყველა ხელობა ერთ დიდ საფიქრალ-საზრუნავში მოექცა, — ეს იყო თავის გაღარკეობა და ლუკმა-პურის პრობლემა... ასეთ დროს ან მოსავადებული ხანჭალი ვიღას ჭირდებოდა, ან კიდევ ოქროსა და ძვირფასი ქვების სამკაული, რა ხელი ჰქონდათ ვაჭართან, ან რატომ უნდა დახარბებოდნენ მეთულუხჩის ჩამოსხმულ ყინულივით ცივ წყალს, როცა ხალხს შიმშილით კუჭი უხმებოდა...

* * *

ომი რომ დაიწყო, მეშეთალი უკვე მარტოდმარტო ცხოვრობდა მამობილის ქოხში. მისი გამზრდელები, ჯერ კიდევ ომის წინა წელს გარდაიცვალნენ. ჯერ მამობილი ფერხალი წავიდა ჩუმად და უხმაუროდ, ექვსიოდე თვის შემდეგ დედობილი ურბაბაც მიჰყვა ერთგულ მეუღლეს. დარჩა მეშეთალი მარტოსულად, ყველაფერზე გულ-ატრუებული და ხელჩაქეული. მართალია, მამობილისა და თავისი დანაზოგიც, ცოტა ფული ჰქონდა, მაგრამ ფულის მოხმარასაც ხალისი ჭირდებოდა. ჯერ ფიქრობდა, შეიძლება ომში წამიყვანონო, მაგრამ ხელისუფლებს იგი თურქი ეგონათ და თურქების წინააღმდეგ ომში მისი წაყვანა შეიძლება, სანანებელიც გახდომოდათ. ესეც არ იყოს, ომი რომ დაიწყო მეშეთალი ოცდათხუთმეტს იყო გადაცილებული და ჯარში გასაწვევი ასაკი გადაცილებული ჰქონდა... ისე დარჩა მარტოობამ ხელი, რომ ადგილს ვეღარ პოულობდა. სადმე წასასვლელი რომ ჰქონოდა, ცოტა ხნით გაერიდებოდა ქალაქს, სადაც არაფერი აღარ იზიდავდა და არც არაფერი ჰქონდა გასაკეთებელი, რომ გული გადაეყოლებინა.

ისე გავიდა ეს წლები, ქალის სითბო და აღერსი არ უგემნია... მეშეთალის ქალის ნაწი ხელი და ტრფობით ანთებული ცეცხლი აკლდა და ზოგჯერ ენატრებოდა კიდევ ისეთი მცხუნვარე და მოგიზგიზე ცეცხლი, ბუხარს მიფიცებულ კატასავით ზმორებას რომ დააწყებინებს კაცს.

...საღამოობით, ნავსადგურში იცოდა გავლა, მარტოობის ნაღველი რომ მოქალებოდა, საათობით გადაწყურებდა ზღვას და მესხიერებაში უცოცხლდებოდა ბავშვობის ათასგვარი მოგონება, ლაში მუშის მშობლიური სითბო და ზრუნვა ობოლ ბიჭზე, უარჩაული გამზრდელები და კიდევ რამდენი სხვა რამ. ოცდაათი წლის შემდეგაც წვდებოდა მის სმენას ლალუმების აფეთქების ხმა, პეტრას ციხის ნამუსრევიდან. გან-

საკუთრებით, იმ ერთი აფეთქებისა, რომელმაც მთლიანად შეცვალა მეშეთალის მონა-
ვალი. — უკეთესობისაკენ თუ უარესობისაკენ? — გაუთვლებდა ხოლმე ფიქრში და
კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირდა.

შემოდგომის ერთ წვიმიან საღამოსაც შინ ვეღარ მოუთმინა გულმა და ნახსადგუ-
რში გავიდა ბავშვობის მოგონებებთან შესახვედრად. გადაუღებლად წვიმა, ქუჩებში
სულიერი არავინ ჩანდა, ეგ კი არა, მაწანწალა ძაღლებიც შემალულოყვენ თავშესა-
რებში.

აღრინლ ზღვაში, ნაპირთან ახლოს, რიდეზე ინგლისური სავაჭრო გემი იდგა და
გამოუცდელ კაცს რომ ენახა, იფიქრებდა, ტალღების წყვეტება-ჩაჭვურისაგან სადა-
ცაა ამობრუნდებოა. მეშეთალიმ ვაგზლის შენობას ზღვის მხრიდან შემოუარა და
მგზავრთა მოსაცდელ დარბაზს მიადგა. მხრებზე მოხურული ღარიო საწინმარი წვი-
მისაგან იცავდა.

ზღვა ღმუილით ეწყვეტებოდა გემების სადგომს და თავადერილი ტალღა ზოგ-
ჯერ ვაგზლის შენობამდე უწევდა, შენობის წინა კედელს ერთს ძალუშად შეასკდე-
ბოდა და მერე ბროლივით იმსხვრეოდა და იბნეოდა ქვაფენილზე.

ელავდა. გაავებული ცა ყრუდ გრუხუნებდა, ქარი დრეკდა და ათამაშებდა
წვირთებს.

ერთი ასეთი გაელვების დროს ვაგზლის მოსაცდელი დარბაზის შესასვლელთან.
კუთხეში, გრძელ სკამზე, მწყერივით მოხუხული ქალი შენიშნა მეშეთალიმ და
თვალს არ დაუჭერა, — ამ ქვეყნის დაქცევის უამს ქალს, ისიც ასე შილიფად ჩაც-
მულს, აქ რა უნდაო, გაივლო გულში და ერთხანს შიშაც შეეპარა, მიჩვენება და ავი
სული ხომ არ არისო...

ზედიზედ იელვა და მკახედ დაიგრავინა ზეცამ. ამ გაელვებაზე შენიშნა მეშეთა-
ლიმ, როგორ აცემინებდა კბილს კბილზე ქერათმიანი, ახალგაზრდა ქალი... მერე
ერთხანს იდგა სიბნელეში და იცდიდა, ისევ როდის დანათებდნენ მორიალე ღრუბ-
ლები ცაში ჯოჯოხეთურ ცეცხლს, რომ ერთხელ კიდევ შეეველო ქალისთვის თვალი...
ბოლოს ნაჭაფი, რკინასავით მაგარი ხელი ქალს ნაზ, ფაფუკ მაჭაში გაუბედავად ჩაავ-
ლო და ოდნავ თავისკენ მოსწია. ქალი უცხო კაცის ნებას დაჰყვა და ფეხზე დადგა...
მეშეთალიმ მხრებზე წამოსურული საწინმარი მოიხსნა და ქალს მოახურა. შემდეგ, თოკ-
ზე რომ თიკანს გამობამენ ხოლმე, ისე გაუძღვა წინ და უსიტყვოდ აიღო სახლისაკენ
გეზი...

— ერთი შენი ცოლშვილი მომასწრო და შეტი არაფერი მინდა ქვეყანაზე, —
ეტყუოდა ხოლმე დედობილი ურბაბა მეშეთალის და გაზრდილს ისეთი მავედრებელი
თვალეებით შესვლავდა, გულმხურვალე მლოცველები ზეცაში ღმერთის სამყოფს რომ
ახედავენ ხოლმე.

ასეთ დროს, მამობილ ფერზალის დაწვებამდე მოღებული ჭაღარა წვერის სიღრ-
მიდან გამომშორალი წვრილი თვალეში აუკიაფდებოდა და მომავალი შვილიშვილი ახ-
დენილ ოცნებასავით დაუდგებოდა თვალწინ.

მეშეთალი დიდ, ჯაგართმიან თავს ჩაღუნავდა და დარცხენილს ყურის ბიბილოე-
ბზე ცეცხლი შემოენთებოდა.

ამ ნატვრაში გალიეს მოხუცებულობის წლები მამობილმა ფერზალიმაც და დედო-
ბილმა ურბაბამაც...

ასე დარჩა მეშეთალი მარტოღმარტო, მამობილის ხელით აშენებულ პატარა ფი-
ცრულ სახლში და ფიქრშიც კი ვეღარ უშხედდა თავის თავს, კიდევ რომ შეიძლებო-
და მარტოხელა კაცის უკულმა წახული ცხოვრების წაღმა შემობრუნება...

ასლა, ქვეყნის დაქცევისა და მეორედ მოსვლის მაუწყებელ ამინდში, ორმოც წელს
მახლოებულს, კარჩაკეტილ სახლში მაჭაში ხელჩაკიდებული რომ შეყავდა ახალგაზრ-

და, უცხოში ქალი, სულის სიღრმეში თითქოს გაენსნა დიდი ხნის შესორცებული ღრმა
ჭრილობა და მოეჩვენა, რომ კიდევ გაუცოცხლდა ბავშვობისდროინდელი მიუსაფრობის,
ობლობისა და უმწეობის განცდით გამოწვეული ტკივილი. იმის მიუხედავად, რომ
შემდეგში, კეთილი ადამიანების ხელშეწყობითა და ზრუნვით, ბევრი რამ უკეთე-
სობისაკენ შეიცვალა მეშეთალის ცხოვრებაში, ეს ტკივილი, როგორც ჩანს, თვლემდა
წის არსებაში.

ტყუპის ცალივით გავდა ეს შემთხვევა მეშეთალის თავზე გადახდენილს, როცა
ბედმა, ოცდაათიოდე წლის წინ, ბუდიდან გადმოვარდნილი ჩიტის ბარტყვით უმწეო
ბავშვი, ამ უცხო ქალაქში გადმოისროლა... წარსულის გახსენებამ მეშეთალის ტვინში
რომელიღაც უჭრელი ძალუმად შეურხია და თითქოს რაღაც ჩაუწყდა კიდევ. მის
ბავშვობისდროინდელ და დღევანდელ ამ შემთხვევას შორის განსხვავება მარტო ის
იყო, რომ მაშინ ლაზმა, სანამ სახლში წაიყვანდა მეშეთალის, უკვე იცოდა, რომე-
ლმა ქარმა გადმოავდო ობოლი ბიჭი ნათუმის ნავსადგურში. ლაზის ფაცხაში იმდენი
სიცოცხლე ჩქეფდა მაშინ, რომ ერთ სასახლესაც ეყოფოდა. ახლა მეშეთალის, ოდეს-
ღაც მის მიმართ გამოჩენილი დიდი ადამიანური სიკეთისათვის, რაღაც უზილავი, ყოფ-
ლისშემძლე ძალა თითქოს ცდიდა და მასაც, მიუხედავად იმისა, რომ პირველად ხე-
დავდა ამ ქალს, მკაცრი, შეუვალი ინსტინქტისა თუ მოვალეობის კარნახით რომ უნდა
ესხნა და გადაერჩინა ოდესღაც მის ბედში მყოფი უმწეო ადამიანი, ქალისთვის ხელი
ჩაეველო და ჯიუტი გადაწყვეტილებით შეჰყავდა გამოკეტილ ქონში. რომ გეკითხათ,
რატომ აკეთებდა ამას, მეშეთალი გადაწყვეტით ვერაფერს ვეტყვოდათ, ისე კი, რა-
ღაცას ბუნდოვნად ხვდებოდა თუ ვრძნობდა, — რაკი ამ ქალის ხვედრი ასე ძა-
ლიან გავდა ბავშვობისდროინდელ ხვედრს მეშეთალისას, ასეთი დამთხვევა მარტო
შემთხვევითობით არ შეიძლებოდა ახსნილიყო.

სხვა რა უნდა ყოფილიყო ეს, — მეშეთალიმ ამდენი აღარ იცოდა.

— იქნებ, ღმერთის ხელი ურევია ყველაფერში? — გაუელვა ფიქრმა, მაგრამ
ამ ფიქრს სიღრმეში აღარ შეყოლია, — მან ძალიან ცოტა რამ იცოდა ღმერთზე.

თუმცა, მეშეთალის აზრით, იყო თუ არა ეს ძალა ღმერთი, ამას არც ჰქონდა
არსებითი მნიშვნელობა, მისთვის მთავარი იყო, რომ რაღაც ზემოქმედი ძალა უბი-
ძებნა ადამიანებს დახმარების ხელი გაეწოდებინათ ერთმანეთისათვის. მან თავის-
თავზე გამოსცადა მზარუნველი ხელის სიკეთე...

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ს ა მ შ ო ბ ლ ო

სამშობლო მიწის ნაჭერია, სხვა არაფერი.
 სამშობლო მიწის ნაჭერია, რომელზეც ვდგევარ.
 აქეთ ყინულის უდაბნოა, იქ — ქარაფები,
 შუაში მე ვარ!

სამშობლო მიწის ნაჭერია, არაფერი სხვა.
 მიწა იმ ტერფის ოდენია, რომელზეც ვდგევარ.
 ბიჯს ვერ მომიცვლის ვერც მტრის ხმალი, ვერც ღვთის შერისხვა,
 უტეხი კლდე ვარ!

სამშობლო მიწის ნაჭერია, განა სხვა რამე.
 სამშობლო მამის საფლავია, რომელზეც ვდგევარ.
 თვალს არ მოვხუჭავ, ვიდრე ირგვლივ ფხიზლობს წყვარამი,
 მამის სისხლი და მამის ლუკმა იყოს არამი,
 უქმად თუ ვდგევარ!

სამშობლო მიწის ნაჭერია, სხვა არცრაიცა.
 მოვკვდები, მიწად გარდვიქცევი, რომელზეც ვდგევარ.
 მშობლის საფლავს კი ახლა ჩემი შვილი დაიცავს,
 სამშობლო მიწის ნაჭერია, — სხვა არცრაიცა,
 სამშობლო მე ვარ!

ნუ გეშინია

ნუ გეშინია, რომ არ ვიქნებით.
 ეს არყოფნაც დროებითია.
 მხოლოდ სიკვდილს ასაფლავებენ...
 ჩვენი სიცოცხლე აქ დარჩება,
 ჩვენი სისხლი ისევ ინჭროლებს
 სახემეცვლილ ჩვენს სხეულებში, —
 ჩვენთა შვილთა შვილიშვილებში...
 ორად ორი ადამიანით დაიწყო ღმერთმა,
 დღეს იმდენი ვართ, — ეშმაკმაც კი ვერ
 გადათვალოს.

ნუ გეშინია, რომ არ ვიქნებით,
 ადამის მოღვმის გადაპრჩენო

ბიბლიური კიდობანივით,
ჩემო
სამარადისოდ ერთგულო ქალო.

ნუ ინაღვლებს
აქ დარჩენილი ჩვენი არსება,
როცა იშორებს ძვირფას ძველმანებს,
როცა ჰკეტავს მიწის ზანღუკში
რასაც არქმევს „დედას“ და „მამას“,
გადარჩენილი ჩვენი სისხლი ისევ აგრძელებს
ევასდროინდელ
ყველაზე უფრო აზარტულ თამაშს.
კი არ მოვკვდებით, —
დავშორდებით ერთიმეორეს,
თაობიდან თაობაში გავუმგზავრებით...
შემოვივლით მთელს დედამიწას,
შემოვივლით საუკუნეებს,
და რომელიღაც კონტინენტზე,
როგორც მოხდა დღემდე მრავალჯერ,
სადღაც, შემთხვევით

შევეჯახებით.

ერთმანეთი ისევ რომ ვიცნოთ
რაღაც ნიშანი მაინც შეგვრჩება:
ან თვალები, ან ბაგეები,

ანდა სახელი.

ბედნიერები,
მიღეთის ხალხში ერთმანეთისკენ
რომ არ დაგვებნა გზა და ბილიკი,
ზეცისაკენ სანთლებივით აღიმართება
ცეცხლმონთებული ჩვენი თითები,
შეყვრით სამყაროს
გაოცებულს სიყვარულის ისევ აღღგომით
და კიდევ ერთხელ დავქორწინდებით...
ნუ გეშინია,
ნუ გეშინია, რომ არ ვიქნებით!



დ უ რ ჯ ი ც ი ს ნ ა ჯ მ რ ი

მიუხედავად ყველაფრისა, ბუღუია მინც კმაყოფილი იყო თავისი ხვედრისა. მართალია, ხუთი კაცის გასაკეთებელს არ თაკილობდა, მაგრამ, სამაგიეროდ, სარდიონი მაძღრისად აქმევდა და ის მტანჯველი შიმშილის გრძნობა, რომელიც აქამდე აწუხებდა, უკვე აღარ ახსენებდა თავს. აღზათ მაშინ ეს იყო მთავარი, რადგანაც კმაყოფილი იყო თავის ბედისა და ხვედრისა... მის ყოველდღიურ საზრუნავ-საფიქრალს მხოლოდ ის წარმოადგენდა, თუ რა გაეკეთებინა ხვალ, ზეგ, მაზეგ... მოჰქონდა შეშა და ბაქაბი, ცეკავდა, კაფავდა, ჭრიდა, ზვინავდა, თესავდა, მარგლიდა, მოჰყავდა ჭირნახული და სხვის სასიმიდელში, სხვის ბედელში, სხვის მარანში აბინავებდა. აქ მისი აზარადი იყო საკუთარი სხეულისა და სულის გარდა. ღუკმაც სხვისი ბოძებული იყო და ის დაკონკილი ლეიბ-საბანიც, რომელზედაც ყოველ დამით წვებოდა... შრომობდა ბუღუია და თავისი სიმშვიდით, დუმით, კმაყოფილებით, უზრუნველობითა და ერთფეროვნებით რაღაცით ემსგავსებოდა კიდევ გამაძლარ საქონელს...

აღათია ობოლი იყო, ისიც ბუღუიასავით თავდაუზოგავად შრომობდა, ისიც ღუკმა ბურისა, სხვისი გამონაცვალი ჭინჭებისა და ჭლანების საფასურად ემსახურებოდა სარდიონსა და მის ჭალაბს... მთელი დღე ჯარასავით ტრიალებდა და ბრუნავდა. სურდათ თუ არ სურდათ, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, სჭირდებოდათ თუ არ სჭირდებოდათ, მინც რაიმეს ავალბდნენ და ასაქმებდნენ. მისი დასაქმება ყველას სავალდებულოდ, სამაღლო და სასიკეთო საქმედ მიიჩნდა.

მადლიერი მინც არავინ ჰყავდა აღათიას. ყველას სჭირდებოდა და ამიტომ, როცა სჭირდებოდათ, მხოლოდ მაშინ ახსოვდათ იგი. თუმცა აღათია დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა ამას. ერთხელაც არ დაფიქრებულა იმაზე, თუ რატომ იყო ასე, რატომ იწუნდა ყველა მის მიმართ ასეთ უმადურობას. იმდენად იყო შეგუებული თავის ხვედრს, სჭეროდა, ნამდვილად ასე უნდა ყოფილიყო და არა სხვანაირად.

ერთადერთი, ვისაც მისი შველა და დახმარება არ სჭირდებოდა და მინც ყოველთვის ახსოვდა იგი, ბუღუია იყო. თუ აღათია მთელი დღის განმავლობაში ქათამივით სულ სახლის გარშემო ტრიალებდა, ბუღუია სულ გარეთ იყო — ხან ჭალაში, ხან ვენახში, ხან სათბოში... ერთმანეთს მხოლოდ სადამოობით ხედავდნენ... ძალიან მალე დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ორივენი ერთნაირი ბედ-ხვედრისანი რომ იყვნენ, ვინ იცის და ამიტომაც გაუგეს ასე ადვილად ერთმანეთს, შეეთვისნენ და შეუყვარდათ ერთმანეთი.

ცოლ-ქმარი ყოველთვის ბოსელში ხომ არ იცხოვრებდა აბა და, როცა ერთ დღეს სარდიონს განუცხადეს, აქედან უნდა წავიდეთო, მას არ გაკვირვებია. მიხვდა, კანონ-წომიერი რომ იყო ყველაფერი — მათი შეუღლებაც და ბოსლიდან თავის დაღწევის სურვილიც. მაგრამ მას ხელს არ აძლევდა ასეთი მუყაითი, მუქი მუშახელის დაკარგვა და გადაწყვიტა, ისინი უხილავი თოკით დაეხა და მათი შრომა შემდგომშიაც მოეხმარა. ამიტომაც იყო სოფლის ბოლოს, ტყის მახლობლად, იქ სადაც ბუღუია ბავშვო-

დასასრული. იხ. „ქორი“ № 4

ბაში საქონელს აძოვებდა, ეკლითა და ჯაგნარით დაფარული მიწის ნაკვეთი არუქა მაი.
ეს მიწა არავის არ ეკუთვნოდა და ჭერ კაცისშვილს არ დაეკრა ბარი და თონი

გაზარებულმა ბუღუიამ გაკაფა ეკალ-ბარდი, ამოძირკვა ბუჩქები, ააგო სამწალი და
ახალშეუღლებულებმა განმარტობით დაიწყეს ცხოვრება. პირველ ხანებში მშვიდად,
წვწარად ცხოვრობდნენ ამ ტყუური სიმშვიდით, სიმწვანითა და იდილით გამსჭვალულ-
გაბრუნებულები. თავი ბედნიერად მიაჩნდათ... მერე რატომღაც გულუბრყვილო და
ცხოვრებაში ჩაუხედავი ბუღუია შიშმა მოიცვა, არ სჭეროდა, უკვირდა, აკრთობდა ეს
ბედნიერება და დარწმუნებული არ იყო რომ დიდხანს ვაგრძელებოდა ასე. მას სჭე-
როდა რომ მოვიდოდა ვიდაცა, ხილული თუ უხილავი, არსებული თუ არარსებული,
დაეკატარონებოდა მის წილხვდომილს, წაართმევდა ამ ქობს, ეკალ-ბარდითა და ნარ-
ულტამით გაქსაქსულ მიწას. მას კი ისევ იქ, სარდიონის ბოხელში დააბრუნებდა. ეს
გულმართლებელი, პანიკური და დამთრგუნველი შიში დიდხანს, შორ გზაზე წადებულ
საგზაღვით გამოეწოგა ბუღუიას. იგი გულში უზომოდ მადლიერი იყო სარდიონისა
ამ სიკეთისა და გულუხვობის გამო, რადგანაც ჭერ კიდევ კარგად ვერ აზროვნებდა.
ამიტომაც სარდიონი კეთილ კაცად მიაჩნდა... იგი ჭერ ბაიბურში არ იყო თუ რა სდე-
ბოდა ქვეყანაზე. მან არ იცოდა რომ ქვეყნად ქაირშხალი მძვინვარებდა, რომ იყო რე-
ვოლუცია და მასავით უპოვარი, არაფრისმქონე და უუფლებო ხალხი იბრძოდა მიწისა,
თავისუფლებისა და სიმატლისათვის. ამ მიყრუებულ სოფელში ჭერ კიდევ არ იცო-
დნენ, რომ სულ მალე გაუგონარი, ზღაპრული ამბები უნდა დატრიალებულიყო. ბუ-
ღუია იმის გარდა ვერაფერს ხედავდა, ამჩნევდა და გრძნობდა, რაც მხოლოდ მის გარ-
შემო განფენილიყო. იგი ხედავდა მხოლოდ თავის ქობს, გაძვალტკავებულ ძროხასა და
იმ მიწას, რომელიც, მართალია, ეკალ-ბარდით კი იყო დაფარული, მაგრამ მანაც
მისი იყო, მისეული და, რომელიც ამდენი წლის ოფლის ღვრისა და უმადური სა-
საბურის შემდეგ, როგორც იქნა, გამოიმეტა სარდიონმა.

ქობი კუნძულივით იდგა ეკლის, ბარდის, ანწლისა და გვიმრის ჭუნგლებში. ალა-
თიას, ცოტა არ იყოს, პირველ ხანებში ეშინოდა კიდევ ამ ახალი, ჭერ კიდევ შეუთვის-
ებულ-ალუქმელი გარემოსი. საშაგიეროდ აზარებდა ჩიტების ჭიკჭიკი, კოლაღას კაკუნს,
ფუტკრის ზუზუნს..

მალე ქობში ბავშვი აღნავლდა და ახალ დაფუძნებულ ოჯახს სიხარული, საზრუნა-
ვი და საქმე-გასაკეთებელი გაუათკეცა. ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე...

ცხოვრება კი თავისი გზით წილილ-მიედიანებოდა მდინარესავით. იცვლებოდა,
ინტრეკ-იმსხვრეოდა ძველი საზოგადოება და წყობა. რევოლუციამ პირისხაგან მიწისა
აშვაჯა ყველაფერი ძველი, დრომოქმული და დახავსებული, გაჰქრა სარდიონი და სხვა
მისთანანი, და, ახლა უკვე ბუღუიას ნაირ-მაგვარებს დაუდგათ თავისი დრო-ჟამი, ახ-
ლა ისინი წარმოეჩინენ და გამოვიდნენ ახალი ცხოვრების ახალ სარბიელზე. მხოლოდ
ახლა დაფასდა მათი აქამდე უმადური შრომა, მარჯვენა და საქმე, ამჭერად მიწამ თა-
ვისი ნამდვილი, ქეშმარიტი პატრონი იპოვა.

ბუღუიამ ცხოვრების ნიჩი, ზნე და ხასიათი შეიცვალა, გახალისდა, გამხიარულდა,
პირზე ღიმი მოეფინა და უწყყმანოდ ჩაება ახალი ცხოვრების ფერხულში. არტელშიაც
პირველი შევიდა და მთელი არსებით ჩაება ყოველდღიურ საქმიანობაში. საქმე კი მა-
ტულობდა, რადგანაც ახალი დრო და ცხოვრება მოითხოვდა ასე... უკვე ხუთი შვილი
ჰყავდათ, ხუთი დარდი და სიხარული, საფიქრალ-საზრუნავი და თავში საცემი. ჩაცმა
უნდოდათ, დახურვა უნდოდათ, ქამა-სმა და ვინ მოთვლის, რა არა კიდევ... ბუღუია
წლებზე ფხვს იდგამდა და ყველაფერს აკეთებდა, რათა შვილებისათვის ის არ მოე-
კლო, ის არ გაეხადა სანატრელ-საოცნებო, რაც მას აკლდა ბავშვობაში, რისი ნატრუ-
ლიც თავად იყო ოდესღაც..

ალარც ალათია უდებდა ტოლს ქმარს. როგორც შეეძლო ისე შრომობდა შინ და

გაბით, ქალის საქმე მანც ძალიან უჩინარი იყო, დაუსრულებელ-მოუმთავრებელი და უმადური. თუმცა აღათია არავისაგან არ ითხოვდა დაფასებასა და სხვებისგან იმხსენებდა ნახვა-აღწესებას, რასაც იგი ყოველდღიურად აკეთებდა სახლში თუ კოლმეურნობაში.

ალიონზე რომ გავიდოდა სახლიდან ბუღუთა, შინ გვიან, მზის ჩასვლის შემდეგ ბრუნდებოდა. მაგრამ რაგინდარა დალილი-დაქანცული არ უნდა ყოფილიყო, მაინც ეტყობოდა სახლზე კმაყოფილება და სიხალისე. ოჯახი ჯერ სამზადში ივსშემდებდა, მერე კი, როცა შუალამის მოახლოებას უკვე აღარაფერი უკლდა, დასაძინებლად აღივლინენ ხალაგებულ ოლა-სახლში.

ყველაზე ბოლოს აღათია გადიოდა სამზადიდან. სანამ ძირისძირობამდე არ მია-თავებდა საქმეს, ისე ბიჯს არ მოიცვლიდა ადგილიდან. ყველაზე გვიან იძინებდა, მაგ-რამ ყველაზე ადრე ის დგებოდა მაინც.

...და ასე, შეუმჩნევლად, თვალსა და ხელშუა გარბოდნენ წლები.. ბავშვები კარგა-ნადა გაიზარდნენ უკვე... პირველად უფროსმა შვილმა აიწყვიტა, ველარ დაუღო გულში სოფლის საქმეს, ქალაქიო, რომ დაიჩემა, ველარ გადაათქმევინეს მერე. თუმცა ცოლ-ქმარს დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია. რაკი მას სურს, დაე წავიდესო, იფიქრეს... პირველს მეორე მიუყვა, მეორეს მესამე... ბოლოს, ისე წავიდა საქმე, მეზუთემ, ნაბო-ლარამ, მე რა მაგათზე ნაკლები ვარო და, იმისი არ იყო, მეც ნახირ-ნახირო, დაჭკრა ფეხი და მანაც მიაშურა ქალაქს.

როცა შვილები შემოეფანტათ და სახლი ერთბაშად დაცარიელდა, მაშინ კი იგრძ-ნო ცოლ-ქმარმა მოწყენა, მაგრამ რადგანაც ჯერ კიდევ, ასე ჰქვია, ახალგაზრდები იყვნენ და ძალა შესწევდათ, ასე თუ ისე მაინც არაფრად ჩაუგდიათ ეს. ასე იფიქრეს, წავიდნენ და ისევ უკან მობრუნდებიანო. მაგრამ რა იცოდნენ, თუ რა სასტიკად ტყუ-ვდებოდნენ.

შვილები იშვიათად თუ მიიცლიდნენ და ჩამოდიოდნენ მშობლებისა და მშობლი-ური ბუღის მოსანახულებლად. ჩამოვიდოდნენ, დარჩებოდნენ ერთ-ორ დღეს, ჩახალა-გებულს ჩაალაგებდნენ, წასადებს აიკიდებდნენ და ისევ უკან გარბოდნენ.

ბუღუთა თანდათანობით რწმუნდებოდა, რომ შვილები უკვე აღარასოდეს დაუბ-რუნდებოდნენ მამისეულ კერას. და მათი, აღათიასა და მისი სიკვდილის შემდეგ კერი-აზე ცეცხლის გამჩაღებელი რომ არ იქნებოდა არავინ, ამაშიაც რწმუნდებოდა თანდა-თანობით. ეს კი არა და, მას ისიც კი სჯეროდა უკვე, რომ, როცა აჭაურობის გაყიდ-ვაზე მიდგებოდა საქმე, შვილები უყოყმანოდ, დაუხანებლად, ყოველგვარი სინანუ-ლისა და სიმძიმის გარეშე მიაყიდდნენ ყველაფერს... ეს ხომ სწყინდა და სწყინდ-და, მაგრამ ყველაზე უფრო მაინც ერთი რამისა ეშინოდა ბუღუთას — მათი, მისი და აღათიას ნაკვადვი, ნაშრომ-ნაჭაფი და ნაოფლარი სახლ-კარის გაყიდვით აღებული ფულის გაყოფაზე არ დაეხოცათ შვილებს ერთმანეთი და ამის გამო საფლავში არ გა-დადებრუნებინათ, მეორეჯერ არ მოეკლათ სირცხვილისაგან, სიცოცხლეში სირცხვილ-უქმელი კაცი.

თანდათანობით, უმოწყალოდ ბერდებოდნენ. მაინც არ ეპუებოდნენ, მაინც შრო-მობდნენ, სიმწრით აკეთებდნენ გასაკეთებელს; სატიკვარი აწუხებდათ, მაგრამ ითმენდნენ, კვნესა-ოხვრა და სამღურავ-საუგო რომ არ დაცდენოდათ, მაგრად აქერდნენ კბილს კბილზე და ისე ითმენდნენ. სანამ ჯერ კიდევ შეეძლოთ ხელ-ფეხის გაქანება, სურდათ ისევ ეშრომათ, რათა ეკალ-ბარდს არ დაეფარა, პარტახსა და ნახალარს არ დამხვავ-ებოდა იჭაურობა.

ნანდახან, როცა, ვინ იცის, უკვე მერამდენეჯერ რწმუნდებოდა შვილების გულცი-ვობაში, რადაცნაირი სიცივე, გამჭოლი სიცარიელე და გაუსაძლისი სევდა-სიმძიმეი ეუფლებოდა ბუღუთას. სწორედ მაშინ, ასეთ დროს იყო, აღარაფერი რომ აღარ ახა-რებდა, აღარაფერი რომ არ სურდა, არ უნდოდა საერთოდ, მაგრამ ეს ამათია მისი

სახიზარულოდ დიდხანს არ გრძელდებოდა, რადგანაც შრომის თანდაყოლილი ინსტინქტი, მიზანი იმისა, შიში იმისა, მის სიცოცხლეშივე გავერანებულ-გაპარტახებული არ ენახა აქაურობა, იმარჯვებდა ყოველგვარ სევდა-წუხილზე, ტკივილზე და უბედურებაზე. ბუღუია თვალნათლივ, ხელშესახებად გრძნობდა, რომ ძველებურად აღარც ჭანი შესწევდა და აღარც ღონე... თანდათან, შეუმჩნევლად ახლოვდებოდა სიძაბუნე, აძაბუნებდა და ართმევდა არაქათს. უჭირდა სიბერესთან შეგუება, უკვირდა, ძველებურად რომ არ შესწევდა ძალი და ღონე, საკუთარ თავზე მოსდიოდა ბრაზი. გაღიზიანებულ-აბოზობრებული, სიმივით დაჭიმული, აკვირებული სიჯიუტით ცდილობდა როგორმე დაეძლია სიძაბუნე, ძველებური სიხალისითა და ძალით მოკიდებოდა საქმეს. მაგრამ ამო იყო ყველაფერი. რაც უფრო მეტად ცდილობდა, რაც უფრო მეტად უნდოდა, უფრო მეტად უჭირდა. ბოლოს მიხვდა, ამო იყო ყოველი, ვეღარ შეძლებდა შეუძლებელს, ვეღარ დაიბრუნებდა დროის უღმობელ ქროლას, წატანებულ ძალ-ღონეს, როგორც შეეძლო და მოეხერხებოდა, ისე შრომობდა მაინც — ქოშინ-ქოშინით, სვენებ-სვენებით, დაჩოქილი თუ ჩამუხლული...

აღათა შეჩინილივით ეჩხუბებ-ეჭუჭლურებოდა: — დანებე კაცო თავი, ნუ ხარ შენ შტერად და აბღლად დაბადებული. ჯანდაბაში წასულა აქაურობა, წყალსა და მეწყერს წაუღია ყველაფერი. ხომ ხედავ, არცერთ შვილს დასანახავად არ უნდა აქაურობა? ჩვენს გარდა რომ არავის არ უნდა, ხომ ხედავ?

აბა რაღა აღათიას შესხენება უნდოდა, როცა ბუღუია ისედაც კარგად ხედავდა ამას. მაგრამ რა ექნა, როცა არ შეეძლო, არ ეგებოდა სხვანიარად? როცა გული არ აძლევდა დასვენების უფლებას? ასე ეგონა, როგორც კი დაისვენებდა, მაშინვე გაძვრებოდა სული. თანაც იმისაც ეშინოდა, ვინმეს არ ეთქვა, დაბერდა კაცი, აღარ შეუძლია მეტი და, დახეთ, გავერანდაო აქაურობა...

კაცმა რომ თქვას, სულ ტყუილუბრალოდ ეშინოდა ამისა: ვინ იყო, ვინ დარჩენილიყო ამისი მოქმედი, წედამხედველი და გამკილაგ-მაძაგებელი? არავინ... სოფელი ნელ-ნელა იცლებოდა, ილეოდა და ქრებოდა. მოხუცები კვდებოდნენ და სასაფლაოს ზრდიდნენ, ახალგაზრდებს ქალაქისაკენ ეჭირათ თვალი და შეჩვეულ სოფელს, შეუჩვეველი ქალაქი ერჩიათ.

ბუღუია საკუთარ დარდივით განიცდიდა სოფლის ასე დაშლა-გაქრობას, მაგრამ რა ექნა, როცა ხმის ამოღების უფლება რომ არ ჰქონდა? ანკი რომც ეთქვა, ეყვირა, ექადაგა, ედავა და ეღალადისა, ვინ მოუსმენდა, ვინ შეისმენდა, ვინ გაიგონებდა და ვინ დაუჭერებდა მაინც? ანკი თავისი გაქცეული შვილების შემხედვარეს რა მორალური უფლება ჰქონდა სხვებისათვის ჩაეგონებინა ის, რაიც საკუთარ შვილებს ვერ ჩააგონა.

დიდხანს იტოკმანა დაბოღმილმა, სიბრაზისაგან გულგახივივებულმა ბუღუიამ. ბოლოს ვეღარ მოითმინა მაინც და ერთხელ, როცა შვილებმა მოიცილეს და ინებეს მშობლების მონახულება, დრო იხელთა და გულში ამდენხანს ნაგროვები ვარამი ერთიანად გადმოანთხია, რა არ თქვა, რა არ იღალადა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა, ვერ იქნა და ვერცერთს ვერ შეაცოდა თავი, ვერ მოუბრუნა ოჯახზე გული. შვილებსა და ამდენ შვილიშვილებში ერთიც არ აღმოჩნდა ისეთი, რომ აქ დავრჩებო, მე აქ ვიცხოვრებო, ოჯახს მივხედავო, რომ ეთქვა. ყველამ იუარა, ქვა აავდეს, თავი შეუშვირეს, მერე ერთმანეთს დაერჩიეს, ერთმანეთი დაადანაშაულებს, ერთმანეთს დაავადებს აქ დარჩენა და მშობლების მიხედვად.

უგდებდა ყურს შვილებისა და შვილიშვილების ყუყანსა და ჩხუბს ბუღუია და თანდათანობით უჭირდა იმისი დაჭერება, რომ ესენი ნამდვილად მისი შვილები და შვილიშვილები იყვნენ და არა უცხონი, რომელთაც დღეს პირველად ხედავდა. თავი ეუღლად, მარტოდ-მარტოდ მიტოვებულივით იგრძნო, აუწერელმა სევდამ შეიპყრო ბერი-

კაცი. ერთხანს იჯდა და გაბურსაღებულ-გამოყრუებულღვით დუმდა, მერე იგრძნო, ახლა თუ არ ადგებოდა და თუ არ გაეცლებოდა მათ, მეტს ვეღარ აიტანდა, ვეღარ გაუძლებდა მეტს. გავიდა გარეთ და გაუყვა ბილიკს დამნაშავესავით, შერცხვენილივით თვალახრილი და მიწასჩაჩერებული.

როცა საკმაოდ გაშორდა სახლს და ყანას მიადწვია, ჩამოჭდა ხის ძირას, გაახვიდა თუთუნს და მყარად, მოიისფერო ბოლოში გავიხვია. ეწეოდა მდუმარედ და გაუძნდვლად მჭიდროდ მიეშტერებინა მღვრიე, დალიბრული მწერა ერთი ამოჩემებული წერტილისათვის... წემოდან მოკრიალებული, ლურჯი, ხახხასა ცა დაპყურებდა, რომელწვედაც დასავლეთისაკენ გადახრილი შემოდგომის მწე ჩახჩახებდა. თვალსაწიერი სანეტარო, იდუმალ სიმყუდროვეში ჩაფლულიყო და მშვიდად, უზრუნველად სთვლემდა...

— აჟა ხარ, კაცი?! — მოესმა ამ სიჩუმეში მკვეთრად და მძაფრად.

შეუმჩინებლად მოახლოებული ალათია ადგა თავზე და თანაგრძნობით შესცქეროდა თვალბში: — ვიფიქრე, სადა-მეთქი და...

მადლიერი მწერა შეავლო ბუდუიამ ალათიას... აღარც შვილები, აღარც შვილი-შვილები, აღარც რძლები რაღა თქმა უნდა... აღარავინ ალათიას გარდა... მხოლოდ ის, ერთადერთი ალათია შემორჩა ბოლომდე ერთგული, ბოლომდე გამგები, გულშემჭირნე, მოთანაგრძნე და მისეული. დაყოყნო სელისგული ჩამოსხვა ლოყაზე და ჩაილაპარაკა: — მომკლა იმათმა ყაყანმა და ჩხუბმა... დავისვენებ-მეთქი, ვიფიქრე და... ერთი მითხარი, თუ გაჩერდნენ მაინც?

— კი, გაჩერდნენ... — დახშულ-დაგუბებულ ოხვრას ამოაყოლა ალათიამ. — წავიდეთ სახლში, ვახშამი მაქვს მოსამზადებელი.

ბუდუიამ ისევ შეხედა. უყურა, უყურა, მერე აარიდა მწერა და გაიფიქრა: — ამდენი ქალია სახლში, ამდენი ახალგაზრდა ქალი და მაინც ამან, ამ საცოდავმა უნდა მოამზადოს ვახშამი!

...მთელი ზამთრის განმავლობაში მარტოდ დარჩენილებს ხმის გამცემი ენატრებოდათ. ერთმანეთს კი იშვიათად თუ დაელაპარაკებოდნენ. თითქოსდა, რაც კი სათქმელ-სალაპარაკო გაჩნდათ, პირწმინდად გაეთავებინათ. ზამთრობით უსაქმოდ ყოფნა ქანცავდა ბუდუიას. საქმეს რომ ვერ ატანდა გულს, ფიქრი და დარდი უზუსთავდა სულს. ზამთრის ყოველი გრძელი ღამისა და მოკლე დღის გადატანა უხაროდა და მოუთმენლად მოელოდა გამოზაფხულებას.

იმ შემოდგომაზე კი ის იყო ავად ვახლა და...

იმ დღით თავი განსაკუთრებულად კარგად და მხნედ იგრძნო. მისვდა, ეღარ აიტანდა, ეღარ გაუძლებდა ახლა — შვების, რახათის მაგიერ ტანჯვას, გვემას მოგვრიდა წოლა, ახლა გაუყვარდა კიდევ, როგორ გავქელიო. ამდენი ხანია მარტო იწვა ამ პატარა, ჩამოხუთულ ოთახში, ამ დახშულ-დაგმანულ სიმყუდროვესა და სიმარტოვეში. ჩვეულებრივ უთენია ამდგარი ალათია მთელი დღის განმავლობაში დაბაჩუნობდა ეწოში და, პირველად თავის სიცოცხლეში, შეშურდა ბუდუიას ალათიასი — გარეთ ბოლიაღი და ყოველივე იმის დანახვა რომ შეეძლო, რასაც ბუდუია ვერ ხედავდა, ამის ვაშო შეშურდა... მეტი გამოსავალი არ იყო ახლა, უნდა ამდგარიყო და გარეთ ალათიასავით ებაჩუნებოდა აქეთ-იქით, რაღაცას ვაკეთებო, ამაში დაერწმუნებინა საკუთარი თავი და ამდენი ხნის შედეგ, უნებლიე შესვენების შემდეგ ისევ ჩაბმულიყო წუთისოფლის ფერხულსა თუ ბრუნვა-ტრიალში.

საწოლზე ჩამოჭდა, მერე ჭერ ცალი ფეხი გადმოდგა ლოგინიდან, მერე მეორე, და, წამით გაუჩნდა, დააყურადა, თუ როგორ ემორჩილებოდა ძაბუნი სხეული სულის მოთხოვნასა და დაუოკებელ ინსტინქტს... ბოლოს სუსტი, გაქვალტყავებული ხელებით დაეყრდნო საწოლის კიდეს და შიშით, მოლოდინით შეპყრობილი გაიმართა წელში

— ნელ-ნელა, გაუბედავად. რამდენიმე წუთს იდგა და ნიავემოლამუნებულ ფოთოლივით თრთოდა. იდგა და ფიქრობდა თუ ნატრობდა გუნებაში: — ღმერთო შემაძლებინე, ნუ წამაქცევ ახლა, ფეხზე დადგომა შემაძლებინე, ღმერთო!

ხელებოდა, თუკი ახლა წაიფოროსილებდა, თუკი ახლა წაიქცეოდა, მერე ძნელი იყო, უფრო გაუჭირდებოდა მერე ადგომა. ისიც ხაკითხავი იყო, საერთოდ, თუ წამოდგებოდა მერე. გული გაუტყდებოდა, რწმენას დაკარგავდა საკუთარი თავის მიმართ და ისევე ლოგინის სვერი გასდებოდა... რომ გაუძლო და არ წაიქცა, უზომოდ გაუხარდა და დამიდდა, ახლა უფრო მონდომებით, უფრო გაბედულად გადადგა ბიჯი... დახტო, თურმე ჰერ კიდევ შერჩენია მის გამოფიტულ სხეულს სასიცოცხლო ძალა და ენერჯია. გაუბედავად, ახალფეხადგმული ბავშვივით გადადგა პირველი ნაბიჯი, მერე მეორე, მესამე... ასე და ამგვარად მიადგა ფანჯარას და ეზოში გადაიხედა... ღმერთო, რამხელა სიხარული და ხალისი დაეუფლა მის სულსა და გულს, როცა ეღიროსა და ეზოს ის მონაკვეთი დაინახა, რომელიც ამდენი ხანია აღარ ეხილა... გასცქეროდა ეზოს და თანდათანობით, მისხალ-მისხალ, წვეთ-წვეთობით აღიქვამდა ყოველს. იმას, რასაც ახლა იგი ხედავდა, ყველაფერი ძველი იყო, ჩვეულებრივი, ათასჯერ, მილიონჯერ დანახულად-ქმული, მაგრამ მისთვის მაინც ახალი, მაინც ცინცხალი, თავისთავადი და განუმეორებელი... ახლა თავისი ეზო-კარი, თავისი მიწა, ყანა და ბოხტანი, ბაღი და ჭალა ეძახდა, უხმობდა, ახსენებდა და არწმუნებდა ბუღუიას. გაუხადისი იყო ეს ძახილ-დადაღისი. ყრუ, უგრძნობელი უნდა ყოფილიყო ნამდვილად კაცი, ეს რომ ვერ გაეგონა, ვერ აღიქვა და არ მიჰყოლოდა ამ მარადიულ, მშობლიურ, მარტივსა და ამავე დროს ამ ურთულეს დადაღისს, უყოყმანოდ არ გაჰყოლოდა ამ დაძახილის ექოს და სულით ხორცამდის არ დამონებოდა მას. კარგახნის მერე, როცა ეზოს ცქერით გაძდა, ფანჯარას მოცილდა და ერთხანს ოთახში დაიწყო უშიწნოდ ბოდიალი... ახლა იგი ტანსაცმელი ეძებდა. აბა, ასე, ლოგინიდან წამომდგარი, ნიფხავ-პერანგის აპირა ხომ ვერ ჩაფილდა ეზოში? ეძება, ეძება, მაგრამ ამაოდ. მიხვდა, სხვა გამოსავალი რომ არ მქონდა და ისევე აღათია უნდა ჩაერია საქმეში. იმასაც მიხვდა, სწორედ აღათიას დარწმუნება გახდებოდა ძნელი. აბა, როგორ უნდა აეხსნა მისთვის, თუ რატომ ადგა ახლა, რატომ სურდა ეზოში ჩასვლა. წამით კი შეაშინა ამან, მაგრამ იმდენად დიდი იყო წამოდგომის, ლოგინიდან გაქცევის სურვილი, აღათია კი არა, მთელი ღუნია რომ გადაღობებოდა წინ, მაინც გაიტანდა, მაინც მიადწევდა თავის ჩანაფიქრს და საწადელს.

მივიდა კართან, გამოაღო და აივანზე გავიდა. დილის ცინცხალი კამკამა ჰაერი და ახალამომავალი მზის სხივი შევბასავით მოელამუნა გულზე...

— აღეკი, კაცო?! — ჩაესმა და შემცბარმა მიაბრუნა თავი.

აღათია ამოდიოდა კიბეზე. წამით კი შეხედა, მერე აარიდა მხერა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— ტანსაცმელი მომეცი...

ეს ისეთი დაჟინებით, ისეთი მოუთმენლობით იყო ნათქვამი, მაშინვე მიხვდა აღათია, გაუჭირდებოდა გადარწმუნება, რომ ვერაუთრით გადაათქმევიებდა ბერეკაცს ამ აკვიატებულ სურვილს.

— არ შეიძლება შენი ადგომა, არა! — მაინც შეეცადა წინააღმდეგობის გაწევას.

— მომეცი ტანსაცმელი! — ჩვეული, თანდაყოლილი სიჭიუტით გამოსცრა კბილებში ბუღუიამ.

ერთი კი შეხედა აღათიამ, უკმაყოფილოდ გადააქნია თავი, მდუმარედ აუარა გვერდი და დიდხნის ჩაუტმელი ტანსაცმელი გამოუტანა ოთახიდან.

...ძველ, მორყეულ ტახტზე ჩამომჯდარმა ბუღუიამ ჰერ ლურჯი, ხმარებისგან გაცრცილ-გამოხუნებული ხალათი აიღო ხელში და სანამ ჩაიცვამდა, ტუჩებმოკუმეული და ჩაფიქრებული დაჩერდა რატომღაც. მოულოდნელად საკუთარი, მისეული სუნი შეიგ-

რძნო. დახეთ, ისევ შერჩენოდა ტანსაცმელს ოვლის, მიწის, ბალახის, სუნი თუ ნელი და გაუხარდა ბუღუიას.

...ამდენი წნის შემდეგ პირველად ისაუბრა სამზადში. ღმერთო, თურმე მონატრება ცოდნია ამ გამჭვარტლულ კედლებს, გამურულ ჭაჭვს, მოტაცუნე ცეცხლ-სა და კერის მწარე კვამლსაც კი...

საუზმის შემდეგ ადგა და სამზადიდან გავიდა.

— სად მიხვალ, კაცო?! — გაადევნა დაღარაჭებულმა ალათიამ.

— გავიარ ცოტას... — არ მიუხედავს, ისე თქვა დაჩურჩულებასავით წყნარად.

— შორს არ წახვიდე, იცოდე! — გააფრთხილა ალათიამ. — ხომ იცი, სუსტად ხარ და მალე დაწვე უნდა!

— დავწვე კი არა... — მწარედ ჩაცინა გუნებაში. — ჭანდაბაში წასულა ეს ღოგინი, ამდენი ხანია ვწევარ და აღარ მეყო ვითომ?

თქმით არაფერი უთქვამს და აღარც ალათია დაუინებია მინცაღამინც, იმით დამედებული, შორს მაინც ვერ წავაო, სამზადში შებრუნდა.

ერთხანს ეზოში იბორიალა ბუღუიამ, რამდენჯერმე შემოუარა ოღას, შუბლზე მიიჩრდილა ხელი და ისე ახედა კედლებს, სახურავს... მოინახულა სასიმიდე, ბედელი თუ გომური, მერე კი, რაკი ალათია ველარ დალანდა ახლო-მახლოს ჩასაფრებული, ეზო განვლო და ბილიკს დაადგა.

ჭერ კიდე სუსტად გრძნობდა თავს და ღროდადრო ჩერდებოდა, რამდენიმე წუთს შეისვენებდა, დაწყნარებდა აჩქარებულ გულს, დაახვენებდა დაღლილ მუხლებს და მერე ისევ განაგრძობდა გზას. ახალფენადგმული ბავშვის გაუბედავობით ადგამდნაბიჭებს და კაციშვილი ვერ მიხვდებოდა, თავდახრილი, მიწას ჩაჩერებული, ფიქრობდა თუ არა საერთოდ რაიმეზე.

იგი მაშინ გამოერკვა, როცა ყანის ბოლოს, ბილიკის მახლობლად აღმართული ვეება, ტოტებგადაშლილი მუხა დაინახა... დიდხანს შესტკეროდა ხეს თვალმოუშორებლად და დაუინებით, თითქოსდა რაიმეს დანახვას ცდილობს და ვერ დაუნახავსო. როდის-როდის მოწყვიტა მზერა, გადაუხვია ბილიკიდან, ხესთან მივიდა, ხელისგული აუსვ-დაუსვა მის დაკოურილ-დაძირკვებულ ტანს და გაიფიქრა თუ დაიჩურჩილა:

— რამდენი ხანია არ მინახიხარ, ბებერო! რამდენი ხანი... არ მინდოდა შენი დანახვა და აღარც გამომიხედია შენსკენ... თუმცა შენ რა შუაში ხარ, შენი რა ბრაღია? — მუხლებზე ხელისგულედაბჯენით ჩამოჯდა მიწიდან ამოშვერილ მსხვილ, დაკოურილ ძირზე და მდუმარედ მიათვალეირ-მოათვალეირა იქაურობა... მიწა მოფენილი იყო მუხის შარშანდელი ფოთლებითა და ახალამოწვერილი ღორთქო ბალახით... რამდენ რა. მეს ახსენებდა ეს ხე, ეს ხმელი, მკენარი ფოთლები და ღორთქო ბალახი ბუღუიას... უპირველეს ყოვლისა კი მის შვილს, რომელიც ვინ იცის, რამდენი ხანია განისვენებდა აქ, მუხის ძირას, ნორჩზე-ნორჩი, ამ ქვეყნის შეუცნობად წასული და უცოდველი... სწორედ ამის გამო ეზარებოდა აქ მოსვლა ბუღუიას ამ ბოლო ხანებში, მას შემდეგ, რაც დაბერდა და სიკვდილზე, როგორც გარდაუვალზე, ხშირად იწყო ფიქრი. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ფიქრობდა ბუღუია სიყრმის შვილზე, გული წყდებოდა და განიცდიდა...

სახეზე ხელისგული ჩამოისვა, წინ გადაიხარა და ის ხელი ახლა ბალახებზე, იმ ადგილზე გადაუსვა, სადაც ერთ დროს საფლავის მომცრო ბორცვი იყო აღმართული.

— მიწა ისე ჩიწია, ისე გასწორდა ხელისგულივით, თითქოსდა არც არასოდეს არაფერი ყოფილა და არსებულა. — გაიფიქრა ბუღუიამ. — ასეა, ვიბადებით, ვცხოვრობთ და ვკვდებით! ესაა და ეს მთელი ცხოვრება. ასე ყოფილა, ასე დაუკანონებია ბუნებას და ვერავინ და ვერაფერი ველარ შეცვლის აწი მაგას. გამოსავალი ერთია: თუ

ხარ, ისე უნდა იყო, ისე უნდა იცხოვრო, კვალი უნდა დატოვო შენი, რომ ცხოვრობ...
ლი, იწავი, არსებობდი და რაღაცას აკეთებდი, იმისი კვალი უნდა დატოვო...

შვილები გაახსენდა ბუღუიას — შვილები, რომლებიც, მისი აზრით, კვალს ვერ
დასტოვებდნენ ამ ქვეყნად, ვერაფრით ვერ გაამართლებდნენ თავიანთ არსებობას...

— მიწა და აქაურობა რომ ჰყვარებოდათ, სულ სხვანაირები იქნებოდნენ ახლა,
ოჯახსაც მიხედავდნენ და ჩვენც მოგვივილიდნენ. ახლა კი... ეხ! — უკმაყოფილოდ ჩა-
იქნია ხელი და შეტეხუნა შუბლი. — რაც არის, არის. ვიანაა უკვე ამაზე ფიქრი და
ღარღი... წავიდე ახლა, თორემ, ძებნას დამიწყებს ღედაბერი, იღარღებს, სად წავიდაო,
სად წაბოლიაო, და ცოდვაა, ცოდვა!

ხეხილის ბაღი თეთრად და ვარდისფრად ღუოდა. აყვავებულ ტოტებს ფუტკარი
დახეოდა, ისმოდა ერთობლივი, მონოტონური ზუზუნის და განფენილიყო ირგვლივ
ყვავილისა თუ თაფლის გამაბრუნებელი სურნელი.

ეს ხეხილის ბაღი იყო ბუღუიას სიამაყე, მისი შრომის, ჰაანწყვეტის
ყველაზე დიდი ნაყოფი. აქ ყოველ ხეს თავისი ისტორია გაჩნდა. ბუღუიას მესხიერე-
ბას რაღაც მანქანებით მაინც შემოენახა ყველაფერი, თვით უმნიშვნელო დეტალებიც
კი და ახლა რომ გეკითხათ მისთვის, სულ უზებრად, დაუფიქრებლად გეტყობათ, თუ
როდის, რომელ წელს, რომელ თვესა და რიცხვში ჰქონდა დარგული ესა თუ ის ხე,
საიდან მოიტანა ნერგები და სანამუყენე კვირტები. მას თითოეული ხე განსაკუთრებუ-
ლი სიყვარულითა და სინაზით უყვარდა. მის წარმოდგენაში ისინი ხეები როდი იყვნენ,
არამედ სულიერი არსებანი, რომლებიც აღამიანებივით გრძნობდნენ, განიცდიდნენ,
აღიქვამდნენ, სწყინდათ, უხაროდათ, აწუხებდათ თუ სტკიოდათ... მას შეეძლო დიდხანს
მდგარიყო თითოეულ ხესთან, დაკოყრილი ხელისგულში აესვ-დაესვა მისი დაკორძილი
ტანისათვის, მოფერებოდა... შვილებზე ნაკლებად როდი უყვარდა ბუღუიას ეს ხეები
და ისიც სჭეროდა რატომღაც, ხეებსაც უყვარდა იგი, გრძნობდნენ მის სიანლოვეს,
აღერსს, და თითქოსდა ფოთლების ერთობლივი შრიალით, ტოტების რხევით უზღიდ-
ნენ მადლობას ამაგისა და მზრუნველობისათვის.

თოვლსა და ყინვებს საგრძნობლად დაეზიანებინა ხეხილი. დაეტება, ჩამოხლიჩა
ტოტები, ზოგიც კიდევ ძირიანად მოეთხარა. წყენამ და სიმძიმელმა დაუკოდა ბუღუიას
გული. კარგახანს იდგა გაცოცხლებული ერთ ადგილზე. ტუჩებმოკუმული და შუბლშეკ-
რული დასტკეროდა დაზიანებულ ხეებს.

— მე რომ ავად არ გავმხდარიყავი, არ მოხდებოდა ასე! — გაიფიქრა გულის-
ტკივილით.

ახლა აბა წამხდარ საქმეს რაღას უშველიდა მარტო წუხილი და სინანული? საქირო
იყო ჩამოშტვრეული ტოტების შეკვეცა, წაქცეული ნარგავების წამოყენება... შეძლებ-
და კი ამას ბუღუია? უნდა შეეძლო, უნდა გაეკეთებინა, რადგანაც მეტი გამოსავალი
არ იყო. წინასწარ იცოდა, აღარ მოუთმენდა გული, ვერ შეძლებდა შეუძლებელს —
გულგრილად ვერ მიატოვებდა ყველაფერ იმას, რაც დახვდა. ისიც იცოდა ბუღუიამ, ეს
ჩანაფიქრი ისე უნდა აღესრულებინა, როგორმე ალათიას არ შეემჩნია, თორემ გათავ-
ბულიყო საქმე: ალათია თავს მოიკლავდა და არ მისცემდა ამის გაკეთების ნებას. ჰოდა,
მეტი რაღა ღარჩენოდა? ისე უჩუმრად, ალათიასგან დაფარულად უნდა გაეკეთებინა ეს
საქმე.

დიდხანს არ უყოყმანია, მაშინვე უკან გაბრუნდა ნაჯახისა და წალდის მოსატანად.
მიუყვებოდა ბილიკს სახლისაკენ და ნატრობდა, ჩურჩულებდა თუ ოცნებობდა: —
შემაძლებინე ღმერთო, ეს საქმე, შემაძლებინე!..

ლამის ნახევარი გზა ჰქონდა განვლილი, რაღაცა რომ გაახსენდა და მოწყვეტით
შეღგა, ჩაფიქრდა და შეყოყმანდა... რამდენიმე წუთს იდგა ასე გაუნძრევლად, სახემო-

ქუფრული და მიწას ჩაჩერებული. ბოლოს მაინც გაემართა წინ, რადგანაც მიხვდა, მისი მხრივ მხოლოდ და მხოლოდ სისუსტის გამოძევავენდა, უნებისყოფობა და სიღატაკი ჩრე რომ იყო ასეთი უოყმანი და შიში. არა, ვერ უარყოფდა იმას, რაც ამდენსსსსსსსს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სჯეროდა და რაიც რწმენის ტოლფასი იყო მისთვის. მიხვდა, არ ეგებოდა სხვაგვარად და სხვანაირად, ამ სიბერეში, სიცოცხლის ამ ბოლო დღეებში ვეღარ შეიცვლებოდა. და, გამოდიოდა, ისევე ძველებურად უნდა გაგრძელებულიყო ყველაფერი, ძველებური რწმენით, ხალისით, ერთუზიანებითა და სიჯიუტით... შოდა, ასე, სანამ ჭერ კიდევ ცოცხალი იყო, სანამ სუნთქავდა, ხედავდა, აღიქვამდა, სანამ სწამდა და სჯეროდა, უნდა ემოქმედა და ეკეთებინა ის საქმე, რომლის გაკეთებასაც სცნობდა საჭიროდ.

ბედად, აღათა ახლო-მანლო არ აღმოჩნდა და ბუღუიამ მალე აღმოაჩინა წინასწარ დაგუშანებული წალდი და ნაჯახი... ავადმყოფობას ისე დაესუსტებინა, ხელში რომ აიღო, ემძიმა აქამდე მსუბუქი და ხელში ასე მორგებული იარაღები. უხმარობისა და ნესტიანგან უანგი შეპარებოდა ფოლადს... ნაძალადევად, უამურად და უხალისოდ მუშაობდა, ხელები ძველებურად აღარ ემორჩილებოდა, თითქოს და გადაჩვეოდა შრომას. თანაც ასე ეგონა, დიდ დანაშაულს სჩადიოდა ახლა, ისედაც დაკოდილ ხეს უზომო ტკივილს რომ აყენებდა...

მუშაობდა და თან საკუთარ თავზე და აღათიაზე ფიქრობდა... იცოდა, მისი საქმე გადაწყვეტილი იყო: ადრე მოკვდებოდა თუ გვიან, სულერთია, მაინც აქ, საკუთარ ოჯახში მოკვდებოდა, საკუთარ სამეზობლოში, იმ სასაფლაოზე დასაფლავებდნენ, სადაც მისი წინაპარი, სანათესავ-სამეზობლო იწვა. ამაზე მეტი ანა რაღა უნდა ენატრა და ეოცნება კაცს? აღარაფერი, რაღათქმა უნდა! აღათია კი... ესეც არ ეღირობოდა, ესეც სანატრელი გაუზნებოდა, ესეც კი ექნებოდა საოცნებო...

— არა, თუკი შვილების ნახვა მედირსა, თუკი მანამდე უფალს არ მივაბარე სული, ანდერძად უნდა დავუბარო მათ, არ მოაშორონ აქაურობას აღათია, არ მონატრონ აქაურობა, აქ სიკვდილი აცალონ და აღიხონ! — გაიფიქრა თუ გადაწყვიტა გუნებაში. მსხლის ძირას ჩამოკდა და თუთუნე გაახვია. ხველა აუტყდა. დიდხანს ახველებდა თვალეზე ცრემლმომღდარი. მაინც არ მოეშვა, ბოლომდე ჩაღია, ჩაწვა, ნაწივი გადააგდო და წამოდგა.


...მერე ის იყო, შუა ბაღში წამოქცეულ ხეს რომ მიადგა. ხე მოჭრილივით იდო მიწაზე, ფესვები მაღლა აეშვირა, მაგრამ მაინც განაგრძობდა სიცოცხლესა და ყვავილობას. სრულიად ახალგაზრდა იყო, ნორჩი, ტანაშოლტილი. გაუკვირდა ბუღუიას, რამ წაქციაო ასეთი ახალგაზრდა ხე. თავი გაიმტყუნა, ვერ დამირგავსო ღრმად და წესიერად... ისეთი ტკბილი ნაყოფი იცოდა ამ მსხალმა, ისეთი გემრიელი, არ შეიძლებოდა მისი ჯიშის ვადუშენება. საცოდაობა იყო მისი მოჭრა. ვერა, ვერასდიდებით ვერ წაიწყმენდა სულს ბუღუია, ვერ შემოჰკარავდა ნაჯახს ასეთ ხეს — წაქცეულს, მაგრამ ცოცხალსა და ყვავებულს.

— უნდა წამოვაყენო ზეზე! — გადაწყვიტა ბუღუიამ. ახალგაზრდაა ჭერ, უნდა იცოცხლოს მაგან, არ შეიძლება ახალგაზრდა ხის სიკვდილი, მაგისი ნაყოფი სხვებმაც უნდა იგემონ!

გადაწყვეტილება მიიღო და ახლა მისი განხორციელება იყო საქირო, სანამ საქმეს შეუდგებოდა, ხეს გარშემო შემოლარა, მერე ქვემოთა, ვანივად ვაშლილი რამდენიმე ტოტი შეაჭრა, ჩაიმიუნლა და ხელები ჩასჭიდა ხის წვრილ ტანს...

— ღმერთო შენ შემეშველე! — ჩაილაპარაკა და მოისინჯა.

ხე ნელ-ნელა, ზანტად შორდებოდა მიწას... და რაც უფრო შორდებოდა, უფრო მძიმდებოდა და უფრო და უფრო უჭირდა ბუღუიას. მაინც არ ეშვებოდა გაჯიუტებული და დასახული მიზნისაგან დამუხტული, როგორღაც მოიკრიბა დარჩენილი ძა-



ლა და ენერგია, დაიძაბა, სახე წამოუწითლდა, კისრის ძარღვები დაებერა... მონდომებით, განცლითა და ენთუზიაზმით ცდილობდა, თითქოსდა ეს იყო მიხი ერთი მისანი, სურვილი და სწრაფვა.

მოულოდნელად ძახილი შემოესმა ბუღუიას — შორიდან დაძახილივით ყრუ, ბუნდოვანი, და ძლივს გასაგონ-აღსაქმელი... მოყურებულს გავდა ეს და ერთხანს ვერ მიხვდა კიდეც ვინ ეძახდა, ვინ უხმობდა ახლა — ნაცნობი თუ უცნობი, შინაური თუ გარეშე, არსებული თუ არარსებული.. გალურსულმა დააყურადა და, აი, ძახილი იხვე განმეორდა, უფრო მაღალი, ცხადი და გარკვეული. ახლა კი მიხვდა, ალათია რომ იყო, ალათია რომ ეძახდა და სხვა არავინ. გაეღიმა კიდეც გუნებაში თავის პირვანდელ ეჭვსა და მიუხევედროლობაზე. — ალათიას მეტს ვის შეეძლო დაეძახა აბა, სხვას ვის ახსოვდა, აბა, მის მეტი კიდეც ვინღა დარჩენილიყო აბა, მომკითხავ-გამკითხავი?

— ალათია.. ალათია მოდის, მეძებს... არ დამანებებს ალათია, თავს მოიკლავს, არ დამანებებს და დარჩება ხე წაჭეული! — გაიფიქრა, უკანასკნელად მოინდომა, შეეცადა და აჩქარდა.

...აუწერელი, ყოვლისმომცველ-დამთრგუნველი ტკივილი ზვავივით დაეჯახა ბუღუიას, საშინელი ძალის სიმძიმე დააწვა სხეულს, შუბლზე ყინულივით ცვიმა, სიმწრის ოფლმა დასხა, თვალთ დაუბნელდა.

— გათავდა! — გაიფიქრა თუ იგრძნო ბუღუიამ, — ყველაფერი გათავდა, ღმერთო!.. მაღლობელი ვარ, კაცურად რომ მაცოცხლე და კაცურად მომკალი!..

...ირგვლივ სიჩუმე იდგა, ნელად დაჰქროლილ ნიავეზე პეპლის ფარფატი, ფანტელბივით ეფინებოდნენ ყვავილები მიწას, მზე ჩანჩახებდა და ზუსუნებდა ფუტკარი. ბუღუია კი იწვა აყვავილებულ ბაღში, ტუჩებზე მქრქალი ღიმილი შეჰყინვოდა და მის ფართოდ დაქუტილ თვალეში არეკლილიყო ცის ლურჯი, გამჭვირვალე და ხასხასა ნაჭერი...

სულთქო ღიასამიძე

ახსალბაზრდობა

შენი თვალებით ვხედავ სამყაროს,
 შენ სჭერი თვალებით წყვიდადს და უკუნს,
 შენ შრომით, გარჯით, ლხინით, წვალებით
 ბანს აძლევ ჩვენი დღეების გუგუნს.
 შენ სტეხავ ყამირს და დღენი ჩვენი
 შენ გაბარია, ახალგაზრდობავ,
 შენ იცი ჩვენი ფიქრთა დინება
 და ვერავ მტერთა არა დანდობა.
 დროშად ფრიალებს ეგ სიყვარული
 და მჯერა, დაბლა არ დაიხრება,
 შენა ხარ ლტოლვა სიახლისაკენ,
 ხარ თავგანწირვა და დაფიქრება.

ს უ რ ვ ი ლ ი

შე ერთი ჩითის კაბაც მეყოფა
 ამოტარებული ლურჯი იებით,
 გირჩის ქოშები,
 ბაბუაწვერას სიფრიფანა საყურე ყურზე,
 ყელზე მძივები—ნუშისა და კენკრის მძივები,
 თავსამკაულად — ენძელა და ყოჩივარდები,
 გულსამკაულად — ქვეყნის დარდები
 და სიყვარული ყველაფრის ერთად,
 გამხვლილი თუ გაუმხვლელი...

დილოვბი ენკელასთან

— თოვლის საბანი ვაჟკაცურად გაგიხვევია,
 სიოს ამბორი რომ ათროლოებს, შენი
 მხრებია,
 ქარმა გაგჭორა, ამ ზამთარში სტუმრობით,
 ჩემო,
 იქნებ რაინდის უმამაცეს სახელსაც ჩემობს!
 — ბნელეთის მეკვლე არ ვყოფილვარ არც
 ოდეს თუმცა,
 თავისუფლება მოენატრა გულსაც და სულსაც,
 ყველა სიავე, ყველა სუსხი წარმავალია
 და გაზაფხულის მეკვლეობა მე მავალია,
 ქარს ნუ მოუსმენთ მაცდურსა და ენატანიას
 სითბო, სიკეთე, სიხარული მომიტანია...
 თუ იმედებიც ვარსკვლავივით არა ქრებიან,
 გაზაფხული და სიყვარული მიჩუქებია.

6. დუმბაძეს

ზღვის ნაპირას სიჭაბუკე დამრჩა,
 აქ ბავშვობის ოცნებები მელის,
 დღეს მეგზურად მონატრება მახლავს,
 მონატრება — ქალბატონი ნელის.
 თუ ეს ღექსი არ იქნება გვიან,
 გზას მეც გავლევ სიმღერით და თმენით,
 ჩემს სიმღერას სიყვარული ჰქვია,
 სიყვარული — უპირველეს თქვენი!
 ცხოვრების გზას ღორღიანს და ქვიანს
 ელანდება ანგელოზის ფრთები,
 დაბრუნებას მონატრება ჰქვია,
 მონატრება — უპირველეს თქვენი!

მეგობარ ყვავილებს

ვემღური ახლა
 მთელი ქვეყნის მწერლებსა და მგოსნებს:
 არ დამიტოვეს
 მათ სათქმელი თქვენზე სრულებით,
 სიმარტოვეში
 ჩემს მშვენიერ მეგობრებს გისმენთ
 და მარტოსული სიყვარულზე
 გვესაუბრებით.



ალექსანდრე პაქსაძე

ტყე შუუნასე შვილებსა ...

„ძოლი, ტყეს ვესტუმროთ“... „ტყეს შეაფარე თავი“... „ტყემ გადაარჩინა...“

ბევრჯერ გვსმენია ეს სიტყვები და, აბა, ერთხელ თუ დავფიქრებულვართ, რომ ტყე ბუნების ცოცხალი, ღრმა საიდუმლოებით მოცული დიდი ოჯახია, რომელიც მხოლოდ ერთ მიზანს — სიკეთეს ემსახურება.

ბუნების უბადლო შარავანდედითაა მოცული მაღალმთიანი აჭარის ტყეები. მთის კალთებზე, მდინარეების თუ გზების გასწვრივ შეფენილნი ისეთ სურათს ქმნიან, რომ ერთი წუთითაც ვერ წარმოიდგენ მათ გარეშე სიღამაზე ან სიცოცხლე თუ იქნებოდა. რა სახეობის ხეს არ ნახავთ აქ. გლეხკაცის დაკოჟრილი ხელივით ტოტებდაკორძებულ, ათასწლოვან ბერძუხებსა თუ ტანაშოლტილ ფიჭვებს, ვერცხლით მოვარაყებულ სოჭებსა თუ საპატარძლო სამოსში გახვეულ ტყემლებს, ნამევებსა თუ იფნებს, ვერხვებსა თუ რცხილებს, წაბლსა თუ პანტას, მაჟალოს, კაკალსა და წიფელს, ტირიფს და მურყანს... აკაციის ტანკენარ ხეებზეც უნდა ითქვას, მაღლიანი კაცის მარჯვენას სათუთად რომ უშენებია.

აჭარის საღმკერდა მთებს ვაჟკაცებივით გადაუღედიათ გული და უხვად უმასპინძლებიან მნახველთ თავიანთი გულიდან ამონაჟური, გამჭვირვალე, ცელქი ნაკადულებით, ველურ ყვავილთა მათრობელა სურნელებით. ჰოდა, როგორ არ ჩათვლით საოცრებად, როცა ქალაქში მაისის სიცხე დგას, აქ, მაღალ მთებში, მაისსა და ზოგჯერ ივნის-ივლისშიც კი ზამბორის, ჭანჭანის, თეთრათისა და საფილეთის კალთებზე თოვლის ქათათა საფარს იხილავთ.

შრიალებენ ტყეები, ღრმად გაუდგამთ ფესვები მასაზრდოებელ მიწაში. შეუბოვრად ებრძვიან ქარს, თოვლს, ზვავსა თუ ბუნების სხვა სტიქიურ მოვლენებს. დაუცხრომლად ჩამდგარან ადამიანისათვის კეთილ სამსახურში და ერთგულად ემსახურებიან მას. რა პატივს მივაგებთ სანაცვლოდ ადამიანები?

ხშირ შემთხვევაში უმოწყალოდ ვჩეხავთ ბუნების უბადლო მშვენიერებას და არ ვუფიქრდებით, თუ რაოდენ დიდ დანაშაულს ჩავდივართ მოძაგალი თაობის წინაშე.

ბუნების ქომაგები რომ არა, ისტორიის მკაცრი ფურცლები შვილთაშვილების სამართლიან, სამარადისო გულისწყრომას დაგვავსებდა თავს. ჰყავს ტყეს ერთგული ქომაგები, რომელნიც მტკივნეულად განიცდიან უსისტემო ჭრას, ბრაკონიერობას, ყოველი ბურქისა და ყლორტის დაზიანებას, შესაშურია მათი ერთგულება ბუნებისადმი, თავდადება მომავალი თაობის ბედნიერებისათვის. სოფელ დიოკნისში ცხოვრობს ერთი ამიოჯანი, ვისაც, ბუნება სალოცავ ხატად მიუჩნევია, მრავალი ხე დაურგავს და უხარებია, ბრაკონიერს წინ აღდგომია და ბოროტი ზრახვა წინასწარ ჩაუხშია, ბუნების დამცველთ მხარში ამოსდგომია. სულემან ბძიას ეძახის დიდი თუ პატარა ამ კაცს... სინანულით ვვიყვება, რომ სუბალბურმა ტყემ დაბლა დაიწია. სადაც ადრე ტყეები შრიალებდა, ახლა იქ უნაყოფო სამოვრებია. გადაირეცხა და გამოიფიტა ნიადაგი, რაც ტყეების უსისტემო ჭრის სავალალო შედეგია.

ნახევარ საუკუნეს ითვლის ბუნების უანგარო დამცველი, ტყეზე შეყვარებული კაცი — სოფელ ბელეთის მცხოვრები ბიჭიკო ართმელაძე. ოცი წელა ემსახურება იგი მშობლიურ ბუნებას, იცნობს ტყის ყოველ კუნჭულს.

— წინათ რომ ქარიშხალში ანთებული კვარით ტყეში გავევლო, არ ჩაქრებოდა, ისეთი ხშირი იყო, — ხშირად იტყვის იგი და დასძენს:

— საკოლმეურნეო ტყეები უსისტემო ჭრით ზიანდებოდა, რამაც მათ აშკარა განადგურების საფრთხე შეუქმნა, დაეცა ტყის სიხშირე, გაჩნდა ეგრეთ წოდებული „ფანჯრები“, ამას დაემატა პირუტყვის ინტენსიური ძოვებაც და ბუნებრივი განახლების ყოველი გზა გადაიკეტა. გამეჩრებულმა ტყემ დაკარგა ნიადაგდაცვითი თვისებები, შემცირდა წყაროთა დეპეტი, ბეკრან მთლიანად დაშრა იგი. გაჩანაგებულმა ტყემ ვეღარ უზრუნველყო თავისი კეთილი თვისებების გამოვლინება, ვეღარ დაგვიცვა ზვავისა და ღვარცოფებისაგან. მთაში ამიტომაც ასე ხშირად სტიქიური უბედურებანი, სამწუხაროდ, ბევრჯერ აუნახლაურებელი მსხვერპლითაც რომ მთავრდება.

ბიჭიკო იმედიანი კაცის იერთ განავრძობს:

— ახლა ვეაქვს ყველა პირობა ტყის გადასარჩენად. ეს პირობებია დაცვის გაძლიერება, აღდგენითი სამუშაოები, ტყეების საწყისი მდგომარეობის დაბრუნება, საკოლმეურნეო ტყეებს გაუჩნდა პატრონი, 1981 წელს შექმნილი სამეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობის სახით. თუმცა ხულოს რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობის მესვეურები კვლავ უხეშად არღვევენ ტყის კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებს.

მართალს ამბობს გამოცდილი ტყისმცველი. პრობლემები მრავლდება, ისინი აუცილებელსა და დროულ გადაჭრას მოითხოვს. კეთილი საქმეც ბევრია გაკეთებული. სახელმწიფო და სამეურნეობათაშორისო სატყეო

მეურნეობებმა ეროზირებულ ფართობებზე გააშენეს ასობით ჰექტარი ტყის კულტურები. ნაძვნარ კორომთა 30 პროცენტი სისტემატიურად იწვე- შლება ნაძვის დიდი ლაფნიჭამიით დაავადების აღსაკვეთად. ამ მხრივ წარ- მატებებიც არის მიღწეული. 1969 წლიდან მოქმედებს სოფელ დიოკნი- სის ბიოლაბორატორია, რომელსაც გამოჰყავს ნაძვის დიდი ლაფნიჭამიის საწინააღმდეგოდ რიზოფაგუსი. გასულ წელს ხულოს რაიონის მუხნარ კორომებს. მოულოდნელად შეესია არაფარჯა პარკიმხვევია და მავნებე- ლმა შცენარეებს მთლიანად გააცალა ფოთოლი. სამეურნეობათაშორისო სატყვეო მეურნეობის მუშაკებმა დროული ღონისძიება მიიღეს: დაავადე- ბულ ფართობებზე ჩაატარეს წამლობითი ღონისძიებები, რითაც საშიში მა- ვნებელი უმოკლეს ვადაში განადგურდა.

— მოდი, ტყეს ვესტუმროთ... ტყეს შეაფარა თავი... ტყემ გადაარჩი- ნა... — გვესმის ეს სიტყვები და დაფიქრება გვმართებს, რომ ტყე ის დი- დი ცოცხალი ოჯახია, რომელიც გრძნობს შემოკრული ნაჯახის ტკივილ- საც და შემატებული ნერვის სიხარულსაც.

ნიკოლოზ ალელიშვილი

მშრცხლები დაბრუნება

მე ჯავახელი ვარ, აქ დავიბადე და აქ გავიზარდე. აქ გამე- რია თმაში ჭადარა. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ისევ დავუბრუნდი ჩემს მშობლიურ კუთხეს, რომ მეც წვლი- ლი შემეტანა ჩემი მესხეთ-ჯავახეთის აღორძინება-განახლე- ბაში. აქ ხომ ახლა დიდი ძვრებია, — აჭარელი ძმები სახლდე- ბიან მესხეთში და მესხური ბუნების კვამლმა იმატა...

დანგრეულ საბუდრებში
ბრუნდებიან მერცხლები,
დაქცეულ ნაფუძვრებში
ბინას ღვამენ მესხები,
ბრუნდებიან, ოდესღაც
მამულიდან წასულნი,
გულს მიკორტნის ბრჭყალებით
ჩვენი კუთხის წარსული.
ბრუნდებიან წვრილშვილით,
ლა-ძმით, განა მარტონი?

ბრუნდებიან, რომ სოფელს
ჰყავდეს მკვიდრი პატრონი.
ბრუნდებიან, სანამ ჩანს
აქ წინაპართ გზა-კვალი,
მანამ სულ არ წაშლილა
ქვებზე ნაწერაქვალი,
სანამ კიდევ შემორჩა
ადგილს „ზვარის“ სახელი,
სანამ არ დამსხვრეულა
ალაგურს საწნახელი...

უერთმანეთოდ

უერთმანეთოდ
 არ იქნება წინსვლა საერთოდ,
 ვინ მოგვიწონებს,
 ღიმილს ძმისას
 რომ ვერ დავენდოთ?
 მუმილი მუხასა! —
 დასძახოდა მხნედ წინაპარი,
 მხოლოდ თანდგომით
 ქართველს მტერი
 ჰყავდა დამფრთხალი.
 მხოლოდ ერთობით
 ცა მაღლდება, მთა ბაღნარდება,

გვაქვს დასაფიცრად
 ცა, რომელიც არ გაშავდება.
 ვიბრძოდით, მზე რომ
 ღრუბლებიდან გამოგვეყვანა,
 ნადურის ხმაზე
 სხვაგვარია
 ჭალაც და ყანაც.
 ზღვასავით ვრცელი
 სივრცე მოჩანს საასპარეზოდ,
 უერთმანეთოდ
 არ იქნება წინსვლა საერთოდ.

ბებერი მუხა

ბილიკთან ახლოს
 ტყეში მოსჭრეს
 ბებერი მუხა,
 მის გაშლილ მხრებზე
 საუკუნემ გადაიქუნა.
 წაქცეულ ხეს რომ
 თვალს შევაკლებ,
 მე ძლიერ ვწუხვარ;
 ვაჟაკის სიკვდილს მომაგონებს
 მოჭრილი მუხა.



სოცალდი და კდკმკანი

მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებს სერავს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერი „გენერალი მერკვილაძე“. ამ გემის კაპიტნის მეორე თანაშემწე სახელოვანი ქართველი მფრინავის გარი მერკვილაძის ვაჟი ოთარია. სწორედ იმ ადამიანისა, რომლის სახელსაც ხომალდი ატარებს.

..მას უსაზღვროდ უყვარდა ლაყვარღში ნავარდი. ღრმა და მაღალია საბჭოთა ცის თავანი, მაგრამ იგი, სქელი ღრუბლებით დაიფარა—დიდი სამაულო ომი დაიწყო. გარი მერკვილაძე სხევებთან ერთად ჩაღმა მშობელი მიწის დამცველთა რიგებში. ომის წლებში მან გაიარა გზა სერჟანტიდან უფროს ლეიტენანტამდე, რიგითი მფრინავიდან ავიაციადრილის მეთაურის მოადგილემდე. ეს გზა, უთითი შეხედვით, თითქოს მეტისმეტად გრძელი იყო 22 წლის ჰაბუკისათვის, რომლის მკერდი საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავმა დაამშვენა. მაგრამ მისი გავლა მართლაც რომ სახელოვნად შეძლო გარი მერკვილაძემ.

იგი 1923 წელს დაიბადა ბათუმში. ბათუმის აეროკლუბში ეზიარა რადიოსაქმისა და ტექნიკის ანბანს. აქ დაამზადა პირველი თვითმფრინავის მოდელი. 1940 წელს საშუალო სკოლა და აეროკლუბი ერთად დაამთავრა და მალე სამხედრო-საავიაციო სასწავლებლის კურსანტი გახდა. 1941 წლის ოქტომბერში გარი არმიის სამხედრო-საავიაციო სასწავლებელში გაგზავნეს. მისი დამთავრების შემდეგ ახალბედა პილოტი გამანადგურებელ ავიაბოლკში ჩარიცხეს. ეს ის დრო იყო, როცა ფაშისტური გერმანიის ურდოები გააფთრებული ბრძოლით სტალინგრადისაკენ მიიწევენ.

ფაშისტ ავიაციებთან შეხვედრა ოცი წლის ჰაბუკს 1943 წლის ივლისის ბოლოს ეროვნეის ფრონტზე მოუხდა. გარი მერკვილაძემ სწრაფად გაითქვა სახელი, როგორც მამაცმა მფრინავმა. პირველივე საჰაერო ბძოლის პირველივე წუთებიდან ვაჟაკობისა და გამბედაობის შესანიშნავი ნიმუშები აჩვენა. ოცდაათხ დღე-ღამეს ორმოცდაათი საბრძოლო გაფრენა იყო მის ანგარიშზე, თვრამეტი საჰაერო ბძოლა გადაიხსადა და მტრის ორი თვითმფრინავი ჩამოაგდო.

მერკვილაძის შესახებ გაჩნდა სტატიები ფრონტულ გაზეთებში, ცენტრალურ პრესაში. რას არ უწოდებდნენ მას — „გამბედულ მოიერიშეს“, „შეუპოვარ მონადირეს“, „მამაც ქართველ შეგარდენს“, „უშიშარ რაინდს“, „ლაყვარღში მონავარდე გმირს“.

საბრძოლო დავალებათა უზადოდ შესრულებისათვის სარდლობამ მამაცი მფრინავი სამამული ომის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა და უმცროსი ლეიტენანტის წოდება მიანიჭა.

გარი მერკვილაძის თვითმფრინავმა გაიჭროლა ბელგოროდისა და ხარკოვის ცაზე. თხუთმეტი დღე-ღამის განუწყვეტელი ბრძოლის დროს ოთხმოცდახუთი საბრძოლო გაფრენა განახორციელა, სამოცდაათჯერ გააცილა მოიერიშე თვითმფრინავები, თხუთმეტჯერ კი ძვირფასი სადაზვერვო ცნობები მიაწოდა ფრონტის სარდლობას. მის მიერ ჩამოგდებულ მტრის თვითმფრინავთა რიცხვს კიდევ სამი მიემატა. მფრინავმა-გამანადგურებელმა ამ ბრძოლებში არაერთი ჩვენი მოიერიშე თვითმფრინავი იხსნა დაღუპვისაგან. ასეთი წარმატებისათვის გარამ წითელი ღრუბლის ორდენი და ლეიტენანტის წოდება დაიმსახურა.

ჩვენი ჯარები დღით-დღე აძლიერებდნენ შეტევას, ათავისუფლებდნენ ქალაქებსა და სოფლებს. უკრაინის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი საბრძოლო ოპერაციების დროს გარი მერკვილაძემ ოსტატური მანევრებით კიდევ სამი სვასტიკიან მანქანას დაანარცხა დედამიწას. ეს შემართება მთავარსარდლობამ ალექსანდრე ნეველის ორდენით აღნიშნა.

გაფთვრებული ბრძოლის ტალღა კარბატებს მოედო. გარი იქაც, მაღალ მთებში, შესანიშნავად მოქმედებდა და წითელი ვარსკვლავის ორდენი დაიმსახურა.

ამის შემდეგ ფრონტის ხაზმა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ გადაინაცვლა. ჩვენმა თანამემამულემ თავისი წვლილი შეიტანა ვისლასა და ოდერზე გამართულ ოპერაციებში, ფრანკფურტის ბატალიებში, ბერლინის შტურმში.

გარი მერკვილაძემ 1943 წლის ივლისიდან 1945 წლის 7 მარტამდე 386 საბრძოლო გაფრენა განახორციელა, მონაწილეობა მიიღო 87 საჰაერო ბრძოლაში, პირადად ჩამოაგდო მტრის 15 თვითმფრინავი და ერთი აეროსტატი. ჯგუფურ ბრძოლებში მოსპო მთავარსარდლების ორი თვითმფრინავი. 97-ჯერ დაესხა თავს ფაშისტების ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. ამ ხნის მანძილზე ჰაერში 587 საათი დაყო.

ასეთი დამსახურებისათვის უშიშარი მფრინავი, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი გარი მერკვილაძე საბჭოთა კავშირის გმირის მაღალ წოდებაზე წარადგინეს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1945 წლის 27 ივნისს გვარდიის უფროს ლეიტენანტს გარი ალექსანდრეს ძე მერკვილაძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა.

ომი დამთავრდა, მაგრამ არ დამთავრებულა გარი მერკვილაძის მხედრული ცხოვრება. მან წარმატებით დაამთავრა სამხედრო-საჰაერო აკადემია და მშობლიურ ავიაციის განაგრძო მოღვაწეობა.

ბოლბოლკოვნიკი ა. შჩელკოვი გაზეთ „კრასნაია ზვეზდას“ 1970 წლის 17 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ ნარკვევში „გმირების ქუჩა“ იგონებს თავის შეხვედრას სახელგანთქმული გამანადგურებელი ავიაციის პოლკის მეთაურთან, საბჭოთა კავშირის გმირ ბოლბოლკოვნიკ გარი მერკვილაძესთან. ჟურნალისტი ცდილობს ჩაწვდეს იმ მიზეზებს, რითაც მეთაურმა ქვეშევრდომთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ეს იყო მისი პატიოსნება, პირდაპირობა, სამართლიანობა, სხვებისა და, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი თავისადმი მაღალი მომთხოვნელობა, მამაცობა, უბრალოება.

ა. შჩელკოვი წერს, ერთმა მფრინავმა მაცნობა, თბილისში მერკვილაძის სახელობის ქუჩაა, თვითონ კი ამაზე სიტყვაც არ დასცდენიაო. როცა იგი თბილისში აღმოჩნდა და ქალაქის საბჭოს აღმასკომში მივიდა დასაზუსტებლად, იქ უთხრეს, რომ ქუჩა სხვა მერკვილაძის — მამაცი რევოლუციონერის აფრასიონის სახელს ატარებს, ხოლო უშუალოდ ამ ქუჩაზე მდგარმა ორმა მოხუცმა მიუგო, ქუჩას ეს სახელი საბჭოთა კავშირის გმირის, ქვეითი სერჟანტის დავით მერკვილაძის პატივსაცემად ჰქვიაო.

„მერკვილაძის ქუჩა“... მთავარია, რომ იგი არსებობს და საუბრო არაა იმის გარკვევა, რა ჰქვია იმ მერკვილაძეს, მის პატივსაცემად ქუჩას გვარი შეერქვა. ძალიან კარგია, რომ ხალხს ამდენი თანამოგვარე გმირი ჰყავს, კურთხეულ იყოს ხალხი, ქვეყანას შესანიშნავი შვილებს რომ უზრდის — რევოლუციონერებს, მფრინავებს, ქვეითებს — ახლის მშენებლებსა და დამცველებს...

აქვე, ჩვენის მხრივ, დავძენთ, რომ გარი მერკვილაძის ქუჩა დღეს მის მშობლიურ ქალაქში — ბათუმში არსებობს.

1966 წლის 5 მაისს გარი მერკვილაძეს გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. იგი თბილისში გადაიყვანეს, მაგრამ ამის შემდეგ მხოლოდ ხუთ წელიწადს შეძლო ნაყოფიერი მუშაობა. 1971 წელს უეცრად გარდაიცვალა.

როცა ტანკერ „გარი მერკვილაძეზე“ ავდიოდით, უცნაური გრძნობა დაგვეუფლა.

ტანკერზე არის გმირის კუთხე, სადაც აღბეჭდილია ბათუმის ქუჩა, რომელიც მდინარის სახელს ატარებს, ჭაბუკთა შორის წყალბურთში მისი სახელობის სტუმრების ისტორია, ტურნირისა, რომელიც უკვე ტრადიციული გახდა.

შემოგვეგება გმირის ვაჟი, რომელმაც ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელი დაამთავრა. ვესაუბრეთ და ვცდილობთ მასში მამის ხასიათის ნიშნების აღმოჩენას...

თვითონ ეს გემი, ვლადიმერ მაიაკოვსკისა არ იყოს, ადამიანის იმ თვისების დასატურებაა, რომ მას ძალუძს სიკვდილის შემდეგაც სახელოვნად მოველინოს ქვეყანას.

დავით აფხაზიძე.

ომგადახდილი ქალის ანბანი

ეს იყო ათი წლის წინათ. დიდი სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავის აღსანიშნავად ბათუმში ომგადახდილ პედაგოგთა შეკრება გაიმართა.

თავმჯდომარემ ბათუმის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგეს დარეჯან ღლონტს მისცა სიტყვა. ზოგიერთს ეგონა, რომ იგი ტრიბუნაზე მხოლოდ მისალოცად გამოვიდა. მაგრამ როცა დარეჯანმა ლაპარაკი დაიწყო, ბუზის გაფრენას გაიგონებთო, რომ იტყვიან, ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა.

დარეჯან ღლონტი შეკრებილთ მიესალმა აჭარის იმ 600 ქალის სახელით, ფაშისტების შემოსევის შემდეგ ჯარისკაცის ფარაჯა რომ ჩაიციეს და ფრონტის გრძელ, მძიმე გზას გაუდგნენ. მათი სახელი და საქმე სამარადისოდ აღიბეჭდა მაღლიერი შთამომავლობის მეხსიერებაში.

...1944 წლის ერთ სუსხიან დღეს ლატვიის ქალაქ-დაუგავილის სამხედრო ჰოსპიტალში დაჭრილი ქალიშვილი მიიყვანეს. მას ყუმბარის ნამსხვრევები მოხვედროდა და გრძნობა დაეკარგა.

მედიცინის დამ მორიგე ექიმს მოახსენა, რომ ქალიშვილი საჰაერო დაზვერვის ათეულიდან იყო. ეს ათეული სოფელ მისუინცში დაბანაკებულიყო. მტრის ავიაცია დღეში რამდენჯერმე ბომბავდა ჩვენი ჯარის ნაწილებს. ერთ-ერთი ძლიერი იერიშის დროს იმ მიდამოებიდან მხოლოდ ცარიელი ორმოებიღა დარჩა. ორიოდვე კაცი გადაარჩა. მათ ამხანაგების ძებნა დაიწყეს და საღამოს მიწაში ნახევრად დამარხულ თავიანთ თანამებრძოლს — უმცროს სერჟანტს დარეჯან ღლონტს მიაგნეს.

და აი, ჰოსპიტალის სამედიცინო პერსონალმა დაიწყო ბრძოლა ქალიშვილის გადასარჩენად...

დარეჯან ღლონტი თითქმის სამ წელიწადს მიჰყვებოდა ომის გზებს და ასეთი „დასვენების პერიოდი“ ჯერ არ დასდგომოდა. ხანდახან მოგონებებს მიეცემოდა ხოლმე, როგორც ეკრანზე, ისე გაიელვებდნენ კადრებად მისი ცხოვრების ეპიზოდები.

1941 წლის 21 ივნისი. ბათუმის მასწავლებლის სახლში საშუალო სკოლის დამთავრებისადმი მიძღვნილი საღამოა. თავი მოუყრიათ კურსდამთავრებულებს, მშობლებს, აღმზრდელ-მასწავლებლებს, სტუმრებს. თეთრ კაბებში გამოწყობილ გოგონებს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელიც პირველად ჩაეცვათ, მორცხვად იღიმებიან... ოცნებობენ მომავალზე, უმადლეს სასწავლებელზე, არჩეულ სპეციალობაზე.



მეორე დღეს კი ომი დაიწყო, რომელმაც მათ ოცნებას ფრთები შეკვეცა. ვაჟების უმრავლესობა მამებთან ერთად ფრონტზე წავიდა. გოგონებს დედებთან ერთად შრომის მძიმე უღელი დააწვათ... დარეჯანს პირველ ხანებში ეს ცვლილებები არ განუცდია. იგი შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

გამხეცებული მტერი წინ მიიწევდა, ბუგადა და ფერფლად აქცედა ყველაფერს. 1942 წლის გაზაფხულზე იგი ჩრდილო კავკასიას მიაღდა. სამშობლო დიდ საფრთხეში იყო. კომკავშირელმა ქალიშვილებმა ფრონტზე წასვლის სურვილი გამოთქვეს. ისტორიის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა დარეჯან ღლონტმა პირველმა შეიტანა განცხადება. არასდროს დაავიწყდება მამის — ანდრიას მოწონება და მხარდაჭერა. რა იცოდა, რომ მობილიზაციის ფურცელი მასაც ჯიბეში ედო, მამაშვილმა ერთად გამოიკეტა ოჯახის კარი.

სამხედრო სამსახურის პირველი დღეები დარეჯანმა საქართველოში გაატარა. თანდათან შეეგუა სიძნელეთა დაძლევის, გამარჯვების მოლოდინში ბევრის მოთმენასა და გაძლებას. მას დაეველა მტრის თვითმფრინავების თვალთვალი და ცნობების სახე-ნიტო ხაწილებისათვის გადაცემა, მეკავშირის სპეციალობაც ათთვისა.

რამდენიმე თვის საბრძოლო წვრთნის შემდეგ ბატალიონი ადგილიდან დაიძრა. რიგითმა მებრძოლებმა არ იცოდნენ, საით მიდიოდა ეშელონი, მაგრამ ჩრდილო კავკასიაში გაჩერება, მიწურების გათხრა, სათვალთვალო და სამეთაურო პუნქტების მოწყობა ცხადყოფდა, რომ მტერს სწორედ აქ უნდა დახვედროდნენ.

ამ დღემაც არ დაყოვნა. დარეჯანს გუშინდელივით ახსოვს პირველი საბრძოლო ნათლობა. და განა ანის დავიწყება შეიძლება? ზურგზე სატელეფონო კაბელის კოჭი ჰკიდია, სხვა ხელსაწყოებიც თან მიაქვს და მხოლოდ ერთზე ფიქრობს: რაც შეიძლება მოხერხებულად გაიყვანოს ტელეფონის ხაზი.

გამოხდა ხანი. ფრონტზე გარდატეხა დაიწყო. ჩვენი ჯარები ზედიზედ ათავისუფლებდნენ ქალაქებსა და სოფლებს. საპაეო დახვედრვის ათეულიც ბატალიონთან ერთად წინ მიიწევდა. მაგრამ ძნელი იყო ეს წინსვლა, მტერი უბრძოლველად არ თმობდა პოზიციებს, ზოგჯერ კი ძალას იკრებდა და გაათფრებულ კონტრიერისშეცხად მოდიოდა.

ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევის დროს მოხდა ზემოთ აღწერილი შემთხვევა. მკურნალობა ხანგრძლივი და მძიმე გამოდგა. როცა აშკარა გახდა, რომ მწყობრში ადვილად ვეღარ ჩადგებოდა, ხანგრძლივი შევებულემა მისცეს და სამშობლოში გამოისტუმრეს.

ჯარისკაცი შინ დაბრუნდა. არაერთგზის სიკვდილის პირას მდგომი და მაინც ცოცხალი, ჭრილობებით დასერილი და მაინც უვნებელი... მან ომის გზებზე ახლებურად შეიცნო ცხოვრება, ისწავლა მტრის სიძულვილი, რამაც უფრო ძლიერ აგრძნობინა ახლობელთა სიყვარული, სიცოცხლის ძალა და წყურვილი. სწორედ ამას დაამარცხებინა ავადმყოფობა და გადაატანინა მძიმე კრიზისი.

დარეჯან ღლონტმა 1949 წელს წარმატებით დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. ლენინური პარტიის წევრმა 1944 წლიდან, კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტში დაიწყო მუშაობა. აქ განვლო გზა განყოფილების გამგედან პირველ მდივანამდე. შემდეგ ერთხანს ქალაქის საბჭოს აღმასკომის მულტურის განყოფილების გამგე იყო, შვიდ წელიწადს საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პრეზიდენტი და აგიტაციის განყოფილებას განაგებდა. როცა ჩვენს ქვეყანაში ახალი ტიპის სასწავლო დაწესებულებები — სკოლა-ინტერ-

ნატები გაიხსნა, არავის გაკვირვებია, რომ დარეჯანმა ამ სისტემაში დაიწყო მუშაობა. 1960-1965 წლებში ბათუმის მეორე სკოლა-ინტერნატის დირექტორი იყო.

თავისი პროფესიისა და ბავშვების სიყვარულმა შოიყვანა დარეჯან ლლონტი ბათუმის № 3 რუსული საშუალო სკოლის დირექტორის, საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგის თანამდებობაზე. აქ დამსახურა აპარის ასსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. აქედანვე გავიდა 1977 წელს საქართველოს რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიაზე... მაგრამ მისი ცოდნა და გამოცდილება კვლავ სჭირდება ქვეყანასა და ხალხს. დარეჯან ლლონტი ისევ მწყობრშია — იგი აპარის მასწავლებლთა დახელოვნების ინსტიტუტის აღმზრდელბოთი მუშაობის მეთოდკაბინეტის მეთოდისტი.

დარეჯან ლლონტმა და მისმა მეუღლემ გივი ხარაბაძემ კარგი ოჯახი შექმნეს. ვაჟი გიორგი № 5 სამშენებლო ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანია, ქალიშვილი ქეთევანი კი ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების უმცროსი მეცნიერ-მუშაკი.

— ჩემი ყველაზე დიდი ოცნება და სანუკვარი სურვილია ქვეყნად ზემობდეს მშვიდობა, ბედნიერად იზრდებოდნენ და ზარბზდნენ ჩვენი შვილები და შვილიშვილები, აღარასოდეს განიცადონ მათ ომის საშინელება. — ამბობს ომგადახდილი ქალი.

მერაბ ღონღოლაძე

კლექსანდრე ანანიძე

მამის სურათიან

გამაზსენდება —
დღე ბობოქარი...
შავი ღრუბლები ზეცის
მლამბავი.

ქუხილს მოჰქონდა
ტყვიების ქარი
და მეომარი მამის ამბავი.
გავლახ,
რამდმენი წელი გავიდა,
ძვირფასო მამა,
რაც შენ დაგვცილდი,

მე შენს ბარათებს
ვზინვავ თავიდან,
შენს ნაკვალევსაც
ვერ ფარავს ბინდი.
არ დამკლებია
აღერსი შენი,
გიმზერ,
ღიმილით კვლავაც მიმზირე,
შენ ისევ შავი
ქოჩორი ვშვენიხ,
მე ჭაღარაში მთლად ჩავიპირე.



იოსებ მებრელიძე

„ღვაწლი აგაოდ არ ჩაივლის“

ბიოგრაფიის საკითხები

მრავალმხრივ საინტერესო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ე. ნინოშვილის შესახებ არა მარტო ლიტერატურის კრიტიკოსებს, არამედ თვით მწერლებს, პოლიტიკურ მოღვაწეებსა და სხვებსაც უწერიათ. ესეც ჩვენი მწერლის პოპულარობაზე ღაღადებს, მაგრამ ამ ლიტერატურაში ეგნატე ნინოშვილის არა მხოლოდ ნიჭსა და ნაწერების მნიშვნელობაზეა გამოთქმული ერთი მეორის საწინააღმდეგო აზრები, არამედ ბიოგრაფიის საკითხებსა და თარიღებშიც უზუსტობებია შეპარული.

მაგალითად, ცნობილი ფაქტის საწინააღმდეგოდ, რომ ე. ინგოროყვამ ფსევდონიმად ნინოშვილი დედის სიყვარულისა და მისი სახელის გამო დაირქვა, კრებულში „რევოლუციის მოღვაწენი საქართველოში“ (თბ., 1962) ეკითხულობთ: ბავშვობა ეგნატემ ჭაჭირებებში გაატარა, 6 წლისა (!) დედა გარდაეცვალა, შემდეგ მას მზრუნველობდა მამიდა ნინო, წერა-კითხვაც მანვე ასწავლა, ამიტომაც ეგნატემ მამიდას სახელი „სამწერლო ფსევდონიმად გაწოიყენა“. (გვ. 40შ).

ეს იმ დროს, როდესაც ვიცით, რომ დედასაც ნინო ერქვა და იგი გარდაიცვალა მაშინ, როდესაც შვილი არა 6 წლისა, არამედ 6 თვისაც არ იყო.

ხსენებულ კრებულშივე ვკითხულობთ: ეგნატე „1876 წელს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში ჩაირიცხა“, დაუკავშირდა „რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდებს“ და „სასწავლებლიდან გარიცხეს“ (იქვე). ცნობილია კი, რომ აქ ეგნატემ აიყოლია სხვები. ამავე ბიოგრაფიაში სრულიად არაა ნახსენები, რომ ეგნატე ერთ დროს თავად გრიგოლ გურიელის მდივნად მსახურობდა, რომლის უნიკალურმა ბიბლიოთეკამ დიდად შეუწყო ხელი ახალგაზრდის განვითარებას და გააცნო მაღალი ფეოდალების შინაური ცხოვრება (იხ. ქვემოთ).

ე. ნინოშვილის დაბადების წლად ალ. ნაზანაშვილი 1861 წელს ასახელებს, გ. თუმანიშვილი — 1860-ს და სხვები 1859 წელს, ხოლო თვის რიცხვად აღნიშნავენ 17 ან 18 თებერვალსა და 5 დეკემბერსაც კი! ნამდვილი რიცხვიც კი ზუსტადაა ცნობილი.

ეგნატეს დაბადების ადგილადაც სხვადასხვა სოფელია გამოცხადებული: — ჩირბვეთი, ჩიქვეთი, ჩანჩეთი, ჩოჩხათი, ყოლა, ყელა, ჯვარი და სხვა. დოც. ვ. დონაძემ გამოაქვეყნა სპეციალური წერილი „სად დაიბადა ე. ნინოშვილი“ („ლიტერატურული გაზეთი“, 30. VI. 1961 წ., გვ. 3).

ავტორი ედავება მიხ. ვადაქორიას. ეგნატე ყელაში არ დაბადებულა, ასეთად

„მიჩნეულ უნდა იქნას არა სოფ. ჩოჩხათი, ყელა ან ჩიქვეთი, არამედ ყოფ. ჯვარი“
აქ გაუთვალისწინებელია ის გარემოება, რომ ჯვარი ბევრი სოფლის იმუხტანს
ეწოდებოდა, სადაც ეკლესია იდგა. ჯვარი ეგნატეს მშობლიური სოფლის წყლის
მახლობლადაც კი ორ ბუნქტს ეწოდება. მიხ. ვადაჭკორიას ცნობით, პირველი ჯვარი
მდებარეობს ე. ნინოშვილის სახლ-მუზეუმიდან ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით
ერთ კილომეტრზე; მეორე კი კილომეტრნახევარზე.

ყელა ჩირაგვეთიდან (ახლა — არჩეული) სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეზეა 4.5 კი-
ლომეტრზე. ქვემოთ ეგნატეს დაბადების მოწმობაში ხსენებული „მიმთქმელი“ (ხათ-
ლია) მ. ჭყონიას სოფელი გეშმანეთი ყელას ერთ-ერთი უბანია, რომელიც ცალკე
სოფლად აღარ არსებობს.

ზოგი უზუსტობა ცნობილი „მოწმობის“ ბრალიცაა.

მ ო წ მ ო ბ ა

ესე ეძლევის ოზურგეთის სასულიერო კლასის მოწაფეს ეგნატი თომას ძე ინგო-
როყვას მას შინა, რომ ის არის შობილი 1859 წელსა დეკემბრის 5-სა და კიდევაც
შთაწერილი არს მამინ შტატად მყოფს სოფლის ყოლის წმინდის ნიკოლოზის ეკლე-
სიის საბუთსა შინა... (111, გვ. 132).

ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ ამ სოფელს ეწოდებოდა არა ყოლია, არამედ
ყელა; ეგნატე დაბადებულია არა დეკემბრის 5-სა, არამედ ხსენებული წლის 5 თებე-
რვალს.

ი. ბალახაშვილმა მიიგნო და გამოაქვეყნა კიდევ ე. ნინოშვილის „დაბადების
მოწმობა“, (კრებ., „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1, თბ., 1935, გვ. 75-76). აქ
იკითხება:

მ ე ტ რ ი ჩ ე ს კ ი ს წ ი გ ნ ი

მიცემული საქართველო იმერეთის უწმინდესის მმართველის სინოდის კანტო-
რისაგან გურიის ეპარხიის გურიამთის უჩასტკის სოფლისა ყელაის წმინდის ნიკოლო-
ზის და ზედ მიწერილ ბელახორის წმინდის კვირიკის ეკლესიების ეკლესიასა შინა.
ჩასაწერელად დაბადებულთა, ქორწინებით შეუღლებილთა და გარდაცვალებულთასა.
ჩყნთ (1859) წლისათვის.

ცხრილში ნათქვამია:

„მამათა სქესისა

დაბადება: თებერვალი 5.

ნათლისღება თებერვალი 12

სახელი დაბადებულთა ეგნატე

წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი მშობელთა და რომლისა სარწმუნოე-
ბისა არიან.

ამავე სოფლისა მცხოვრები საბატონო ყმა თომა გაბრიელის ძე ინგოროყვა და
სჯულიერი ცოლი მის ნინო ლაზარე ბარამიძის ასული. ორივე მართლმადიდებლობი-
თის სარწმუნოებისა აღსარებისანი.

წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი მიმქმელთა:

სოფელსა გეშმანეთს მცხოვრები აზნაური ბესარიონ შაქსიძეს ძე ჭყონია, მღვდე-
ლი ნიკოლოზ დარჩია“.

ამგვარად დადგენილია, რომ ეგნატეს მამა იყო თომა გაბრიელის ძე ინგოროყვა,
ხოლო — დედა ნინო ლაზარეს ასული ბარამიძე.

ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის (დაარსდა 1948 წ. ოქტომბერში) 1949 წლი-
დან უცვლელმა ხელმძღვანელმა მიხეილ ვადაჭკორიამ დაბეჭდა, რომ ეგნატეს დედუ-
ლეთი ს. ჭურჭყვითია.

მუზეუმის მასალების მიხედვით, ნინოს ორი ძმა აყოლია — ესე და გლახუნი. როგორც ჩანს, ეგნატეს მამა თომა გლეხკაცის პირობაზე არც ისე წყალწველი ყოფილა, თორემ მას აზნაური ბესარიონ ჭყონია ბავშვს არ მოუნათლავდა. თვითონ ეგნატეც წერს: „სახლში ბავშვობისას ძრიელ ფუფუნებით და სათუთად აღზრდილი ვიყავ“. მას უტრადღებას არ მიაკლებდნენ გულჩვილი და მართალი მამა თომა, მოყვრისა და მტრის კაცი ალექსი და ამავე ერთ ოჯახში გაუთხოვარი მშრომელი და პატიოსანი მამიდები ნინო და როდამი. ეგნატემ გაჰყირება შემდეგ ნახა, ცხრა-ათი წლის ყმაწვილი რომ მღვდელს მიაბარეს სასკოლოდ მოსამზადებლად. ამ ხუცესმა იგი ფოთში გაუგზავნა ხე-ტყის მრეწველ ძმისშვილს, რომელმაც ეგნატე მკვადის მცხოვად გაიხალა...

გუბრუნდებით ისევ დაბადების მოწმობას. შეიძლებოდა გვეფიქრა, ეგნატე დაიბადა არა 5 თებერვალს, 12 თებერვალს რომ მონათლეს, არამედ წლით ადრე, — დედაჩემს ერთი წლის დავრჩიო, — წერს ეგნატე, მაგრამ არა, — 1859 წ. 5 თებერვალი ზუსტი უნდა იყოს, და ბავშვი დაჩქარებით, — ერთი კვირისა, — 12 თებერვალს, ალბათ, იმიტომ მონათლეს, რომ დედა იყო ავად. წესით, მომაკვდავის ოჯახში ბავშვების და განსაკუთრებით შვილის მონათვლა მშობლის სიცოცხლეშივე უნდა მოესწროთ.

სარწმუნოა ისიც, რომ ეგნატეს მამისა და ბიძის — ალექსის ოჯახი სოფელ ყელადან იმიტომ გადმოსახლდა სოფ. ჩირგვეთში (ჩიქვეთში), რომ „ქლექიან ოჯახს“, თუ ამის შესაძლებლობა ჰქონდა, ფუძე უნდა გამოეცვალა, ე. ი. სხეავან გადასახლდებოდა. ამავე დროს უნდა დავსძინოთ, რომ ეს ახალი სოფელი მაშინ ჩირქვეთსა და ჩანჩეთს შუა მდებარე კუთხე — უკანლევე ჩანს, რომელიც რკინიგზის „სადგურ ჭუმათიდან დაახლოებით 2 ვერსის მანძილზეა“.

სარწმუნოა, ამით აიხსნება, რომ სოფელი ჩირგვეთი და ჩანჩეთი ერთმანეთს ედავებოდნენ: ეგნატე არა თქვენს, არამედ ჩვენს სოფელში დაიბადაო. შემდეგ გაიზარდა ჩირგვეთი, რომელსაც ახლა „არჩეული“ ეწოდება და ლანჩხუთის რაიონს ეკუთვნის.

ახლა დავუბრუნდეთ ეგნატეს დედის საკითხს. როგორც ზემოხსენებულ „მეტრიჩესკის წიგნშიცა“ ჩაწერილი, სხენებულ ყელას „სოფელსა მცხოვრები მეუღლე თომა ინგოროყვასი ნინო ლაზარეს ბარამიძის ასული“ გარდაიცვალა „1859 წლის ივნისის 15-ს“, 22 წლისა, უეცრად; მას ათქმევინა აღსარება და აზიარა მღვდელმა ნიკოლოზ დარჩიამ. დასაფლავებულია „ამავე ყელას წმინდის ნიკოლაოზის ეკლესიის გალავანს შიგნით“ (ციტ. კრებ. ლიტ. მემკვიდრეობა“ 1, გვ. 77).

დოკუმენტის პირველგამოქვეყნებლის სწორი გამოანგარიშებით, (1859-22) გამოდის, რომ ნინო 1837 წელს ყოფილა დაბადებული. მაშასადამე, შეცდომაა, რომ დაბეჭდილა, ეგნატეს დედა 16 წლის გათხოვდაო, იგი მაშინ ბარე 20 წლის ყოფილა და ეგნატეც ამბობს: „ვინ იცის, იქნება ისიც ფილტვების ავადმყოფობით დაღდა“.

აქვე დაისმის კიდევ ერთი კითხვა: სახელდობრ, ეგნატეს ბიძა ალექსი რომ მზრუნველობს, მამაც ადრევე გარდაეცვალა?! ასეც წერენ! მაგრამ ეგნატე მას გვიანაც რამოდენიმეჯერ იხსენიებს, როგორც ცოცხალს. საკმარისია დავასახელოთ მხოლოდ უმინ-შენლოვანესი დოკუმენტი. 1894 წლის პირველ იანვარს ჩოჩხათიდან ეგნატე ნინო-შვილი ახალ წელს ულოცავს ცნობილ ანასტასია წერეთელს და ატყობინებს: „შარშან თბილისში რომ ვიყავიო, მაშინ „მომივიდა ტელეგრამა — „მამა გიკვდება და მოდიო“...

წამოველ სოფელში, სადაც დავრჩი ავადმყოფ მამასთან რამდენიმე დღე. შემდეგ ისევ დავბრუნდი თბილისს... მომივიდა მეორე ტელეგრამა, რომლითაც მაცნობებდნენ მამის სიკვდილს. მივატოვე ხელმეორედ თბილისი და წაველ მამის დასამარხავად“.

აქედან ცხადია, მამა ეგნატეს 1983 წელს გარდაეცვალა. ეგნატე მაშინ 34 წლისაა,

მოსული კაცი იყო

საინტერესოა ცნობებიც: „ეგნატე დაბადებითვე ჯანით სუსტი იყო, მეტად ნაზი, ქალური აგებულებისა და შეხედულების: თმა აბრეშუმით ბრწყინვალე და წმიდა, ქერა ფერის და სახით თეთრფეროვანი. ცისფერი, დიდრონი მოგრძო-კილოიანი წვეწვრებით და მოგრძო სახით; ფართე და ნაღბლი შუბლი მის სახეს მეტად მიმზიდველ იერს აძლევდა“. (რ. კალაძე. ეგნატეს თხზულებათა 1925 წ. გამოც. ტ. I, გვ. 15).

ზემოთაც ვთქვით, რომ ე. ნინოშვილის ბიოგრაფია მრავალგზის დაიბეჭდა. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ორი დოკუმენტი — ავტობიოგრაფია, რომელიც ს. ზუნდაძემ გამოაველინა და გამოაქვეყნა კიდევ და ზემოწარმოდგენილი „მეტრიკული ამონაწერი“.

უფრო თანმიმდევრულად და სანდოდ ეგნატეს ცხოვრების ამ გზას ვერაფერს აღწერდა. და მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ ბიოგრაფიაში ის ადგილი, სადაც ნათქვამია, „გამოვეულ სკოლიდან...“ ზუსტი არაა, ალბათ, ცენზურის გამო წერს აგრეთვე. დადგენილია, რომ მოწაფე ეგნატე ბუნტის თავად ცნეს და გარიცხეს სასწავლებლიდან. სიტყვა „სკოლიდან“ შემდეგ მრავალწერტილი ცენზორის მიერ ამოღებულ სიტყვებზე მიგვითითებს.

ავტობიოგრაფიისა და დაბადების ცნობის შემდეგ, ეგნატეს ბიოგრაფიის ყველა სხვა წყაროზე უფრო სანდო ცნობებს ისევ ეგ. ნინოშვილის ბარათები შეიცავს.

მაგალითად, სკოლიდან გარიცხვის თაობაზე ეგნატე ლიაძეს 19.1.1879 წ. (ოქტობრ-გეთი) სწერს: „...დიდი გაბედვა ჩემგანით“, რომ „გაწუხებთ, მაგრამ უბედურება რას არ გააბედვინებს კაცს. თქვენ რომ წარსული წლის სექტემბერში აქ ბრძანდებოდით, მაშინ კი შეიტყვეთ, რანაირი უბედურება დამაყენა დეკანოზმა სიმონ ქიქოძემ; მას მერე ყოველნაირი საშვალებით ვეცადე იმ უბედურების მოსაშორებლად, მაგრამ ვერც ერთით ვერა რა გავარიგე იმის მეტი, რომ საზრდო პური გავათავე ჩემოც და საწყალი მამაჩემისაც. რევიზორი გრიგორიევსკი რომ იყო აქ, მაშინ იმის თხოვნით, მიმიღო ვითომ დეკანოზმა, მაგრამ რა რომ რევიზორი წავიდა, მაშინ ვარი მითხრა...

საზრდო პურიც რომ აღარ დამრჩა, მოეინდომე რამე ჩემ შესაფერ სამსახურში შესვლა, წამხთარ საქმეზედ ჩემი თავი მაინც მერჩინა, მაგრამ უმოწმობოდ არსად მიმიღეს და მოწმობა რომ ვსთხოვე დეკანოზს, დამპირდა კარგი მოწმობის მოცემა; შემდეგ, რა რომ მივაკითხე დანიშნულ დროზედ, დემზადებია მოწმობა და ყოფაქცევაში 2 ჩაეწერა!“.

ეგნატე განაგრძობს: „აბა, ამისთანა მოწმობა, თქვენც მოგვხსენებთ, არაფერი მოსახმარი იქნებოდა და არც წამიღია. სამოქალაქო კლასში თხოვნა მივეცი. მიმიღეთ-მეთქი, მაგრამ დეკანოზის ბოქმედებით არც იქ მიმიღეს. ვითომ ვფიქრობდი, გავამზადებ პროგრამას და სემინარიაში შევალ-მეთქი, მაგრამ იმდენი ძველი და ახალ მოწაფეები აპირებენ ჩვენგან, რომ მოწმობაც რომ მქონდეს, მაშინაც არ მიმიღებენ, არა თუ უმოწმობით. ასე ამნაირად ყოველი გზით გზადასშული და იმედლაკარგული დავრჩი... (111, გვ. 71).

მონათხრობიდან უკვე ნათელია, რომ დეკანოზს ყოველგვარი გზა გადაუტრია ყოფილი მოწაფისათვის, მაგრამ ახალგაზრდა მაინც ეძებს გამოსავალს და მომდევნო ბარათში იმავე მასწავლებელ ლიაძეს სწერს: მირჩივისო, ერთ-ერთ კარგ მეოთხე კლასელთან მომეზადებინა პროგრამა სასულიერო კლასისა. სასულიერო სასწავლებელში წავსულიყავ ეგზამენის დასაქერათ და მოწმობა ამეღო. მივედი მეოთხე კლასელ ს. ჯიბლაძესთან, მაგრამ რაკი ეს შეიტყო დეკანოზმა და მისმა სულიდგამ ინსპექტორმა, თქვენს მტერს მიადგა იმისთანა შიში, როგორც იგინმა მეოთხე კლასიანებს მიაყენეს!... მოწაფეებს მოსთხოვესო, — წერს ისევ ეგნატე; — გვითხარით, ვისთან კი-

კითხვას კი არა, ლაპარაკსაც ვეღარ ბედავენო. მოწაფეებს აშინებენ, ვინც ინგოროყვას დაუღაპარაყება, იმას „პოლიციის პრისტავს დავაჭერიანებთო და სხვა“ (გვ. 74).

ყოფილი მოწაფე იმავე მასწავლებელს აცნობებს:
„მე ეხლა თოთიბაძესთან ვდგანვარ და რა ვაივაგლახობას ამიზა იმას აყენებენ, ვინ იცის? ეუბნებიან, გამოავდე, თორემ პასუხში მიგცემთო. დიდ შიშში არის (თოთიბაძე), მაგრამ რა ქნას, ვეცოდები და ვერ გამაგდო... დეკანოზს ახლა ერთი ინგოროყვა კი არ ვგონივარ, (არამედ) რამოდენიმე“. თუ ჩემთან მოწერას მოერიდოთ, ექვთიმე ჭალაქანიძეს მოსწერეთ, იგი გადმოძეგმოსო (გვ. 74).

აი, სანამდის მიდის საქმე! ეგნატე კონსპირაციულ ურთიერთობას სთხოვს უფროს მეგობარს, რათა იმას უსიამოვნება არ მიაყენონ, და თვითონ კი იცის, რომ ოფიციალურად ვისაც არ უნდა მიმართოს, არაფერი გამოუყვას, ეგნატემ იცის, რომ დრო ასეთი და ამიტომ ივანე ლიახისადმი მიწერილ პირველსავე ბარათს ამთავრებს ზემოთ ჩვენ მიერ ეპიგრაფად მოტანილი სიტყვებით: „საწყალო და უსამართლო დროით დაჩაგრული.“

ეს მოსწავლე 1878 წლის სექტემბერში გარიცხეს სკოლიდან. სწორედ მაშინ ამ სკოლაში ფილიპე მახარაძე შედის, რომელიც იგონებს: „1878 წელს, როცა მე მომათვისეს სასწავლებელში, მეც მოვესწარი დეკანოზ ქიქოძის პარკავს და ვიგემე მისი რისხვა, რაც არასოდეს დამიავიწყდება“.

ეგნატე სასწავლებელს ვერ დაუბრუნდა. იძულებული გახდა, ქუთაისის სახალხო სკოლაში ჩაებარებინა გამოცდა, რათა ანაბანას მასწავლებლობის უფლება მიეღო. ეს იმავე წლის შემოდგომისათვის (1879 წ. ოქტომბერი) მოახერხა, მტკიცედ სწამს, რომ თავისი შრომით უნდა იარსებოს და მშობლიურ სოფელში დაიწყო მასწავლებლობა. გაზაფხულზე ამას თავი დაანება, რადგან აღარც იქ გაეჩერებოდა. შემდეგ იგი კიდევ უფრო ძნელსა და ჯანმრთელობის გამანადგურებელ ადგილებზეა. მაგალითად, 1884 წლის ზამთარში არსენ კალანდაძის სტამბაში მუშაობს თბილისში ასოთამწყობად, დღეში 7 ტაპიად, სულ ესაა მისი „ხარჯის ფული“. 1886 წელს ჩიბათის სოფლის კანცელარიაში მდივანობს.

აქური პირობები ეგნატეს აღწერილი აქვს 1886 წლის სექტემბერში მეგობარ სიმონ ჭუმბურიძისადმი გაგზავნილ ბარათში. „სიღარიბეს დაუდგა თვალი, — აღნიშნავს იგი, — თორემ სოფლის კანცელარიაში განა გაიდგომება კაცი? ორიოდ გროში მაქვს ამოსაგები და ის თუ დავტყუე როგორმე გაიძვერა მამასახლისს, მერე აქ რომ დამბან, მაინც არ დავდგები“.

ცნობილია, რომ მასწავლებლობას თავდანებებული ე. ინგოროყვა, აგრეთვე სოფლის ნამასწავლებლარი სამსონ კანდელაკი და ალექსანდრე კვიციანიძე საფრანგეთში გაემგზავრნენ. როგორც თვითონ ეგნატე წერს და მისივე მეგობარი გუნცაძეც იგონებს, ეგნატეს და სამსონს წერილი ჰქონდათ მიღებული ჟენევიდან მონპელიეში მისული სალარიძისგან (სახელი არ მახსოვსო, — შენიშნავს გუნცაძე. დავაზუსტეთ, რომ ეს იყო სიმონ ალექსის ძე სალარიძე).

სალარიძე გვწერდაო, — აღნიშნავენ ისინი, — როგორმე გზის ფული იშოვეთ, ჩამოღით აქ, თქვენ „ფულზე ნუ შეწუხდებით, ჩემთან ერთად აქ სხვა ქართველებიც არიან და ჩემთან იცხოვრებთ; ბევრ რამე გამოცილებასა და ცოდნას შეიძენთ საფრანგეთშიო“.

ეგნატეს სამგზავრო ფული ჩოჩხათელმა მეგობარებმა და ჩანჩეთელებმა მოუხერხეს მოსახლეზე სურვილისამებრ 10-20 კაპ. შეგროვებით. ეგნატემ და ხსენებულმა

სამსონმა ქ. მონველიემდე მიადწიეს, მაგრამ უკვე უკაპეიკოდ იყვნენ. სპ-
ლარიძე კი ადგილზე აღარ დახვედრიათ!

უსახსროდ დარჩენილთაგან ალ. კვიციანიძემ მალე დაბრუნებულა უკან; როგორც ჯანმრთელს, — იგონებს ზემოხსენებული გუხცაძე, — „საქუთაო ვუძოვეთ ლუდის ქარხანაში და ეგნატე კი, როგორც სუსტი, არ შეეძლო მას ფიზიკური მუშაობა, ჩემთან ერთად ცხოვრობდა“, მაგრამ ეგნატეს, გუხცაძის სიტყვებითვე „ძალიან მორცხვ ადასთან“, არ შეეძლო აქვე დარჩევა ილია და სიას სწერდა:— აქ ჩვენი საქმე ძალიან გაჭირვებულია, რადგან სალაიძე ვეღარ ვნახეთ. ჩვენ, ხომ იცით, იმის იმედით წამოვედით. უბრალოდ რომ სხვებ აქ დავრჩით, თვითველს თვეში... 35 მ. მოგვინდება. აბა იფიქრე, ამ ფულს მე ვინ გამომიგზავნის?... „მესწავლა, მერე დიდი ბედნიერი ვიქნებოდით მეც და შენც. მაგრამ რაღა? გზის ფული მომიხერხე, ჩამოვალ, მაშინვე, სამსახურში შევალ და ანგარიშებს გავასწორებ“.

მართლაც, როგორ გაჭირვებაში უნდა ჩავარდნილიყო ეს ძალიან მორცხვი და მოკრძალებული ადამიანი, რომ ერთი კვირის შემდეგ კვლავ იმავე ბიძა ალექსისათვის მიეწერა: „წარმოდგინე ჩვენი მწუხარება, როცა აქ სალარიძე აღარ დაგვიხდა და გვიტოვრეს, შევიცარის სახელმწიფოში წავიდაო. კიდევ ჩვენი ბედი, რომ აქ ქართველი და სომეხი სტუდენტები ვიპოვნეთ, თორემ შენი მტერია, ჩვენ დავისოცებოდით“... ეგნატე ერთ-ერთ გამოსავალზეც მიუთითებს იმავე ბიძა ალექსის:

„თომას ვწერდი, გრიგოლ გურიელთან მიდი და უთხარი ჩემი მდგომარეობა-მეთქი. თუ ჯერ არ მისულა, უეჭველათ აწი მაინც მივიდეს. გრიგოლი თუ აქ დარჩენაზედ შემწეობას ვერ მომცემს, საქართველოში რომ დავბრუნდი, იმედენ ფულს კი გამოიმეტებს, რომ მოვალ სამსახურში, შევალ და გადავუხდი. თუმცა აქედან წამოსვლას ბევრი ფული უნდა, ასე რომ ას (100, შან. ნაკლები არ კმარა, მაგრამ გრიგოლ გურიელისთვის ეს არაფელია. თუ გრიგოლმა უარი თქვა, ალექსი, კალანდაქებთან ჩამოდი ბათუმში, იმათ მე მიეწერე და ისინი გაახერხებენ რამეს. ფული რომ მომივა, იმის შემდეგ ერთს მინუთს აღარ გავჩერდები აქ — მოვალ და რამე საქმეს დავეკიდები. გული არ გავიტყდეს. რომ ღაიბი არ ვიყო და რომ სამ წელიწადს აქ თავი შემენახა, ღმერთმა კიი დავმართოს, კარგი იქნებოდა“...

„13 ამა დეკემბერს, — გააგრობოს ეგნატე, — ჩინხათის სოფლის სხოდს მოეწერე წერილი, რომლითაც ვთხოვ შემწეობას. იქნება ქნან კაცობა და არ დაიზარონ ამ საქმისათვის შემწეობა, მაშინ ხომ ვაკეცოდა საქმე. სამ წელს აქ დავრჩები, ვისწავლი, შემდეგ დავბრუნდები და ქვეყანას ვემსახურები“.

სხვა ბარათში ეგნატე აცნობებს ბიძას: „ფულის გამარგზავნა ბანკით შეიძლება... ოთხ დღეში მოვა აქ. ფოსტით გამოგზავნილს კი 18 დღე სჭირია“ მიდებამეთ „კი თუ არა“.

ეგნატე მეგობრებსაც სთხოვს დახმარებას, მაგალითად. მეგობარ სიო (სიმონ) კალანდაქს.

ფული მაინც არსიდან ჩანს და ეგნატე ისევ ბიძა ალექსის აცნობებს: იქნებ სხვანაირად წავიდეთ... თითქოს მოუგვარებია კიდევ რაღაც, — და კვლავ ალექსის სწერს: „მე ხვალ ანგლიაში მივიღიარე და ანგლიიდან შეიძლება ამერიკაშიაც წავიდე. ჩემთან წამოვა სამსონ კანდელაკი. თუ რატომ მივიღიარე... იმის მოწერა ამ პატარა წერილით არ შეიძლება... „ფრანციზული თითქმის გეარიათ შევისწავლე, ლექციების გაგება შემიძლია. სხვა ენები: ნემეცური, ინგლისური და იტალიანური ჯერ-ჯერობით ძლიერ ცოტა ვიცი“.

რა თქმა უნდა, 4 თვეში ნიჭიერი ეგნატეც კი ამდენ ენას ვერ შეისწავლიდა, მაგრამ ზოგადი განვითარებისათვის ეს 4 თვეც ბევრს ნიშნავდა...

უკან დაბრუნების ფული მაინც თვითონ ეგნატეს მოუხერხებია. იგი 1887 წ. 6

მარტს (ახ. სტ.) მარსელიდან ისევ ბიძა ალექსის აუწყებს: „ამას წინათ მე მოგწერეთ, რომ საფრანგეთიდან ორი სტუდენტი (ერთი რუსი, მეორე — ლევი ი. მ.) მოდის და 24 მარტს ბათუმში შეხვდით-მეთქი. ეხლა იმ წერილის დამატებათ გწერ ამას: ჩემ სტუდენტებმა მე მასესხეს სამოცი მანეთი და თუ შეგიძლია, ბათუმში რომ მოვიდნენ, დაახვედრე ეს ფულები, თუ თლათ არ შეგიძლია, რამოდენიმე მინც“.

ეს თანხა არ ეყოფოდა ეგნატეს სამგზავროდ, მაგრამ „მისდა დაუკითხავად სე. რევაზ ვახვახიშვილის თაოსნობით“ სამგზავროდ კიდევ ფული დაუმატებიათ და სამშობლოში გამოუსტუმრებიათ.

ე. ნინოშვილი 1887 წ. 25 მარტს სამშობლოში დაბრუნდა.

ვინ იყო ის სალარიძე, რომლის იმედითაც ახალგაზრდები საფრანგეთში წაყვინდნენ, იგი კი იქ ვერ ნახეს, და ლიტერატურაში ე. ნინოშვილის შესახებ მხოლოდ გვართით შოისხენიება?!
სიმონ (სეიმონ) ალექსის ძე სალარიძე (1861-1946) ყოფილა ძველი ზღაპრისა და ანარქისტი, ადრე — მოსკოვისა და პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა წრის „საქართველოს განთავისუფლების წევრი“.

1894 წ. გარბის თურქეთში, აქაც და საფრანგეთის ციხეებშიც უწევს ყოფნა; ნინოშვილი და კანდელაკი რომ მარსელში ჩავიდნენ, სალარიძე დაბრუნებული ყოფილა, ბოლოს სამშობლოში დაბრუნდა... მზუნებებში იგი უარყოფს ნინოშვილთან პირად ნაცნობობას, მაგრამ ლიაძეს, რომელიც სხვების მიერ მხოლოდ გვართით იხსენიება, სრულად ასახელებს — „ვანო ბესარიონის ძე ლიაძე“.

შემოსხენებული სიო (სიმონ) კალანდაძე ზოგს აგონია ცნობილი ნადასის ძმა, ზოგს კი მუშა პოეტი სიო ხიდისთაველი (კალანდაძე), ზოგს კიდევ სხვა. მაგალითად, ნესტორ პიჭაძის საერთოდ სასარგებლო წიგნში „ეგნატე ნინოშვილი ბათუმში“ (ბათუმში, 1959) ვკითხულობთ: ეგნატეს ახლო მეგობრები „იყენენ ძმები სიო, ბესარიონ და გერონტი კალანდაძეები“.

არა, სიო ამათი ძმა არ იყო და არც ხიდისთაველი გახლდათ. იგი იყო ხიდისთაველი მგზობელ სოფელ ახალშენიდან; ბესარიონს კი იცნობდა და მასთან შეხვედრები და მიმოწერაც ჰქონდა.

* * *

უფრო ვრცელადა გასაშუქებელი საკითხი: რაშია საქმე, რომ ე. ნინოშვილი რამოდენიმეჯერ იწერება საფრანგეთიდან — უკან ვბრუნდები, სხვაგან სამსახურს გრიგოლ გურიელის მდივნობას ვამჯობინებო. მოეწყო აქ, შედარებით კარგ პირობებში, მაგრამ მიატოვა, და ჯანმრთელობის გამანადგურებელი და აუტანელი სამუშაო არჩია.

ჯერ გრიგოლ დავითის ძე გურიელი (1812-1891) უნდა დავახასიათოთ. იგი დაიბადა გურიაში, იზრდებოდა ქობულეთის კინტრიშშიც, თავი ისახელა 1853-1856 წლების ყირიმის ომში. 1874 წელს გ. ყაზბეგთან ერთად იმოგზაურა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კარგად იცნობდა ქართველი მაჰმადიანების ყოფას, დაუკავშირდა აჭარის ხიმშიაშვილს, აქტიურად მონაწილეობდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, თავი გამოიჩინა აჭარის დედასამშობლოსთან შემოერთების საქმეში. მისი თანამედროვე მოწინავე ქართველობა გრიგოლს პატრიოტად სცნობდა.

გრ. გურიელი უცოლშვილო იყო, რეზიდენცია ოზურგეთში ჰქონდა, აგარაკი კი დაბა ლანჩხუთის სოფელ ოზაკვეში.

იგი ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის კარგი მცოდნე გახლდათ; ჰქონდა შესანიშნავი ბიბლიოთეკა, ხელნაწერების კოლექცია და არქეოლოგიური

გალოებას უსასყიდლოდ გადასცა სიცოცხლეშივე.
პირველმა გრ. გურიელმა გამოაქვეყნა „მსოფლიო ლიტერატურის მარგალიტი“ და ჩვენს მწერლობაში კარგად ცნობილი „ქილილა და დამანა“ 1886 წელს 1000 მ. დაუჭდა. ტირაჟიდან 3000 მ. წიგნები ზემოხსენებულ საზოგადოებასვე შესწირა. თავისი ძივები და ფულიც სკოლებსა და სავანმანათლებლო საქმეებს მოახმარა. ეხმარებოდა ნიჭიერ სტუდენტებს (მაგალითად, ნ. შარს). ყოველივე ამის გამო, მას „გრიგოლ ქველს“ უწოდებდნენ. გარდაიცვალა 1891 წლის 20 ოქტომბერს.

ე. ნინოშვილი გურიელის მდივნად 1887 წლის აპრილში დაინიშნა. იგი უფრო ხშირად გურიელის აგარაკზე იმყოფებოდა, სადაც თავადის ბიბლიოთეკა და არქივიც იყო მოთავსებული.

ეგნატე თვითონ წერს, რომ გურიელს სამდივნო მცირე რამ ჰქონდა; იგულისხმება, კეებითაც უზრუნველყოფილი იყო, ჯამაგირიც ეძლეოდა 30 მ. თვეში; თავისუფალ დროს წიგნებს კითხულობდა და მწერლობაც აქვე დაიწყო.

ფ. მახარაძე, რომელიც იცნობდა გრ. გურიელსა და ე. ნინოშვილს წერს: გურიელთან მდივნობის დრო ეგნატემ გამოიყენა მეტად ნაყოფიერად. აქ მან დაწერა ერთ-ერთი შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოები — ცნობილი ისტორიული რომანი „ჯანყი გურიაში“. ბევრი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ გურიელის ოჯახში ყოფნამ მისცა საშუალება გასცნობოდა სხვადასხვა წერილობით მასალებს თუ ზეპირგადაცემებს, 1841 წელს გურიაში მომხდარ გლეხური აჯანყების შესახებ.

ეგნატეს მეგობრის სიმ. ჭუმბურიძის სიტყვებითაც გრიგოლი „პატივს ცემდა ეგნატეს“... მაშ, რაშია საქმე, რომ ეგნატემ ეს პირობები მიატოვა და წავიდა, ვიგეორებო, აუტანელ სამუშაოზე ჯერ 7 კაპ. დღეში და შემდეგ მანეთად! მანეთი ხომ აქაც ეძლეოდა?

ამისი ერთ-ერთი მიზეზი ხასიათის სხვაობა უნდა იყოს. ზემოხსენებული სიმონ ჭუმბურიძე წერს: „გრიგოლ ყოვლად პატიოსანი კაცი იყო. მას „ყველა ქართული და რუსული საუკეთესო გამოცემები მოსდიოდა“, ეგნატესაც კარგად ექცეოდა, მაგრამ „უნდა გეყურებიათ იმათი დაობა რაიმე საქმის შესახებ. გრიგოლს უყვარდა, როდესაც კაცი დაობაში გატყდებოდა და მისი პაზრის, მისი შეხედულებების თანახმა შეიქმნებოდა. ეგნატე კი ისეთი კაცი არ იყო, რომ სხვისი მორიდებით, რამე საგანზე თავისი პაზრი, თუ დარწმუნებული იყო იმის სინამდვილეში, უარყო და სხვისი პაზრი მიეღო. ასეთ მოურიდებელ დაობაში გრიგოლი ხშირად მიაძახებდა: „ნუ ხარ, ეგნატე, ჯიუტი, დაუჭერებელი კაციო“, და გულმოსული დაიწყებდა სიარულს, მაგრამ გრიგოლმა ერთობ მალე იცოდა გულის მობრუნება და გაიმართებოდა ისევ ლაპარაკი“.

გურიელიდან ეგნატეს წასვლის მეორე მიზეზი, რასაც შ. რაღიანი, მთავარ მიზეზად თვლის, უნდა ყოფილიყო ის, რომ ეგნატეს ეთაკილებოდა სხვისი პირადი მდივნობა. ესეც ყოფილა, თორემ ეგნატე ჩოჩხათიდან მეგობარ ალექსანდრე თოიძეს არ მისწერდა: „მე სოფელ ორაგვეს (გრიგოლ გურიელის აგარა) ემიყოფები ჯერჯერობით გრ. გურიელთან და შევეყრებ უკბილო პირში — იქნება გალოკვილი ძვალი გავარდეს-მეთქი. ჯამაგირი... ხარჯათ არ მყოფნის და ამიტომ თანდათან ვალები მემატება. მომავალი ჩემთვის ჩემთვისაც ამოცანაა, აბ ვიცი, თუ რა საქმეს დავადგები, როცა ეს ასი წლის ყმაწვილი გრიგოლ წაბრძანდება წაიღსა აბრამისასა! თან თუ წავეყვები, თორემ სხვა გზა ჯერჯერობით არა ჩანს. ოფიციალურ სამსახურში შესვლა არ შემძლია რადგან ვინმე „კულს“ მომყაინინებს და ტყვილა გამაუბედურებენ“.

აქედანაც ჩანს, რომ ეგნატე ამ სამსახურის დატოვებას არ აპირებდა. — გრიგოლს მკვდარსაც კი უნდა გავყვეო — და რა მოხდა, რომ ეგ ადგილი მიატოვა?

7.XI.1888 წ. უკვე ოზურგეთიდან ეგნატე სწერს ალფასი ბარამიძეს: „დღეს

ბული მიჯღებდნენ უქმით მამაჩემის სახლში“.

ამ წასვლის მთავარი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ სწორედ ამ დროს დაიწყო ტყვეობის და მიწების გამოყენება, ერთის მხრივ, თავადებსა და აზნაურებს შორის, მეორეს მხრივ, ორივესა და გლეხებს შორის.

ამისავე თაობაზე თედო სახოკიამ ადრევე დასტამბა: „მართალი მხარე — გლეხობა იჩაგრებოდა. ეგნატე ინგოროყვას მოსიყვარულე და მგრძნობიარე გული ვერ ითმენდა ამ შემთხვევაში გარეშე — მაყურებელსავით დარჩენას. სული აუტოკდა, თვალები ცეცხლით აენთო, დამჩაგვრელთა საწინააღმდეგოდ და მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ დავიდარაბაში... გამოექმობა გლეხობას“.

ამის გამო ე. ნინოშვილს არა მხოლოდ თავიდანაშაურობა, არამედ გაბატონებულთა ინტერესების დამცველი „პოლიციის ბოქაული სიკო ჯაფარიძის რისხვაც დაერთო“; ეგნატეს დაპატიმრებითაც კი ემუქრებოდნენ. იგი იძულებული გახდა გასცლოდა გურიელს. 1888 წლის 7 ნოემბრიდან ზომღვენო წლის ოქტომბრამდე შინ იყო; შემდეგ ბათუმში სატანჯველ სამუშაოზე, რასაც ზესტაფონში აგრძელებს და სწორედ ამის გამო წერს თვითონვე: „ჩემი ჯანი და სიმართლე დავლუპე ბათუმში და ამ (ზესტაფონის, ი. მ.) კანტორაში მუშაობით.“

ასე გრძელდება მისი ტანჯული ცხოვრება.

სულის მოსაბრუნებელ ერთადერთ ძალად ლიტერატურული საქმიანობა შერჩა, მაგრამ მშრომელთა მჩაგვრელებს ესეც ეგნატეს წინააღმდეგ ამხედრებს. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, გვიანაც კი მის სოფლიდან გასვლასაც ეღობებოდა წინ. ეგნატე თვითნებურად მიემგზავრება თბილისს 1892 წლის ოქტომბერში. ამ პირობებში მას ფულიც რომ ჰქონდეს, ოფიციალურ ადგილზე ზინას ვერ დაიდებს და ზაქარია ჭიჭინაძესთან ჩერდება მთაწმინდაზე.

ეგნატე იმავე დღეს სწერს თედო სახოკიას:

„შე დღეს მოვედი ქალაქსა სატანტოსა და დავემკვიდრე სახლსა ზაქარიასასა... ფული მაქვს 5 მ. და 70 კაპიკი. ვნობენ ისეთი ადგილიც, სადაც 7 კაპიკად ძალიან მაგრად ვძღები...“

რალა იგი ნაცია,

რომლის ბელეტრისტმა უნდა ჭამოს

შვიდაკაპიკიანი პორცია!

მეცადინეობა ისე კარგად შეიძლება, რომ ზაქარიას ქადაგებაში ამ წერილის დაწერის დრო ძლივს ვიშოვე. ძილიც ძნელია, — ზაქარია ღამეც ქადაგებს...“

სწორედ ამ დროს უნდა გასცნობოდა ე. ნინოშვილს ალექსი პეშკოვი (შემდეგ — მ. გორკი), და არა 1893 წელს, როგორც ამას ზოგი აღნიშნავს. მაშინ პეშკოვი შენატროდა ხალხში ისეთ პოპულარობას, როგორიც ეგნატეს ჰქონდა მოპოვებული.

1892 წელზე იმიტომ ვჩერდებით, რომ ეგნატე უკვე იმ წლის ოქტომბერშია თბილისში; მ. გორკის „მაკარ ჩუდრა“, რომელმაც ავტორს მაშინვე სახელი მოუპოვა, დაიბეჭდა გაზ. „კავკაზის“ იმავე წლის 12 სექტემბერს.

1892 წლის ოქტომბერში ეგნატე თედო სახოკიას სწერს: „ავად ვარ, თანაც „შინიდან ძლიერ ცუდი ამბები მომდის: გუშინ დამარხეს ჩვენი ოჯახიდან ერთი უსაყვარლესი ჩემი ნათესავი. მე ისიც ვერ შევიძელი, რომ ან ავადმყოფი მენახა და ან დამარხვაზე მაინც დავსწრებოდი“.

ამ უბედურებას ისიც დავამატა, რომ ეგნატემ 1892 წლისავე 13 დეკემბერს წერილი მიიღო, რომლითაც ატყობინებდნენ: 9 ამ თვეს მამიდა ნინო გარდაგეცვალა.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ შეაწუხებდა მას ეს ამბავი...

ეგნატე დაბრუნდა მშობლიურ სოფელში. ისეც უნდა თბილისში წამოსვლა, მაგ-

რამ, როგორც ზემოთ ითქვა, მას პასპორტს არ აძლევენ! იგი სასწავლებლიდან გარიცხვისა და მით უფრო გურიელის მდივობიდან წასვლის შემდეგ, ციხის გარეუბანში პატიმარია, ე. წ. შინაურ პატიმრობაშია, რაც აშკარად ჩანს მრავლისმეტყველ ქვემოწარმოდგენილი მისი განცხადებიდან.

„უფლას ჩოჩხათის სოფლის საზოგადოების მამასახლისს ამავე საზოგადოების მცხოვრების ყმა ეგნატე თომას ძე ინგოროყვასაგან

გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა

მრავალჯერ გთხოვეთ პირადად, რომ მოგეცათ პასპორტი ერთი წლის ვადით ქ. თბილისში საცხოვრებლად, მაგრამ თქვენ ყოველთვის უარი ინებეთ პასპორტის მოცემასზედ. მე არ ვიცი, რა უნდა იყოს ამის მიზეზი? თქვენ არ გამოგიცხადებიათ რა ჩემთვის და ისე საიდან უნდა გამეგო! იქნება, სახელმწიფო და საზოგადო გადასახადების გამო მიჭერენ პასპორტს-მეთქი და ის იყო, მომავალი სახელმწიფო და საზოგადო გადასახადების და მოვალეობის (აქამდე, როგორც მოგუხსენებთ, ყოველივე გადახდილი მაქვს) თავდებად წარმოგიდგინე ალექსი ინგოროყვა, მაგრამ პასპორტის მიღებას მაინც ვერ ვედირსე და ვერც იმის გაგებას, რა მიზეზით არ მაძლევენ პასპორტს! ამდენი ხანია, სახლში ვიმყოფები და თქვენ არ გინებებიათ ჩემთვის გამოცხადება იმ დამაბრკოლებელი მიზეზისა, რომლის გამო მე პასპორტი ვერ მიმიღია. რაღაც საიდუმლო ბურუსით არის მოცული ყოველივე ეს და სასოწარკვეთილებამდე მივყვარ ამგვარ ჩემს გამოურკვეველ მდგომარეობას.

დღეს მე იძულებული ვარ, რომ უპასპორტოდ წავიდე იქ, სადაც ჩემთვის ეხლა მიუცილებელი საჭიროებაა ყოფნა, — ქ. თბილისს, იძულებული მყო ორმა გარემოებამ; პირველი, ამ უკანასკნელ წლებში ცხოვრების ერთადერთი საღსარია ჩემთვის ლიტერატურულა შრომა. ლიტერატურულ გონორარს ვარდა, არაერთარი აწველება არ მომეპოვება ცხოვრებისათვის. ამიტომ უნდა ვიცხოვრო იმ ქალაქში, სადაც ქართული ჟურნალ-გაზეთები არსებობს, თბილისში“...

არც ამ განცხადებამ ვაჭრა, — ეგნატე უპასპორტოდ გაემგზავრა თბილისს და 1893 წლის ოქტომბრიდან 1894 წლის მარტის ბოლომდე ცხოვრობს ახლანდელი პლენანოვის პროსპექტზე ცნობილ № 52/54 სახლის სარდაფში, მიხა ცხაკაიასთან ერთად, სადაც იმართებოდა პირველი არაწლებალური წრის კრებები (ყოფ. მიხაილოვის საავადმყოფოს მარცხნივ, ახლანდელ № 2 ფოსტამდე).

სახლზე მემორიალური დაფა მიმაგრებული, ამავე სახლში ადრე ცხოვრობდა ლევ ტოლსტოი, რასაც მემორიალური დაფა აღნიშნავს.

1894 წლის გაზაფხულზე ეგნატეს თბილისში გაჩერება უკვე აღარ შეიძლებოდა. ხოფლად ცხოვრების საშუალება არ აღმოაჩნდა, მათჟჟში წაიყვანეს და მისი აქ დაბინავება განიზრახეს.

მათჟჟში კი „მისმა მკრთალმა სანთელივით გაფითრებულმა შეხედულებამ დააშინა სახლის პატრონები. მხოლოდ ერთმა სასტუმრომ დაუთმო მას, ისიც მეტად სამძიმო სასყიდლით, ერთი ძლიერ ვიწრო და უხერხული ოთანი. ამგვარად, მისი ცხოვრება აქაც აუტანელი შეიქნა. ავადმყოფმა არჩია ისევ თავის სოფლის ქონში დაბრუნება“...

იმავე წლის 20 აპრილს სილ. ჯიბლაძე ეგნატეს შესახებ ანასტასია წერეთელს აუწყებს: „...თხუთმეტი დღეა, რაც დავსკეტყრი მის აუტანელ ტანჯვას“...

ეგნატე ინგოროყვა-ნიწოშვილი გარდაიცვალა 1894 წ. 12 მაისს (და არა 11-ს, როგორც ზოგი წერს), იგი საწინახელივით გულამოთლილ მორგეში ჩაასვენეს. ეგნატეს დაკრძალვა საერთო-სახალხო დემონსტრაციად იქცა, რომლის მსგავსი საქართველოში არ რგებია არც ერთს „ლარიბ-ლატაი ოჯახიდან გამოსულ მოღვაწეს თუ მწერალს“.

მიხეილ მახარაძე

ფურცლები კაკაბაძე

ქართველ ფილოსოფოსთა ახალი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლის ზურაბ კაკაბაძის სიცოცხლე ნაადრევად, შუა გზაზე შეწყდა და ეს დანაკლისი დღითიდღე უფრო საგრძნობი და თვალსაჩინო ხდება. მის დაკარგვასთან დაკავშირებით გამოთქმულმა მოსაზრებებმა თუ მოგონებებმა ცხადად წარმოაჩინა ზურაბ კაკაბაძის, როგორც შემოქმედის, კემშირითი ძალა.

დასაფლავებაზე ნიკო ჭავჭავაძე იტყვის: „რა ვითხრა, ზურაბ! რომ არ შემოდლია შენსავით თქმა“, არჩილ ბეგიაშვილი კიდევ უფრო გვიღრმავებს მისი დაკარგვით ვამოწვეულ დიდ ტკივილს: „ჯერ ხომ არ ვიცით ჩვენ ქართველი კაცის რა ჩანაღებური გაიყოლია ზურაბმა“...

მოგონებებიც ამასვე გვაძენობს, უფრო მეტიც — ზურაბ კაკაბაძის ახალგაზრდობის პერიოდს გვახსენებს და ამასთან გვარწმუნებს მისი პოზიციის თანმიმდევრულობაში. არჩილ სულაყური: „მე და ზურა რუსთაველზე მივდივართ. ჩემთვის ვილაღ უცნობა პირმა გააჩერა. იგი ლაპარაკობდა აღტაცებული და აღზუნებული იმაზე, თუ ევროპელმა მეცნიერებმა ბეთშოვნის მეცხრე სიმფონია როგორ დაიყვანეს მათემატიკურ ფორმულებამდე. მერე შენ რა ვიხარიაო?! ის თავისას მაინც არ იშლიდა და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ეს ფაქტი მეცნიერების დიდი გამარჯვებაა, რომ შემოქმედის გენია არც ისე იდუმალებით მოცული და მიუღწეველია. ზურამ გააჩერა და ახლა ირონიულად ჰკითხა: იმ მათემატიკური ფორმულიდან თუ შეიძლება მეცხრე სიმფონიის მიღებაო. მოაქებრე გაწვილებული გავგშორდა... მაშინ ზურაბი ოცი წლისაც არ იქნებოდა“.

თამაზ ჩხენკელის მოგონებაც ზურაბ კაკაბაძის ყრმობის პერიოდს ეხება: „ამ სოკო-შადრევანთან ზოგჯერ შედგებოდა ხოლმე ერთი დახვეწილი გარეგნობის ჭაბუკი, რომელსაც არ უყვარდა ხამამალი კამათი და ლაპარაკი... იგი ბევრს კითხულობდა, გულმოდგინედ სწავლობდა გერმანულს... უფრო გვიან მივხვდი, მისი გონება დაიხენებითა და გამუდმებით იყო მიჯაჭვული რაღაც ღრმა და ძნელად შესამეცნებელზე, იმაზე, რის შესაცნობად ათასი წლის ფიქრიც არ კმარა. ეს ჭაბუკი ზურაბ კაკაბაძე ვახლდათ...“ შემდგომში „ეევროპული სტილის ფილოსოფოსი, ფართო დიაბაზონის მოაზროვნე, ადამიანის უმტკივნეულეს პრობლემათა მკვლევარი...“

აქ აუცილებლად გაჩნდება კითხვა — რითაა გამორჩეული ზურაბ კაკაბაძის მოღვაწეობა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ისევ და ისევ მის კოლეგებს, მეგობრებსა თუ თანამოაზრეებს მივმართავთ: „აზროვნების მისეული სტილი გულისხმობდა ურთულესის მარტივად და ნათლად გადმოცემას, დიდძალი ინფორმაციის იოლად აღსაქმელად მოწოდებას, ყოველი განსახილველი საკითხისადმი ესეთის დახვეწილობით მიდგომას“ (ნიკო ჭავჭავაძე, ნიკო ყიასაშვილი, ნოდარ გუგუშვილი, თამაზ ბუაჩიძე, მიხეილ ბუენიშვილი, ოთარ ჭიოგვი, რევაზ თვარაძე). ყველაფერია ნათქვამი!

ზურაბ კაკაბაძის თავისი გზის არჩევისას გარკვეული სირთულეები ჰქონდა. მას ხომ მასწავლებლებად შალვა ნუცუბიძე, სერგი დანელია, კოტე ბაქრაძე და სავლე წერეთელი ჰყავდა. როგორც მისი კოლეგები აღნიშნავენ, ზურაბმა „თავისი მასწავლებლებისაგან მარტო ფილოსოფია და მისი სიყვარული კი არ ისწავლა, მათი საუკეთესო თვისებებიც შეისისწლხორცა და. თავის პიროვნებაში გააერთიანა შალვა ნუცუბიძის გაქანება და შემართება, სერგი დანელიას უაღრესი მეცნიერული კეთილსინდისიერება, კოტე ბაქრაძის აზროვნების სინათლე და სიცხადე, სავლე წერეთლის დარბაისლობა და საფუძვლიანობა“ (ნ. ჭავჭავაძე, თ. ბუაჩიძე).

როცა ზურაბ კაკაბაძის მიერ საქუთარის გზის არჩევისას სირთულეებზე აღვნიშნეთ, ესეც გვექონდა მხედველობაში: წართული ფილოსოფიის ასეთი კორიფეების შემდეგ არც თუ ისე ადვილია ახალი გზის მონახვა.

ზურაბ კაკაბაძის არჩევანი სხვა მხრივაცაა დიდად მნიშვნელოვანი. გურამ თევზაძის საინტერესო და საფუძვლიანი შენიშვნით, ქართულ ფილოსოფიას, მის უპირველეს წარმომადგენლებს მუდამ ერთი ძირითადი პრობლემა ჰქონდათ: დიალექტიკის მოძღვრება მსკვალავდა მათ ნააზრევს. ამ მოსაზრების მართებულობის საჩვენებლად არეობავიტყვის, იოანე პეტრიწის, სოლომონ დოდაშვილის, შალვა ნუცუბიძის, კოტე ბაქრაძისა და სავლე წერეთლის ნაშრომთა თვალის გადავლებაც საკმარისი იქნებოდა. ამ შემკვიდრებობის საფუძველზე შეიქმნა სავლე წერეთლის „დიალექტიკური ლოგია“.

ასეთი ძლიერი ტრადიციის შემდეგ, ზურაბ კაკაბაძე, და ამას დროც აჩვენებს, ახალ პრობლემას ამკვიდრებს ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში. ეს პრობლემა ადამიანის რაობის ფილოსოფიურ განხილვას გულისხმობს გამორჩეულად, უფრო უკეთ, როგორც თვით ზურაბ კაკაბაძე იტყვოდა, — ადამიანის „შეჭირვება“ იყო მისი განსჯის უმთავრესი საგანი. რა კარგად არის ამის შესახებ ნათქვამი: „პირადი სიცოცხლის აზრიც, თავისი ცხოვრების ძირითადი საქმეც ზუსტად მოქებნა — ადამიანის ფილოსოფიური პრობლემა“ (ნ. ჭავჭავაძე, თ. ბუაჩიძე). ზურაბ კაკაბაძის მიერ დამკვიდრებულ გზას ქართულ სინამდვილეში დავიწყება არ უწერია.

ერთი შეხედვით, ზურაბ კაკაბაძის მოღვაწეობა არ „ზის“ ქართულ, საუკუნეებით განმტკიცებულ ტრადიციულ აზროვნებაში, მაგრამ საკმარისია მის შემოქმედებაში ჩაღრმავება და იქნებ საწინააღმდეგო კითხვა წამოიჭრას: — აზროვნების მისეული სტილი, მის მიერ არჩეული პრობლემატიკა ხომ არაა განსაკუთრებით ქართული?!

არც თუ ისე იშვიათად ზურაბ კაკაბაძის მისამართით იტყვოდნენ: მისი კვლევის სფეროში მოცემული ადამიანური ტყვიელები სრულიადაც არაა ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი. ეს, რა თქმა უნდა, სიმართლისაგან ძალზე შორსაა. ამის შესახებაც ისე გარკვეულად არის ნათქვამი, რომ უნდა დავიმოწმოთ იგი აუცილებლად: „არც ერთნული თემა გამორჩენია ზურაბს, ამ თემასაც მიზნდა იმავე სიმალეებიდან, ყოველ მის ნაშრომს რომ ახასიათებს და კიდევ უფრო მეტი სისათუთითაც (არც კი გვეგონა, რომ ეს შეიძლებოდა)“ (ნ. ჭავჭავაძე, თ. ბუაჩიძე). ავტორებს მხედველობაში აქვთ მისი წერილი — „ბუნების დაცვის ერთი ასპექტი“, რომელიც, თუ არ ეცდებით, ზ. კაკაბაძის ბოლო „გაბრძოლება“. ამ წერილში ზურაბ კაკაბაძის ფიქრისა და განსჯის საგანი გამხდარა მშობლიური ბუნება, მისი ხალხის საუკეთესო ღირსებანი, რომელთაც საფრთხე ემუქრებათ ტექნიკური ინდუსტრიალიზაციის პირობებში. ამ წერილში მის „ხედვას თითქოს დავით კაკაბაძის მზერაც ერთვის“ (იგივე ავტორები).

როცა ზურაბ კაკაბაძის „დამსახურებათა“ ნუსხას ჩამოთვლი, უპირველესად მაინც უნდა ითქვას, რომ მან ფილოსოფია „გასაგები გახადა“. შეიძლება ძალიან უხეშადაა ნათქვამი, მაგრამ ეს ფაქტია. ფილოსოფიის ურთულეს პრობლემატიკასთან



„ზიარება“ ძნელზე ძნელი საქმე რომაა, ამაზე მითითებით ახალს ვერაფერს ვერ შეიძლება ვინაღობო. მაგრამ აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს „ზიარება“ ორი გზით შეიძლება განხორციელდეს: ან ფილოსოფიის გამაბრტყელებით — „დამაბლებით“ და ამ გზით მისი მსმენელისა თუ მკითხველის დონეზე „დაყვანით“, ან მსმენელისა თუ მკითხველის ისე შემზადება, რომ შესაძლებელი შეიქმნას მისი ფილოსოფიის დონეზე „აყვანა“. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ფილოსოფიაც და მსმენელიც მოგებულა. ზურაბ კაკაბაძე იმ ბედნიერ გამონაკლისთა რიცხვში შედიოდა, ვის „ხელშიც“ ფილოსოფია არ ზარალდებოდა. ეს საოცარი უნარი მას მუდამ გამოარჩევდა ხოლმე.

ზურაბ კაკაბაძის ნაწერების გაცნობის შემდეგ ეპვიტო ალა გვაპარება, რომ ასევე სინტერესოდ შეიძლება „წაკითხულ იქნან“ პლატონი და არისტოტელე, პლოტინი და პროკლე, დეკარტი და სპინოზა კანტი და ჰეგელი და ა. შ. და ამ ფილოსოფოსთა შრომები „წაკითხულ იქნან“ არა მხოლოდ, როგორც რაღაც საქმისათვის საჭირო, არამედ, როგორც ადამიანის სულიერი მოთხოვნისათვის აუცილებელი.

აუცილებლად ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ მის „ხელში“ ურთულესი ფილოსოფიური პრობლემატკა, ცვილივით მოქნილი, ერთობ „თვინიერი“ და მკითხველისათვის თუ მსმენელისათვის მახლობელი და ადვილი გასაგები ხდებოდა. ამიტომაც, არცაა გასაკვირი, მის წიგნებს მკითხველი რომ არ აკლდა, ხოლო ლექციაზე აუდიტორია მუდამ ხალხმრავალი იყო...

ერთ მომენტზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება, რომელიც განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ზურაბ კაკაბაძისათვის, როგორც შემოქმედისათვის: იგი არასოდეს ჩაძირულა (მხოლოდ!) საყვლევ ობიექტში. მისთვის მთავარი იყო არა მხოლოდ ადამიანის გაჭირვებისა თუ „შეჭირვების“, ტკივილებისა და სულიერი კრიზისების მიზეზების შეცნობა და მათში გარკვევა, არამედ მათგან ადამიანის „გამოხსნის“ გზების ძიებაც, უფრო სწორად — ადამიანური ტკივილები... მას უპირველესად აინტერესებდა საკუთრივ ადამიანის „ხსნა“. სწორედ ამგვარი აქტიური პოზიციით მან ბევრი სიძნელე დაძლია. შემთხვევით არ უთქვამთ მის შესახებ: „...იგი ოპტიმისტი იყო, ტრაგიკული ოპტიმისტი“ (ნ. ჰაუპტმანე, თ. ბუაჩიძე). სხვათა შორის, მისი ეს გამორჩეული თვისება ავადმყოფობის ყამსაც გამოჰქლავდა, როცა უკურნებელი სენით შეპყრობილი არ ვეგუებოდა გარდუვალ ხედვრს. სწორედ ამ მიმე პერიოდში დაიწერა „ბუნების დაცვის ერთი ასპექტი“, რომლის შესახებაც გეტყვინდა უკვე საუბარი.

გერმანელი ფილოსოფოსი გეორგ ზიმელი აღნიშნავდა: ჩვენ სიკვდილის მიმართ მუდამ უარყოფითი დამოკიდებულება გვაქვს, არადა სიცოცხლის სიღრმეში იმთავითვე იგულისხმება სიკვდილი; რომ სიცოცხლე და სიკვდილი სინამდვილის ერთიანი მიმართების ორი ასპექტია; რომ სიცოცხლე აუცილებლობით მოითხოვს — მის საპირისპიროს — სიკვდილს; საბოლოოდ შეიძლება სხვათა ნაზრების საფუძველზე დავასკვნათ: სიკვდილის გარეშე სიცოცხლეს აზრი არ ექნებოდა. იგივე ზიმელი შენიშნავს: სიკვდილის შიში, მისგან გაქცევის სურვილი, საფუძვლად უდევს ჩვენს აქტიურობას... ამაზე უარის თქმა უკვე სიკვდილია. ზიმელის ნათქვამს შეიძლება დავმატოს: სიკვდილის შიშია — სიცოცხლეს რომ საზრისს აძლევს.

სიკვდილს, საშინელების განცდასთან ერთად, სევდაც თან ახლავს. ზურაბ კაკაბაძის გარდაცვალებას თან ახლდა დიდი სევდა. ეს სევდა ყველგან და ყველადღერში შეიმჩნეოდა, მაგრამ ყველას სევდას რაღაც საერთო ჰქონდა — ეს თვით სევდის საგანი იყო. ზურაბ კაკაბაძის სევდის ძირების დაძებნა არ უნდა იყოს ძნელი საქმე: ფიქრი და განსჯა ედო მის სევდას საფუძვლად. ყველადღერი ეს იყო სამყაროზე, სიცოცხლეზე, ადამიანზე და მათ რაობებზე დაფიქრებით გამოწვეული სევდა...

მისი იუმორი, ზოგჯერ განმეხრწლაიც, სხვა არაფერი იყო თუ არა აღმატებული კაცის გამოძახილი, ისევ და ისევ აუცილებლობით ნაკარნახევი...

საერთოდ, უფრო ღუმლის კაცი ეთქმოდა, სამყაროს „სუნთქვის“ მოსმენას წა-
დილობდა. და როცა ამ ღუმელს არღვევდა — არღვევდა ორი გარემოების გამძვინვან-
პროტესტს გამოხატავდა უღმობელი სინამდვილისადმი ან კიდევ სურვილი შეიხსნა
მის მიერ განცდილი სიმების სოცარი რწვეა, მხოლოდ მის გამგებლობაში არ დაჩე-
ნილიყო — სხვებისთვისაც ემცნო ამის შესახებ. მერედა, როგორ ხერხებს არ ფლობ-
და ამ საიდუმლოების გამომჟღავნებისას! ამ მზოვიაც იყო იგი გამოჩაქისი ჩვენს
კულტურაში — განუყოფელი და საოცარი „ხელწერის“ მფლობელი.

ზურაბ კაკაბაძის შემოქმედება მოიცავდა როგორც წმინდა ფილოსოფიურ პრობ-
ლემატიკას, ასევე ლიტერატურულ კრიტიკას, ხელოვნებათმცოდნეობას, კულტურის
ზოგად პრობლემებსა და... პოეზიას. ყველა სფეროში ჩანდა მისი, როგორც შემოქმე-
დის, ძალა. ისიც აუცილებლად ხაზგასასმელია — იგი ყველგან რჩებოდა ფილოსო-
ფოსად.

ზურაბ კაკაბაძის მრავალფეროვანი შემოქმედება ძირითადად გამოცემულია მის
წიგნებში, ესეებში, წერილებსა და ამ ბოლო დროს, მის გარდაცვალების წლისთავზე
გამოსულ პოეტურ კრებულში. მისმა ფილოსოფიურმა ნაშრომებმა — „ეგზისტენციუ-
რი კრიზისის პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლო-
გია“, „ადამიანი როგორც ფილოსოფიური პრობლემა“, „ხელოვნების ფენომე-
ნი“, „ესეისტურმა წიგნმა — „წერილები“, „ხელოვნება, ცხოვრება, ფილოსო-
ფია“, აღარაფერს ვამბობთ იმ წერილებსა და სტატიებზე, რომლებიც პერიოდულად
ქვეყნდებოდა ყურნალ-გაზეთებში, — მათათვის დიდი ავტორიტეტი და სახელი მოუ-
ხვეჭა მათ ავტორს, როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში.

ნაწილად რამდენიმე წერილზე შევიჩრდებით, რომლებშიც ნათლადაა გამოჩე-
თილი ზურაბ კაკაბაძისათვის დამახასიათებელი სიღრმე აზროვნებისა. ამ წერილებში
ავტორი დიდი ტაქტით აჩვენებს ამა თუ იმ მოვლენის არსს. ისიც აღსანიშნავია, რომ
ზ. კაკაბაძე ისე გრძნობს სიძნელეს, თითქოსდა ესაა თუ ის მოვლენა დღეს თუ არა ხვალ
მანც მოხდება და საჭიროა წინასწარი სამზადისი მასთან შესახვედრად. ზურაბ კაკა-
ბაძე ხშირად იტყობდა — ის რაც დღეს ჩვენთან არ შეინიშნება, ეს სრულებითაც არ
ნიშნავს, რომ საერთოდ არ იქნება; ის კრიზისები, რაც საერთოდ ადამიანურობისათ-
ვისაა დამახასიათებელი — აღრე თუ გვიან ჩვენც გვეჩვენება.

ზ. კაკაბაძის ერთ-ერთი ბოლო სტატია — „საუბარი თანამედროვე დასავლური
ხელოვნების თემზე“ ყურნალ „სკოლა და ცხოვრებაში“ გამოქვეყნდა სრულად მისი
გარდაცვალების შემდეგ. ამ მოცულობით არც თუ ისე დიდ სტატიაში იმდენი რამაა
ნათქვამი, ზოგჯერ ერთი წიგნიც რომ არაა საკმარისი მის გამოსაცემად. ეს „ტყვადი“
სტატია მრავალმხრივ საინტერესოა — მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში
ადამიანის გაუცხოებით დაწყებული, — ადამიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბე-
ბაში მშობლიური ენის როლის ჩვენებით დამთავრებული.

ამ სტატიაში საკითხთა ფართო წრეა მიმოხილული და, რაც მთავარია, ისეთ მო-
მენტებზეა ყურადღება გამახვილებული, რომელსაც ვერ ამჩნევს „ჩვეულებრივი თვა-
ლი“. ამ სტატიის ჩაკვირებით წაითხვა კიდევ ერთხელ დაარწმუნებს მკითხველს სა-
ყოველთაო ჭეშმარიტებაში: არ არსებობს მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო პრობლემა
თუ საკითხი; არსებობს პრობლემისა, თუ საკითხის საფუძვლიანი და ზერევე განხილ-
ვა და გადმოცემა. ეს სტატია სწორედ იმის ნიმუშია, თუ როგორ სერიოზულ ყურად-
ღებას მოითხოვს ნებისმიერი საკითხი. თუ ამ ყურადღებას არ მოვაკლებთ მათ —
სულ სხვა მნიშვნელობას შეიძენენ ისინი.

ამ სტატიაში ზ. კაკაბაძე აღნიშნავს: „თანამედროვე ცხოვრების ფუნდამენტურ
წინააღმდეგობად მიაჩნიათ ხოლმე წინააღმდეგობა ტექნიკური კომფორტის მიზანსა და
ამ მიზნის განხორციელებისას მიღებულ შედეგებს შორის“, და ამის სამაგალითოდ გვიჩე-
ნებს



ხილავს „ტელევიზორის შექმნა-მონმარებით ვატაცებასა და ამ ვატაცების შედეგებს შორის წინააღმდეგობას“. ამ საკითხის განხილვისას ავტორი მიუთითებს იმ მატყუნებელზე, რომელიც ვატაცების დროს ვატაციის ხარისხს აკონტროლებს. ავტორი ამტკიცებს, რომ ვატაციის ხარისხის დაკვირვება უნდა ხდებოდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვატაციის ხარისხი დაკვირვების საშუალებას იძლევა. ავტორი ამტკიცებს, რომ ვატაციის ხარისხის დაკვირვება უნდა ხდებოდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვატაციის ხარისხი დაკვირვების საშუალებას იძლევა.

„ტელევიზორის ავტონომიის აღმნიშვნელად მოდიმარო დიქტორის საუბრის ნებისმიერი...“ — ამბობს ზ. კაკაბაძე და სწორედ ამ ცთუნებას ემყარება აღმნიშვნელის თვითმართულება „ვითომცდა საესტეტიკო უდანაკლებად სცვლის ცოცხალ აღმნიშვნელთან ურთიერთობას“. რახან აღმნიშვნელი მოქცეულია ცთუნების გავლენის ქვეშ, მას ევკვიც კი აღარ ეპარება, რომ ეს „ურთიერთობა“ ტელევიზორთან — აღმნიშვნელთან ურთიერთობის ტოლფასია. ეს კი განაპირობებს ტელევიზორთან აღმნიშვნელის კიდევ უფრო „ძლიერ მიჯაჭვას“, ამით კი აღმნიშვნელი კიდევ უფრო ეთიშებიან ერთმანეთს და იკეთებიან საკუთარ „ნაჭუჭში“.

აღმნიშვნელის ტელევიზორთან „ურთიერთობის“ მეორე უარყოფითი მომენტი ისაა, რომ ტელევიზორის მეშვეობით აღმნიშვნელი ნაირ-ნაირი სინაზობის მყარებული ხდება, ამით კი იქმნება ილუზია — თითქოსდა მას მოგვარებული აქვს გართობის საქმე და რახან ეს მისი ძალების დაუძაბავად, „სხვისი აქტიურობის“ ხარჯზე ხდება, ამიტომაც იგი თანდათანობით პასიური ხდება. ამის შესახებ ზ. კაკაბაძე დაასკვნის — „პასიური გართობა, ბედნიერების ხარისხის მინეღვით, ვერასოდეს გაუტოლდება აქტიურ გართობას, რომელიც საკუთარ შინაწილებს, მოქმედებს და შემოქმედებს გულსხმობს“.

აღმნიშვნელის ტელევიზორთან ინტენსიურ „მეგობრობას“ კიდევ ის უარყოფითი მხარე გააჩნია, რომ მის მიერ ტელევიზორით მიღებული ინფორმაციის შემდეგ აღმნიშვნელის თანდათანობით განუმტკიცდება რწმენა, რომ ამ გზით შეიძლება ცოდნის შექმნა. რაკარგად აჯამებს ყველაფერს ამას ზ. კაკაბაძე: „ნამდვილად კი საკუთარი ფიქრისა და აზროვნების გარეშე მიღწეული ცოდნა და გაგება მხოლოდღა თვითღარწმუნებულ უვიცობა და გაუგებრობაა“. შეიძლება ყველაფერი ეს ძალზე მკაცრად ნათქვამი, მაგრამ სამწუხარო სიმართლეა, ხოლო ასეთი სიმართლის თქმისას იგი არასოდეს იკავებდა თავს, რაგინდ მკაცრი ფორმით არ უნდა ყოფილიყო ეს სათქმელი. ამ მხრივ მისი პრინციპულობა სამაგალითო იყო. ეუვი არაა, მისი ეს მოსაზრებანი ყველაასათვის ვერ იქნება ადვილი მოსასმენი, განსაკუთრებით კი იმათთვის, ვისთვისაც ტელევიზორით მიღებული ინფორმაცია — ცოდნის ერთადერთი წყაროა.

ზემოთ აღნიშნული, ცხადია, სრულებითაც არ ნიშნავს უარის თქმას ტექნიკის მონაოგარზე. ზ. კაკაბაძე მუდამ ასეთ გამოთქმას ხმარობს — „ტელევიზორით ვატაცება“. სწორედ ესაა მთავარი — ტექნიკის მონაოგარმა ისე არ უნდა გავავტაციოს, რომ აღმნიშვნელი დავემონოთ მას, დავკარგოთ ძირითადი აღმნიშვნელი და ის, რაც საშუალება უმადლესი აღმნიშვნელი ღირებულებების განსახორციელებლად — მიზნად დავისახოთ. ძირითადად ეს შინაარსია „ჩადებული“ ზურაბ კაკაბაძის მსჯელობაში და არა სხვა რამ...

ჩვენს სინამდვილეში ბევრს ლაპარაკობენ, თუ როგორ და რა დოზით უნდა მიეწოდოთ ბავშვს უცხო ენა. ზურაბ კაკაბაძე აღნიშნულ წერილში სპეციალურად ეწება ამ მტკივნეულ საკითხს და მისთვის დამახასიათებელი სიტყვად და სინათლე შეაქვს მასში. ამ საკითხის გასარკვევად „ბუნებრივი ენის“ სპეციფიკას განიხილავს. „ყოველი ბუნებრივი ენა სამყაროს გარკვეულ სურათს გამოხატავს და შეესაბამება“, რომ „სხვადასხვა ენები სამყაროს რამდენადმე სხვადასხვა სურათებს მოასწავებენ“, რომ, ერთი ენა რაღაც ისეთ სიტყვებს შეიცავს, რომელთა შესატყვისი არ მოიძებნება მეორე ენაში“. აქედან გამომდინარე, ყოველი ენისათვის დამახასიათებელია საკუთარი მსოფლ-



მხედველობა, ანუ როგორც ზ. კაკაბაძე იტყოდა — განსხვავებული „სოფლ-ხედვის“ სწორედ ამ განსხვავებული „სოფლ-ხედვის“ გამო, რომელიც დამახასიათებელი ყოველი ენისათვის, — ზურაბ კაკაბაძის აზრით. — მიზანშეწონილი არაა ბავშვებისათვის ერთდროულად და ერთნაირი დოზით მშობლიური და უცხო ენების სწავლება. და აქ ავტორი ერთობ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს; „სხვადასხვა „სოფლ-ხედვის“ ელემენტები, ერთმანეთს რომ შეეჯახებიან, ერთი გარკვეული ხედვის ჩამოყალიბებას, სამყაროს ერთ გარკვეულ სურათად ჩამოყალიბებას დააბრკოლებენ და, ამგვარად, შეაფერხებენ ბავშვის „მხედველობას“, ანუ მის სულიერ-გონებრივ განვითარებას“. ავტორი იქვე აგრძელებს — „ბავშვმა თავდაპირველად ერთი ენა უნდა ისწავლოს საკმაოდ და მეტე, სათანადო ინტერვალის დაცვით, მეორე, ხოლო ის ენა, რომელსაც თავდაპირველად ისწავლის, რა თქმა უნდა, მშობლიური ენა უნდა იყოს, ... ამ გზით ბავშვი უპირველესად ითვისებს სამშობლოს „სურათს“ და ამის შემდეგ სხვა ენის სწავლა და სხვა „სოფლ-ხედვის“ დაუფლება ზიანს ვეღარ მიაყენებს თავდაპირველად შეთვისებულს — სამყაროს მშობლიურ სურათს. ამასთან, სამყაროს მშობლიური სურათისაგან უცხოური სურათის გარჩევა და განსხვავება სრულიადაც არ ნიშნავს უცხოეთისადმი დაპირისპირებას, არამედ ეს მასთან ერთიანობის საწინდარია, რამდენადაც კაცობრიობის ქეშმარიტი ერთიანობა ამავდროს განსხვავებულია და ცეცას მოითხოვს“.

ამავე სტატიისი ზ. კაკაბაძის განსჯის საგანია მწერლის მიერ ე. წ. „ენის მსხვრევის“ საკითხი. ამ საკითხში ზ. კაკაბაძის პოზიციის კიდევ ერთხელ გახსენება აუცილებლად მიგვაჩნია, რამდენადაც ამ ბოლო დროს ჩვენს პერიოდულ პრესაში ამის შესახებ მწვევე პოლემიკა წარიმართა. ზ. კაკაბაძის მოსაზრებათა გათვალისწინება ამ საკითხში, ჩვენი ღრმა რწმენით, ბევრ გაუგებრობას აგვაცილებს თავიდან.

ზ. კაკაბაძე იხილავს საზოგადოების ცხოვრებაში გარდამავალ პერიოდს, როცა „ტრადიციულ იდეალს, სამყაროს ტრადიციულ სურათს და ცხოვრების შესაბამის წესრიგს“ ძალა დაუკარგავს და ამასთანავე ჯერ კიდევ არ ჩანს შესაბამისი მისი შემცვლელი ენა, როგორც უკვე აღინიშნა, სამყაროს გარკვეულ სურათს გამოხატავს და ენის ტრადიციული მოხმარება მიყვება ამ „ღინებას“. ასეთ სიტუაციაში თავისი სიტყვა უნდა თქვას მწერალმა, იგი „...ხათლად ხედავს და მწვევედ განიცდის ტრადიციული წესრიგის რღვევას, სამყაროს არსებით მოუწესრიგებლობასა და უცხოობას და ამგვარ პირობებში ენის ტრადიციული მოხმარების პრინციპულ სიყალბესა და შეუსაბამობას“. ყოველივე ამის გამო მწერალი იწყებს ენის „რღვევას“ — ცხოვრებაში მიმდინარე რღვევის შესაბამისად.

ასეთ დროს ხომ იქმნება საფრთხე, რომ ენის ყოველი ნებისმიერი „მსხვრევა“ აუცილებელ კანონზომიერებად მივიჩინოთ? ზ. კაკაბაძის „მახვილ ხედვას“ არც ეს გამოკპარავია: ხშირად, — აღნიშნავს ავტორი, — ამგვარ ხერხად მივიჩნევთ არაგულწრფელ, მართლაცდა ორიგინალობისა და თავის გამოჩენის სურვილით ნაკარნახევ შემთხვევებსაც... მაგრამ „...გამოცდილ თვალს არ გამოვპარება ეს სიყალბე, ვინაიდან ავტორის მიერ გამოყენებულ სხვა ხერხებთან ხსენებული ხერხის უთანხმოებას და მამასადამე, ნაწარმოებში მის უადგილობას შეამჩნევს“...

ზ. კაკაბაძის უკანასკნელი წერილი — „ბუნების დაცვის ერთი ასპექტი“ მის სიცოცხლეშივე გამოქვეყნდა. ავტორს დიდი სიუჟეტით აქვს გარჩეული კახური „მრავალეპოეირისა“ და გურული „კრიმანჯულის“ განსხვავების საფუძვლები. ამავე წერილში ხაზგასმულია, რომ ბუნების ნებისმიერი ხელყოფა დიდ და გამოუსწორებელ ზიანს მოვლავს: „თუკი ინდუსტრიის ერთგვაროვანი მოთხოვნების თანახმად, ბუნება, ზოლოს და ბოლოს, ერთგვაროვან სახეს მიიღებს, მაშინ თანდათან წაიშლება და დაიკარგება ეროვნულ კულტურათა თავისებურებანი და სხვადასხვაობა...“



ზურაბ კაკაბაძის მხოლოდ სამი წერილი განვიხილეთ აქ, ისიც სანახევროდ კი არა. მისი სხვა წერილები — „ფრანც კაცია“, „ფელინის ფილმი „რვანახევროდ““, „სიცოცხლის ფილოსოფია“, „მანქანა და პოეზია“, „ხელოვნება და მისი აუდიტორია“ და კიდევ ბევრი სხვა, მისი მონოგრაფიები, რომელთა შესახებაც მიუუთითეთ უკვე, სულ სხვადასხვა კუთხით წარმოაჩენს მის „მსოფლმხედველობას“, რომლებშიც ერთი საერთო ხაზია გატარებული, და რომლებსაც ერთი საერთო მიზანი აქვთ: ადამიანის რაობის განხილვა ფილოსოფიის „სიმალეებიდან“...

„სკოლა და ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: ზურაბ კაკაბაძე აპირებდა „...ქართველ კლასიკოს მწერალთა შემოქმედებითი მემკვიდრეობის“ ფილოსოფიურ-ესთეტიკური ასპექტით შესწავლას და ჩვენ ჟურნალში ამ ნაშრომების პერიოდულ პუბლიკაციას. სამწუხაროდ, ამ დიდი საქმის გასრულება არ დაცალდა...“ უნდა ვირწმუნოთ, რომ ზურაბ კაკაბაძის მემკვიდრეობას გამოუწოდებლად გამგრძელებლები და განავითარებენ მის ბიერ დაწყებულ დიდ საქმეს.

საინტერესო მოთხრობა

ახალგაზრდა თაობას მწერლობაში ყოველთვის მოაქვს თავისებური ხედვა, სათქმელის გამოხატვის ხერხები და გაზრება.

ახალგაზრდა მწერლის ნაირა გელაშვილის „ჩვენება (ანაბეჭდები)“, რომელიც „მნათობის“ მე-6 ნომერში დაიბეჭდა, ძალზე საინტერესო და თავისებური მოთხრობაა არა მარტო იმიტომ, რომ აქ ბევრი პრობლემატური საკითხია სამსჯავროზე გამოტანილი, არამედ, რაც მთავარია, უჩვეულოა კომპოზიციურად.

თავისებურია ნაირა გელაშვილის წერის მანერა და მოთხრობის სიუჟეტური განვითარება, თავისებურია მისი იდეური და მხატვრული ჩანაფიქრის ხორცშესხმა. ავტორი გვაძლევს მოთხრობის სათაურის ასეთ აზსნას: „დავარქვი „ჩვენება (ანაბეჭდები)“. ხომ ხედვით, რა ვუთხარი ამით მკითხველს? ამით ვუთხარი, რომ არ ვიტყუები, მის მხარეზე ვარ, დაზარალებულის მხარეზე და... ეექტბ სამართალს... საგნებზე ჩვენი ანაბეჭდებია და უნდა გავაცოცხლოთ...“

მოთხრობაში ერთი უიღბლო ოჯახის ცხოვრებაა ნაჩვენები. გაჩნდა ამქვეყნად გიორგი ჭუმბურის ძე გიორგობიანი, დედამისი — 22 წლის ნინო მის გაჩენას გადაჰყვა. თავიდან ბოლომდე უბედურად წარიმაართა გიორგის ცხოვრება. მწერალი ახერხებს მკითხველს მძაფრად განაცდევინოს გიორგის თანაყოფილი მწარე ხედვრი.

მოთხრობაში ნათლადაა გადმოცემული მამისა და შვილის ურთიერთობა და აღმზრდელთა როლი ბავშვის აღზრდა-ჩამოყალიბებაში.

ობლად დარჩენილ გიორგის ბებია ზრდიდა (ნინოს დედა), რომელიც მამას უგინებდა ბავშვს — დამთხვეულსა და მაწანწალას უწოდებდა. იქით მამა ეუბნებოდა გიორგის: „ბებიაშენი შენ კი გვირდება, მაგრამ კაკუის კოლოფი არ გეგონოსო“. ბუნებრივია, ასეთ პირობებში გიორგის აღზრდის საქმე ვერ წარიმაართებოდა ნორმალურად. პატარა გიორგის ძილში სიზმრები არ ასვენებდა, ყვიროდა, შეშინებული იდგებდა, ოთახში მარტოდ დარჩენისა ეშინოდა. გაიზარდა უთქმელი და გულჩათხრობილი. ვერ მოახერხა მამამ ერთადერთი შვილის გულში ჩახედვა, იმ გულში ჩახედვა, რომელიც დიდ სიყვარულსა და მრავალ სატიკიარს იტევდა. გიორგი არა თუ

მესაიდუმლედ თვლიდა მამას, სიმართლესაც კი უმალავდა მას. გიორგისაც ხომ სკი-
რდებოდა ზოგჯერ დამძიმებული გულის განტვირთვა, ამიტომ იყო, რომ ბუნდო-
ლოს სმასაც მიეჩვია.

გიორგი ნიჭიერია, შრომისმოყვარე, კეთილშობილი, მაგრამ მოუსვენარი, ჩქარი
და ნერვიული; იგი ცხოვრებამ გახადა ასეთი. არ გაუმართლა სიყვარულშიაც — არა
და რა თავდავწყებით უყვარდა მეუღლე, რომელმაც იმისთვის მიატოვა, რომ გიორ-
გის შესაძლებლობა არ ჰქონდა მისთვის ნაირ-ნაირი ძვირფასი სამკაული ეყიდა.

მამის მონოლოგში მწერალი, მრავალ ცხოვრებისეულ მტკივნეულ საპირბორტო
საკითხს წარმოაჩენს.

ზის მამა მარტოდმარტო ერთადერთი შვილის ცხედართან და ესაუბრება: „რო-
გორც შემძლო, ისე გზრდიდი, შვილო, ცოლიც შენი გულისათვის აღარ შევირთე...
ერთი ვერ დავსხედით და ერთმანეთში სიტყვა ვერ გავცვალეთ... ცხოვრება არ გა-
მოგვივიდა, შვილო... ათი წლისა რომ იყავი, მთელი სამი თვე გპირდებოდი, თბილის-
ის ზღვაზე წაგიყვან-მეთქი, თურმე სულ მელოდი... ტიროდი, კიდეც... იმ წანებში
ხარჯები მომიწია, ვიღაცის ქორწილში ვიყავი დაბატყებული და მთელი ხელფასი
წავიდა... ორი მანეთილა მეღო ჯიბეში, აბა, ორი მანეთის ამარა სად უნდა წამეყვანე...
ოცი მანეთი ხომ მიინც დაგვიკირდებოდა... ფული არასოდეს მყვარებია... მაგრამ
უფულობის მეშინოდა უბედურად... უფულოდ ვერც პირში ამოუდგები ვინმეს და
ვერც ლხინში... დედაშენსაც და ბებიასშენსაც უღარდელი ვეგონე... არა, მრცხველია
რომ არაფერი გამაჩნდა. შენი ცოლიც... ეს მიყიდე, ის მიყიდეო და შენ კი ვერ უსრუ-
ლებდი... აბა როგორ? შენი ხელფასი საჭმელზედაც არ გყოფნიდათ... როგორ გიყ-
ვარდა შენი საქმე... და სადაც გინდოდა, იქ ვერ მოახერხე მუშაობა... როგორი ღამანი
წევხარ, მოგიკედეს მამა...“

აქ ყველაფერი ნათლად და მკაფიოდ ნაჩვენები, მაგრამ განსაკუთრებით ხაზგას-
მულია პატიოსანი კაცის ბედი ქარაფშუტა მეუღლის ხელში.

ამჟამად სრულიად დროულია მწერალ ნ. გელაშვილის მიერ სამსჯავროზე გა-
მოტანა ისეთი უნიათო და უღარდელი მამებისა, რომელთაც გიორგის მამა — ჯუმ-
ბერაც ეკუთვნის. არიან მამები, რომლებიც არ იცნობენ თავიანთ შვილებს, მათ პი-
როვნებას, არ იციან რა ასაზრდოებს მათ გონებასა და სულს, რომ უკვე დროა მო-
ცალონ მამებმა შვილებისათვის. აკი ამის საჭიროებას ჯუმბერაც ვაძნობს — „ერთი
ვერ დავსხედით და ერთმანეთში სიტყვა ვერ გავცვალეთო“, ანაობს, მაგრამ უკვე
გვიანია!

ნ. გელაშვილი სარეცენზიო მოთხორობაში განიხილავს სიზმრისა და ბედისწერის
პრობლემას.

დედაცა და შვილიც სიკვდილის წინ საბედისწერო სიზმრებს ხედავენ. მოთხრო-
ბის გმირთა მოქმედებაში თითქოსდა ყოველთვის ბედისწერის უღმობელი ხელი
ერევა. ჩვენი აზრით, მწერალი ამ ხერხს იყენებს მოქმედების მსვლელობის ემოციუ-
რი დატვირთვისათვის, სიტუაციების უფრო მძაფრად წარმოსახვისათვის.

საბჭოთა ფსიქოლოგია, როგორც ეს ავტორსაც კარგად მოეხსენება, ბედისწე-
რას საერთოდ არ ცნობს, ხოლო სიზმარი ფანტაზიის ერთ-ერთ სახედ მიაჩნია.
ფროიდსა და მის მიმდევართ კი მიაჩნიათ, რომ ბედისწერა ესაა ინდივიდში ბიოლო-
გიურად მოცემული, ჩანასახიდანვე თანდაყოლილი გაუცნობიერებელი იმპულსების
გამოვლენა ცხოვრებაში, ამ იმპულსებით მოქმედება. ხომ არ ანიჭებს ავტორი ინტუ-
იტურს უპირატესობას? იმ შეუცნობელმა „რალაცამ“ ხომ არ წაიყვანა გიორგი იმ
გზით და ეს „რალაცა“ ხომ არ იყო სწორედ ის თანდაყოლილი გაუთვითცნობიერებ-
ელი იმპულსების გამოვლენა?!

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს წინათვარძნობები, სიზმრები და ზმანებები შო-

მთხრობაში, მართალია, ისე ერწყმის და ალამაზებს გმირთა სახეებს, რომ ამის გარე-
შე თითქოს წარმოუდგენელი იქნებოდა ის დიდი ემოციურობა, რაც ამ მოთხრობი-
სთვისაა დამახასიათებელი.

„ჩვენებაში“ საკმაო ადგილი უჭირავს ამონაწერებს ბიბლიოთეკის ძველი და ახალი
წიგნებიდან. ესაა მწერლის ზერხი გარკვეული მსოფლმხედველობის გადმოსაცემად,
აქაც ნ. გელაშვილი თითქოსდა დოკუმენტის ენით ფრთხილად, შეფარვით მეტად
დამაფიქრებელ აზრებს გეთავაზობს:

„...მძიმე წიგნია ცხოვრება ჩვენი... თავზარდამცემი ნაწერით და მუქი ფურცლე-
ბით... საძირკველს ქვემოთ დარჩება შენი თანდაყოლილი და შეძენილი ცოდვის
ფლასები: შური, სიცრუე და პირმშო მისი — შიში, სილანჩრე, განდიდების ფუჭი
სურვილი... — შემაბურო ყური: თავად აინთე, გაანათე... წყლდ იქეცი დამშვრალის-
თვის, ეთავშესაფარე“.

„...იქ ზარს ჩამოგვრავთ, ქვეყნისხელა ზარი დაერეკოთ.. აგუგუნდეს და შეაქრ-
ქოლოს ჯადოგამჯდარ ქვეყნიერებას...“


მოთხრობა თავდება ამონაწერით საკლასო რვეულიდან „ვინ მინდა ვიყო“. გიორგი
გიორგობიანი II კლასის მოსწავლე წერს: „მე მინდა ვიყო ჩიტი. აფერინდებოდი
ცაში. მამამ თქვა, დედა ცაშიაო“... უდედო ზვეშის გულშიჩამწვდომი სიტყვებია!

ნაირა გელაშვილი ნიჭიერი მწერალია, მას წერის თავისი მანერა გააჩნია, მაგრამ
ზოგი ნაკლი, ვფიქრობთ, მაინც უნდა აღინიშნოს:

ერთი წაკითხვით მკითხველი ვერ ჩაწვდება მოთხრობის შინაარსს. თითოეული
ფრაზა მრავალგვარ გაგებას იძლევა, მწერალი ზოგჯერ სათქმელს ბოლომდე ვერ
მიჰყვება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ავტორს სურს, რატომღაც, ძნელად
გასაგები გახადოს ნათქვამი; ასეთი ტენდენცია საერთოდ შეინიშნება თანამედროვე
მწერლობაში. მოთხრობაში ჩართულია წერილი, რომელსაც ნინოს დედა წერს, მაგრამ
ვის სწერს, ვინაა ადრესატი, არაა ცნობილი. ან კიდევ, სრულიად გაუგებარია, იმ პირობე-
ნების ვინაობა, რომელიც კატასტროფის შემდეგ არ სცილდებოდა გიორგის. ასევე,
ერთი და იგივე ტექსტი ბიბლიოთეკის ძველი წიგნიდან ორჯერაა მოტანილი.

ამ შენიშვნების მიუხედავად, ნაირა გელაშვილის „ჩვენება (ანაბეჭდები)“ მეტად
მაინტერესო პრობლემატური მოთხრობაა.

ასკანო გელაშვილი.



ღავით ხახუტაიშვილი
ამირან ჯახიძე
სერგო გოგიტიძე

არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი ახალგუენაბლოგათა მოედნებზე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა გეგმურ საეულე სამუშაოებთან ერთად ამ ბოლო წლებში ფართო საეულე კვლევა-ძიებანი განახორციელა ახალგუენაბლოგათა მოედნებზე. ამჯერად ჩვენ საუბარი გვექნება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1983 წლის კვლევა-ძიების შედეგებზე. პირველ რიგში შევჩერდებით საქართველოს ზღვისპირა ზოლის ერთ-ერთი უძველესი ძეგლის — მახვილაურის ნამოსახლარის — არქეოლოგიური გათხრების შედეგებზე. მახვილაურის ნეოლითური ხანის ნამოსახლარი მიკვლეულ იქნა 1968 წელს.¹ აქ მცირე მასშტაბის სადაზვერვო სამუშაოები განხორციელდა 1969-1971, 1977, 1980 წლებში. ფართო მასშტაბის გათხრები კი წარმოებდა 1982-1983 წლებში.

დადასტურდა, რომ ეს ტერიტორია დასახლებული ყოფილა ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე VI ათასწლეულში, ე. ი. ნეოლითის ხანაში. რავგორც ცნობილია, ნეოლითური კულტურა ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია კაცობრიობის ისტორიაში. სწორედ ამ ეპოქიდან იწყება მიმთვისებლური, შემგროვებლური მენტრონიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა. ბინადარი ცხოვრების დაწყება განაპირობა მიწათმოქმედების² და მესაქონლეობის წარმოქმნა-განვითარებამ. საწარმოო ძალებსა და შესაბამისად წარმოები ურთიერთობათა სფეროში მომხდარი ცვლილებები შესანიშნავად აისახა მახვილაურის მაგალითზეც. უახლესი აღმოჩენების მიხედვით ჩანს, რომ მკვიდრი მოსახლეობა კაჟისა და ობსიდიანის იარაღთან ერთად უკვე ფართოდ იყენებდა ბაზალტისა და რიყის ქვის იარაღებს (ძელოვანი მასალები ჩვენამდე არაა მოღწეული), ჩნდება მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული იარაღები (ცულეები. სათლელები, თიხისებური და წერაქვისებური იარაღები, კაჟის ნამგლევი, ხელსაფქვევები, სანაყები და ა. შ.), ისახება მეთუნეობა და ფეიქრობა, სამეურნეო ყოფაში დაწინაურებული ჩანს მეთევზეობა. აღმოჩენილია შნდის საძირავებად გამოყენებული ცალგვარდაძოღარული რიყის ქვის საწაფები (მსგავსი ნიმუშები საერთოდ არაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში). მათი რიცხვი 600-მდე აღწევს. საწაფეების ზომები მიუთითებს, რომ უძველესი ეპოქებიდან ძველი მახვილაურელი სათევზაოდ ზღვაზეც გადიოდა.

მახვილაურის ნეოლითური ხანის ნამოსახლარის ტერიტორია გვიან ბრინჯაოს ხანაში სამაროვნად გამოუყენებიათ. მიკვლეულია ამ ეპოქის 21 სამარხი. ამ ქვაყრილიან ორმოსამარხების დიდ ნაწილში თითო მიცვალებულია დაკრძალული. ზოგჯერ გვხვდება კოლექტიური სამარხებიც. სამარხეულ ინვენტარში აღსანიშნავია ბრინჯაოს



სამაჯურები, სასაფეთქლე ხეები, საკინძები, მიძიები, თიხის ჭურჭლები და ა. შ. ვე ეპოქაში ათვისებული ჩანს მახვილურის ბორცვიც. ბორცვის წვერზე გამოვლენილია უძრავი კულტურული ფენა და რაღაც ნაგებობების ნაშთები. აქ ქვის საძირკვლიანი ხის ნაგებობა რამდენიმე უნდა ყოფილიყო, რომლებიც ხანძარში განადგურებულან. გათხრებისას კარგად შეინიშნებოდა ხანძრის ნაკვალევი (დამწვარი-დეფორმირებული თიხის ჭურჭლის ნატეხები, შენობის შეღესილობის წიღებადქცეული ფრაგმენტები და ა. შ.) დიდი რაოდენობითაა მოპოვებული კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი სადა თუ მდიდრულად შემკობილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

მახვილურის დასახლება განსაკუთრებით გავრცობილია ანტიკურ ხანაში. გათხრებისას მოპოვებულია დიდძალი არქეოლოგიური მასალა. კოლხური ქვევრის, სამზარეულო და სუფრაზე მოსახმარი ჭურჭლების, ამფორების და სხვა სახის კერამიკული ნაწარმის ნატეხები, თიხის საბეჭდავები და პირამიდული საწაფები, ხელსაქვავები, სალესები და რიყის ქვის საწაფები. გვხვდება უცხოური ნაკეთობანიც. მახვილურის ბორცვის ფერდობებზე გადანაყარ მასალებს 1,5-2 მ სისქის კულტურული ფენა შეუქმნია.

მახვილურის ნამოსახლარის გათხრებისას მოპოვებულია ადრეფეოდალური ხანის მასალებიც.

ბორცვის თხემსა და სამაროვანზე ახლდამოპოვებული მასალების მიხედვით ჩანს, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში მოსახლეობას საცხოვრებლად შეურჩევია საფორტიფიკაციო თვალსაზრისით ხელსაყრელი მძალი ბორცვის თხემი, ხოლო სამაროვანად — მისი ძირობა.

ახალმა არქეოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა, რომ მახვილური გვიანბრინჯაოს, ანტიკურსა და ადრეფეოდალურ ხანაში მდ. ჭოროხის ქვემო დინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და დაწინაურებულ დასახლებას წარმოადგენდა.

1983 წლისათვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკვლევი ობიექტი იყო მახარაძის რაიონის სოფ. მზიანი (ასკანის კოლმეურნეობა). აქ შეისწავლებოდა ძველი კოლხური რკინის სამთომეტალურგული ცენტრის სუფსა-გუბაზეულის საწარმოო კერის სახელოსნოები.² სოფ. ასკანა-მზიანი შემოგარენით ქმნიდა სუფსა-გუბაზეულის საწარმოო კერის ცენტრს. არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა სოფ. მზიანის ოთხ ძეგლზე. მათ შორის ერთ-ერთზე სამი ქურა-სახელოსნოს არსებობის კვალი დადასტურდა. როგორც წესი, რკინის საღნობი ქურები წვეროზე მდგარი წარკვეთილი პირამიდის მოყვანილობისაა. ქურის კედლები ფლეთილი ქვიშა-ქვებითაა მოპირკეთებული. ერთ-ერთი ქურის კედლები ძირამდე იყო მოპირკეთებული და ცეცხლგამძლე თიხით შეღესილი; პირველად დადასტურდა აგრეთვე ქურის იატაკად ბრტყელი რიყის ქვის გამოყენებაც. ქურის გადარჩენილი ნაწილის სიმაღლე 80-დან 130 სმ-მდე მერყეობს, სიგანე: ორმოს ზედაპირთან 70-დან 90 სმ-დე, შუა წელზე — 50-დან 65 სმ-დე, ძირზე 30-დან 40 სმ-დე. კონუსისებური მოყვანილობის თიხის საბერველებით ხდებოდა ჟანგბადის მიწოდება. ზოგიერთ საქშენი მილის გაფართოებულ ბოლოზე დაკულია ამოღარული სარტყელი საბერველის ტყავის ყელის თიხის მიღზე დასამაგრებლად. შეგვხვდა თიხის საქშენი მილის ისეთი ნიმუშებიც, რომელთაც საღამურის მსგავსად ნახვრეტები აქვთ დატანებული. დნობის პროცესში საბერველის საქშენი მილის პირის გაღობილი მასით ამოქოლის შემთხვევაში ჟანგბადის მიწოდების ერთადერთ არხად სწორედ ეს ნახვრეტი რჩებოდა. ქურის ირგვლივ წითლად შეფერადებული გრუნტის სისქე (მძალი ტემპერატურის მოქმედების კვალი) 15-20 სმ შეადგენს. ქურებთან ახლოს აღმოჩნდა ე. წ. მაგიდისა (საქეველა) და ქურიდან ამოღებული მასის დასაყრელი მოედნები.

არქეოლოგიური გათხრების პროცესში ხშირად ჩნდებოდა სანაყები, წიღენი, თიხის შეღესილობის, საქშენი მილებისა და იშვიათად თიხის ჭურჭლის ნატეხები, აგრე-

თვე ხის ნახშირი. კერამიკული ნაწარმის შესწავლისა და რადიოკარბონული მეთოდით ნახშირის ანალიზის მონაცემებით, მზიანში აღმოჩენილი რკინის სადნობი ქუთხის ნახსენებულს ნახსენებულს ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრითა და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით თარიღდება. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ძველი კოლხეთი მეტალურგიის ერთ-ერთი დაწინაურებული და უძველესი ცენტრთაგანია ყოფილა.

მეტად საინტერესო საველე არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა ბობოყვათის მიდამოებში, კერძოდ ბათუმ-ქობულეთის საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს, ზღვის თანამდროვე ნაპირიდან 200-250 მ-ის მოშორებით, მდ. დეხვას ძველი კალაპოტის ახლოს. ამ ადგილებში უნდა აშენდეს ტურიზმისა და ექსკურსიების აქარის საოლეო საბჭოს ტურისტული სასტუმროების კომპლექსი. ამ არქეოლოგიური სამუშაოები ჯერ კიდევ 1982 წელს დაიწყო და გასულ წელს კიდევ უფრო ფართო მასშტაბით გაგრძელდა. შესწავლილ იქნა თითქმის 12.000 კვ. მ. ფართობი, სადაც გამოვლინდა ძველი კოლხური კულტურის მრავალფეროვანი და საინტერესო ძეგლები. გათხრების ერთ უბანზე აღმოჩნდა ქვიშაში ჩადგმული ბაზალტის ქვისგან ნაგები ოთხკუთხა ნაგებობის ნაშთები. ცეცხლის ზემოქმედების შედეგად ნაგებობების შიდა ნაწილი შავად იყო შებოლოლი. მოედნის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ერთმანეთში ჩადგმული ნაწილობრივ დაზიანებული ორი საშუალო ზომის დერგი. ოვალური ფორმის წითლად შეფერილი მოედანი მსუბუქი კონსტრუქციის „ფაცხისებური“ ნაგებობის ნაკვალევად შეიძლება მივიჩნიოთ. არანაკლებ საყურადღებო ჩანს ბაზალტისგან მასიური ქვებისაგან ნაგები ოვალური ფორმის, წრიულად შეკრული ნაგებობის ნაშთი (ზომები: 2,1 X 1,3 მ, სიმაღლე — 0,2 სმ.) აქაც ცეცხლის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად კედლის ქვები დაშლადარია. ნაგებობის ახლოს აღმოჩნდა სპეციალურად მომზადებული თიხის მოზრდილი გუნდა. ნაგებობის შიგნით, განსაკუთრებით კედლის გასწვრივ, მიმობნეული იყო ე. წ. „აბაზანისებური“ ჭურჭლის მოზრდილი ნატეხები. როგორც ჩანს, ამ ტიპის თიხის ნაკეთობათა ღია ცეცხლზე გამოწვა აქვე ხდებოდა. სამწუხაროდ, ქვიშაზეინულების ნამოსახლართა საკმაოდ ფართო მასშტაბის არქეოლოგიური გათხრების პრაქტიკაში ე. წ. აბაზანისებრი ჭურჭლების არც ერთი მთლიანი ეგზემპლარი ჯერჯერობით აღმოჩენილი არ ყოფილა.

ბობოყვათის ამ ახალმშენებლობის ცალკეული უბნების გათხრებისას გამოვლენილ ძველკოლხურ ძეგლებს შორის განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს წარმართული ხანის სამსხვერპლოები. აღეწერთ ერთ-ერთ მათგანს: სამსხვერპლო ოვალური მოყვანილობისა და დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, მისი ზომებია: 2,4 მ. X 1,2 მ. X 0,35 მ. ჩვენ წინაშეა სამსხვერპლო ქვიშარა ნიადაგში ჩაუდგამთ. კედლები შედგენილია ქვიშარავე თიხისაგან ნაქერწი მასიური, მართკუთხა განივკვეთიანი ძირწაწვეტიებული რქისებრშვერილიანი სადგრების გამოყენებით. ზოგჯერ კედლის ამოსაყვანად რიყისა და ბაზალტის დამუშავებული ქვებიცაა გამოყენებული. თიხის სადგრებითა და ქვებით ამოყვანილ კედელს მთელ სიგრძეზე ზემოდან ადევს რამდენიმე ფენად განლაგებული ე. წ. აბაზანისებური ჭურჭლის სხვადასხვა ზომის ნატეხები. სამსხვერპლო შუაში გადატირებულია 6 რქისებრი სადგრით. ტიხარის სამხრეთით, სადგრების პარალელურად, ფიქსირებული იქნა ოთხ ფენად ერთმანეთზე დაწყობილი ე. წ. აბაზანისებური ჭურჭლების საკმაოდ მოზრდილი ფრაგმენტები. ხშირად მსგავს სამსხვერპლოებთან ახლოს ჩნდება კერამიკული ნატეხების ნაყარი, სადაც დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ე. წ. აბაზანისებრი ჭურჭლის ნატეხები და შედარებით მცირე რაოდენობით რქისებრი სადგრების და საყოფაცხოვრებო ჭურჭლის ფრაგმენტები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბობოყვათის ამ უბნის გათხრებისას საკმაოდ ხშირად ჩნდება კუთხეებმომრგვალებული, ზოგჯერ ფოსობითა და ტა-

ლდისებური სახეებით დაფარული საკულტო დანიშნულების კერამიკული ფილები. ბო-
ბოყვათის ნასახლარის წინა წლების გათხრებმა გვიჩვენა, რომ ზოგჯერ რქისებრი
დგრებისა და მსგავსი ფილების გამოყენებით საკურთხეველებსაც აგებდნენ. სამეც-
ნიერო ლატერატურაში თინის რქისებრი სადგრები ხარის სტილიზებული გამოსახუ-
ლებადაც არის მიჩნეული (ნ. ხოშტარია). იგი, თავის მხრივ, ქართულ წარმართულ
ღვთაებათა პანთეონში ნაყოფიერებისა და სიუხვის სიმბოლოდ გვევლინება (ე. ბარ-
დაველიძე, ო. ჯაფარიძე).

ჩვენი ექსპედიციის მიერ მოპოვებული ფილები თავისი ფორმით და შემკულო-
ბით ქართველ და, საერთოდ, კავკასიელ ხალხთა ეთნოგრაფიაში კარგად ცნობილი ხა-
ყოფიერების კულტთან დაკავშირებული რიტუალის ერთ-ერთ ყველაზე ძირძველ და
გავრცელებულ კომპონენტს — სარიტუალო პურებსა და კვერებს ესადაგება და შესა-
ძლოა სულაც ამგვარი ნაწარმის თინის იმიტაციებს წარმოადგენს. როგორც ცნობილია,
საქართველოს ზღვისპირეთის დიუნური ძეგლები ძირითადად ძვ. წ. I ათასწლეულის
პირველი ნახევრით არის დათარიღებული. ჩაქვის, ბობოყვათისა და ფიჭვნარის გათხ-
რებმა უფრო დააკონკრეტა ქრონოლოგიური ჩარჩოები და ამ ტიპის ძეგლების თარი-
ღი ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით განისაზღვრა (ა. რამიშვილი).

ბობოყვათის უახლესი აღმოჩენები ერთხელ კიდევ გვიდასტურებს, რომ ძვ. წ.
II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის დასაწყისისათვის საქმოდ შორს წავი-
და დასავლურ-ქართული (კოლხური) ტომების კულტურისა და რელიგიური მსოფლმხედ-
ველობის ფორმირების პროცესი.

როგორც ჩანს, ზღვისპირა ქვიშაზინულები გამოიყენებოდა არა მარტო სამეურ-
ნეო დანიშნულებით (ა. რამიშვილი), არამედ აქ რელიგიური რიტუალიც სრულ-
დებოდა.

ბობოყვათის დიუნურ დასახლებებზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებ-
მა გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნა ადგილობრივი მოსახლეობის სულიერი კულ-
ტურისა და სამეურნეო საქმიანობის შესახებ, დაგროვდა ახალი მნიშვნელოვანი მასა-
ლები ამ ტიპის ძეგლების ხასიათის ვარკვევისათვის.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1983 წ. გააგრ-
ძელა არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ნაქალაქარსა და მასთან უშუალოდ და-
კავშირებული სამაროვნის ტერიტორიაზე.⁴ მნიშვნელოვანი კვლევა-ძიება წარმოებდა
მდ. ჩოლოქის მარცხენა სანაპიროზე (ფიჭვნარის ნაქალაქარის II უბანი); დადასტურ-
და, რომ ამ უბანზე უძველესი კულტურული ფენები გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ
საფეხურს განეკუთვნება. მომდევნო ეპოქის კულტურული ფენები წინანტიკური და
ანტიკური ხანის სხვადასხვა საფეხურით თარიღდება.

ჩოლოქისპირა უბანი მდიდარი აღმოჩნდა არქეოლოგიური ნაშთებით. თანამედ-
როვე ზედაპირიდან 1,6 მ სიღრმეზე გამოვლინდა ხის ნაგებობათა ნაშთები. ჩოლოქის-
პირა დასახლების გათხრები ჯერ კიდევ არაა ბოლომდე მიყვანილი, ამიტომ ჯერჯერო-
ბით ვერაფერს ვიტყვით ნაგებობათა ფორმებისა და არქიტექტურის შესახებ. აქაც,
როგორც ჩანს, საქმე უნდა გვექონდეს კოლხური კულტურისათვის აგრე რიგად დამახა-
სიათებელი ჯარგვალური ტიპის ნაგებობებთან. ამასვე ადასტურებს ფიჭვნარის ნაქალა-
ქარის პირველ უბანზე, კერძოდ, ნაშუქედურის ნამოსახლარის გათხრებისას აღმოჩენი-
ლი შესანიშნავად დაცული ხის შენობათა ნაშთები.

ჩოლოქისპირა თხრილების გათხრებისას ჩვენი ყურადღება მიიქცია ხის მესერმა,
რომელიც ფარების — ე. წ. აგვარას ნაშთებს უნდა წარმოადგენდეს. აქვე დიდი რაო-
დენობით ჩნდება წიწიბოს, რკოსა და წაბლის ნაყოფისა და ორგანული ნივთიერებების
შემცველი ნაშთები. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ჩნდება ძვლოვანი მასალები.
ამ სახის მასალებით გვიანბრინჯაოს ხანის კულტურულ ფენაში შექმნილია მთელი შრე.

წამყვანია კოლხური ჯიშის ტანმორჩილი ძროხის, შინაური და ზოგჯერ გარეული ღორის, ცხვრისა, და თხის ძვლები. ამ მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ კოლხეთის ბარის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მესაქონე-ლეობას.

ჩოლოქისპირა თხრილში მოპოვებულია, აგრეთვე ნადირობასთან და თევზჭერასთან დაკავშირებული მასალები. ესენია: შურდულის ქეები, კაყის ისრისპირი, ბადის საძირავებად გამოყენებული ქვის საწაფები. დელფინის ძვლების დიდი რაოდენობით აღმოჩენა უნდა ადასტურებდეს ძვ. წ. V საუკუნის ბერძენი ავტორის ქსნოფონტეს ცნობას იმის შესახებ, რომ კოლხები დიდ ქილევში ინახავდნენ ზღვის ღორის (დელფინის) დამარილებულ ხორცს. ისპანის აღმოჩენების მიხედვით ჩანს, რომ დელფინის ქონის რეწვას კოლხები უძველესი დროიდან (ჩვენს ერამდე III ათასწლეული) მისდევდნენ.

ფიჭვნარის უძველესი მოსახლეონა არანაკლებ დაწინაურებული ჩანს ლითონ-დამუშავებაში. ამის დადასტურებას უნდა წარმოადგენდეს ჩოლოქისპირა თხრილებში მოპოვებული კოლხური ცულის, სამკაულის, საბრძოლო იარაღისა და სხვა სახის ნაწარმის ყალიბთა ფრაგმენტები, თიხის ციცივი და საბერველის საქშენი მილის ნატეხები. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ამ სახის მასალების ასეთი სიმრავლე კოლხეთის სხვა ძეგლებზე ჭერჭერობით არ შეინიშნება. ეს გასაგებიცაა, სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ მდ. კოროხის აუზი და, როგორც ჩანს, მისი მიმდებარე ტერიტორიები წარმოადგენდა ბრინჯაოს მეტალურგიის წამყვან კერას.

მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, მეთევზეობის, ლითონდამუშავების გვერდით აღმავლობას განიცდის ხელოსნობის მთელი რიგი სხვა დარგები. პირველ რიგში აღსანიშნავია მეთუნეობა. ფორმების მრავალგვარობასთან ერთად ყურადღებას იქცევს თიხის ჭურჭელთა შემკობის სინტიფე, აქაურ კერამიკოსთა დახვეწილი გემოვნება. მოპოვებულია ძვლის ნემსი, თიხის კვირისტავები, თანდათანობით გროვდება მდიდარი ნივთიერი მასალები საფეიქრო ხელოსნობის შესასწავლად. პირველად გამოჩნდა მეღურგლეობა-მეავეჯეობასთან დაკავშირებული მასალებიც. ამ მიმართულებით ყურადღებას იქცევენ ექსპედიციის მიერ მოპოვებული ხის კოთხოსა და კოვზის ფრაგმენტები. მსგავსი ინვენტარი დღესაც ფართოდაა გავრცელებული აჭარის მკვიდრი მოსახლეობის ეთნოგრაფიულ ყოფაში.

კულტურულ ფენებში წარმოდგენილი იყო, აგრეთვე, აქაურ მკვიდრთა სულიერი კულტურის ამსახველი ძეგლებიც. წამყვანია ფალოსის და ხარის კულტთან დაკავშირებული თიხის სადგარები, მრავალგვანყოფილებიანი სამსხვერპლოები და ა. შ.

პარალელურად სწარმოებდა სავსელე სამუშაოების ფიჭვნარის ძვ. წ. V ს. ბერძნული ნეკროპოლის ტერიტორიაზე. როგორც ცნობილია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის არქეოლოგიური გათხრები 1967 წლიდან წარმოებს (გამოვლენილი იყო 94 სამარხი და რამდენიმე სარიტუალო მოედანი). საანგარიშო წელს გაითხარა 10 სამარხი და 5 სააღაპო მოედანი. ყველა სამარხი ინჰუმაციურია (ადრე, იშვიათად, კრემაციული სამარხებიც ჩნდებოდა). მიცვალებულნი დამხრობილნი ყოფილან გამოტილ პოზაში თავით აღმოსავლეთისაკენ (მეტნაკლები გადახრებით). სამარხეულ ინვენტარში გვხვდება ქიოსური და თაზოსური ამფორები, იონური სადა ზოლებიანი და ათენური შავლაკიანი კერამიკული ნაწარმი. ანტიკურ კერამიკულ ნაკეთობათა შორის ყურადღებას იქცევს მაღალი გემოვნებით ორნამენტირებული და მოხატული წითელფიგურული ცალები. ფიჭვნარის ელინურ წრეებს შორის დიდ მოწონებას იმსახურებს კოლხური თიხის ჭურჭელი, განსაკუთრებით კი ოქროსა და ვერცხლის სამკაულები

მოპოვებულ იქნა საიუველირო ხელოვნების უბრწყინვალესი ნიმუშები. ესენია ცვარათი დაფარული დიდი ზომის ე. წ. ნახევარმოვარისებური საყურეები, პატარა ზო-

მის ყურსაკიდების სრულიად ახალი ფორმები, ნახევარმთავრისებური საკიდები და მძივები. აღმოჩენილია ვერცხლის შესანიშნავი სმაჯურები, რომელთა ბოლოებიც მთლიანად ველთა თავების სკულპტურული გამოსახულებებითაა შემკული. ფიჭვნარის კოლექცია გამდიდრდა ფინიკიური ფერადი მრნის ახალი ნიმუშებით, ბრინჯაოს სარკეებია და ა. შ. შეგვხვდა უინვენტარო სამარხებიც, რაც აქ დაკრძალულ პირთა რთულ სოციალურ სტრატეგიაზე უნდა მიუთითებდეს. ბერძნულ ნეკროპოლზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების მეცნიერული მნიშვნელობა მეტად დიდია. ელინურ ეთნოსთან დაკავშირებული ეს სამაროვანი ჯერჯერობით ერთადერთია ამიერკავკასიაში.

ანტიკური ხანის საინტერესო სამოსახლო იქნა მიკვლეული 1983 წელს აჭარის-წყლის ხეობაში.⁵ ბოლო დრომდე ამ ხეობიდან უპირატესად ცნობილი იყო მხოლოდ შემთხვევითი აღმოჩენები. 1977 წლიდან ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია საქართველოს არქიტექტორთა კავშირის აჭარის ორგანიზაციასთან თანამშრომლობით შეუდგა ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი ხეობის ერთ-ერთი საინტერესო მონაკვეთის — სხალთისწყლის ხეობის — თანმიმდევრულ არქეოლოგიურ შესწავლას. თვალსაჩინო შედეგები მოგვცა სხალთის, ვერნების, ხიხაძირისა და თხილვანის საეკლესიო და საფორტიფიკაციო კომპლექსების გათხრებმა. არქეოლოგიურად დღემდე სრულიად შესუსვლელები იყო აჭარისწყლის ხეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი — ქედის რაიონი. პირველი ნაბიჯი გადაიდგა გასულ, 1983 წელს. ადრე გაზაფხულზე ზვარეს კოლმურნეობის თემჯღღამარის მამია სირაბაძის ცნობის მიხედვით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომელთა ჯგუფმა სადაზვერვო სამუშაოები განახორციელა ს. კვაშტაში, კერძოდ, სირაბიძეების უბანში, „ჭოლოებისა“ და „საყორნიას კლდისთავის“ მიდამოებში. რამდენადაც ძველის ადგილმდებარეობამ და ზედაპირულმა მასალებმა დიდი ინტერესი გამოიწვია, გადაწყდა ამ ადგილებში სპეცელ სამუშაოების დაწყება. გარდა ამისა, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო ზვარე-ვაიო-კვაშტის ზონაში იწყებდა სარწყავი-სისტემის მშენებლობას. აუცილებელი იყო არქეოლოგიური ძეგლების წინასწარი შესწავლა.

შესასწავლ ობიექტად არჩეული იქნა სოფ. კვაშტის სირაბიძეების უბნის განაპირას მდებარე ე. წ. „საყორნია კლდის ქედი“. იგი წარმოადგენს აჭარა-შავშეთის მთების ერთ-ერთი განშტოების — ჯვარისქედის — უშუალო გაგრძელებას. მისი ორივე კალთა მკვეთრად დაქანებულია. აღმოსავლეთი ნაწილი მიუვალ ვერტიკალურ კლდეზე წარმოადგენს. „საყორნია კლდის“ სერი თავის მხრივ შემოზღუდულია მთების სისტემით და მცირე მდინარეთა ხეობებით. თვით „საყორნიას კლდის“ სერი მთების სისტემიდან რამდენადმე წინაა წამოწეული. ძვ. წ. V საუკუნისათვის აქაურ მკვიდრთ ყურადღება მიუქცევიათ ამ გორაკის მეტად ხელსაყრელი მდებარეობისათვის: „საყორნია კლდე“ შეეძლო კონტროლი გაეწია აჭარისწყლის ხეობას მოზრდილი ნაწილისათვის. ამ ნიადაგზე დაახლოებით 2.500 წლის წინათ აქ გაჩენილა გამაგრებული კოლხური დასახლება. როგორც ჩანს, მსგავსი დასახლების წარმოქმნა უნდა უკავშირდებოდეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთის ზოლში ბარის ზემოქმედების გაძლიერებას. ახლად აღმოჩენილი ძეგლი პირველი ტერასული დასახლებაა, რომელიც ადრეანტიკური ხანით თარიღდება და, ამდენად, კოლხური კულტურის შემდგომი შესწავლისათვის მისი მნიშვნელობა მეტად დიდია. ჯერჯერობით გათხრილია ორი და დაიწყო მესამე ტერასის გათხრა. ჩანს, რომ თითოეულ ტერასაზე მდგარა ხის ნაგებობანი, რომელთაც საძირკვლად გამოყენებული ჰქონიათ კლდის მასივი, ზოგან კი ქვის წყობა. ტერასებზე გაიწმინდა კლდეში ნაკვეთი საღრუნავო არხები და ქვის კედლების ნაშთები, აგრეთვე ნახანძრალი მონაკვეთები, ძელთრა სახლის შელესილობის ნატეხები. იქვე, ერთ-ერთი ნაგებობის იატაკზე, ქვის მოზრდილი სანაყიცი იდგა.



კულტურულ ფენებში განსაკუთრებით დიდი როლდენობით აღმოჩნდა სამეცნიერო-კერამიკის — კოლხური ქვევრების და ღერგების ფრაგმენტები. ზოგიერთი რქველი დაფარული ყოფილა ნაირნაირი დეკორით, როგორც ცნობილია, ქვევრები ძირითადად ღვინის შესანახავად გამოიყენებოდა, მაგრამ ზოგიერთ ქვევრს ყელის არეში გაკეთებული ნახვრეტი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ამ ტიპის ჭურჭლები მარცვლეთულის შესანახავად გამოიყენებოდა.

სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი (დოჩები, ქოთნები, სასმისები, ჯამები, ხუფები) უმეტესად საღაა. მათი შემკობისას ზომიერადაა გამოყენებული წიწვოვანი, ტალღისებური და ნაქლევი ორნამენტი, რელიეფური სახეები და ა. შ. საყურადღებოა, რომ ზღვისპირა ზოლიდან ასე მოშორებულ ობიექტზედაც აღმოჩნდა ბერძნული ნაწარმის მიბადებით დამზადებული ადგილობრივი ელინიზებული ფორმები, კერძოდ, ჭრაქი. კვაშტის მონაპოვარში წარმოდგენილია აგრეთვე იმპორტული კერამიკის რამდენიმე ნატეხი, ესენია: ე. წ. სასმისბერძინიანი ამფორის ნატეხები, ათენური შავლაკიანი და იონიური კერამიკის ფრაგმენტები.

რთვა-ქსოვასთან დაკავშირებული სამეთუნეო ნაწარმიდან აღსანიშნავია თიხის ბრტყელი კვირისტაგები. ყურადღებას იქცევს თიხის საბეჭდოები, რაც კერძო საკუთრებისა და კლასობრივი საზოგადოების არსებობის მანიშნებელი უნდა იყოს.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს დაუნიანებლად დაცული თიხის კონუსისებური პატარა ზომის ჭურჭელი (სიმაღლე 6,5 სმ, პირის დიამეტრი 4 სმ). მისი ფორმა და ზომები გვევარაუდებინებს, რომ იგი გამოყენებული უნდა ყოფილიყო ხალხურ მედიცინაში, ავადმყოფისათვის წამლის ზუსტად განსაზღვრული ოდენობის მისაწოდებლად.

კვაშტის მონაპოვარში მცირერიცხოვან ჯგუფს ლითონის ნაკეთობა შეადგენს. პირველ რიგში აღსანიშნავია რკინის მუჭარის — ხელშუბისა და რკინის წალდის ფრაგმენტები. ნამოსახლარის გათხრებისას აღმოჩნდა აგრეთვე შესანიშნავად დაცული ბრინჯაოს ორნამენტირებული სამაჯური, სპირალისებური ორმაგი ხვია და წნუხილი სამკაულით დაფარული ბრინჯაოს ქვების ყურ.

კვაშტის ნამოსახლარის გათხრებისას ხშირად ჩნდებოდა ხელსაფქვაეები. მიუხედავად იმისა, რომ ჭირჭერობით შესწავლილია არც თუ ისე დიდი ფართობი, უკვე მოპოვებულია 20-ზე მეტი ხელსაფქვაე. კოლხური სამარცვლე ქვევრებისა და ხელსაფქვაეების სიმრავლე იმისი მანიშნებელი უნდა იყოს, რომ სირაბიძეებ-კვაშტის მკვიდრი მოსახლეობა ძვ. წელთაღრიცხვის V საუკუნეში მარცვლეთულის მარაგს „საყორნიას კლდე“ სამოსახლოში ინახავდა. მრავალფეროვნებით ხასიათდება შერღულის ქვებიც. ყურადღებას იქცევს სათევზაო ბადის საძირაგებლად გამოყენებული რიყის ქვის საწაფები. მსგავსი ინვენტარი ამ ხეობიდან აღრე უცნობი იყო. კვაშტაში აღმოჩენილი საწაფები ზღვისპირა ზოლის ძველი საწაფებისაგან განსხვავებით პატარა ზომისაა. ეს გასაგებობა — ზღვაზე სათევზაოდ დიდი ზომის ბადეები და შესაფერისი საწაფები გამოიყენებოდა.

განათხარ მასალებში საკმაოდ დიდი როლდენობითაა წარმოდგენილი სხვადასხვა ზომისა და ფორმის სალესები. მათი ერთი ნაწილი ქვისაგანაა ნაკეთები, ნაწილი კი გრძელებული ხისაგან. და, ბოლოს, ნამოსახლარის II ტერასაზე ერთი მოზრდილი და ერთი პატარა ზომის სარდინის მძივიც იქნა მოპოვებული.

კვაშტის ნამოსახლარზე არქეოლოგიური მასალები დიდ ფართობზეა წარმოდგენილი. გასარკვევ-დასაზუსტებელია ბევრი საკითხი. საქმენია სამოსახლოს თანადროული სამაროვანი, ჯერ კიდევ ცოტა რამ ვიცით სამოსახლოს საფორტიფიკაციო სისტემის შესახებ, არ არის გარკვეული სამოსახლოს დაცემის მიზეზები, არ ვიცით აგრეთვე საიდან ემუქრებოდა თავდასხმის საფრთხე კოლხეთის ამ რეგიონს და ა. შ.



ამგვარ კითხვებზე პასუხის გაცემის მიზნით სოფ. კვაშტასა და მის მიდამოებში განხორციელებული ფართო მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოების განხორციელება

1983 წელს ყველაზე ფართო მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა პეტრა-ციხისძირის მიდამოებში (ქობულეთის რაიონი).⁵ პეტრას შიდაციხის ჩრდილოეთით ძღებარე ზღვისპირა დაბლობი და იქვე მასლობლად აღმართული ბორცვების ფერდობები მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით, რამაც დიდი ხანია მიიქცია მკვლევართა ყურადღება. 60-იანი წლების დასაწყისში ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც სწავლობდა პეტრას შიდაციხეს, დაზვერა შიდაციხის ძმდებარე ტერიტორიაც. 1966 წელს შიდაციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით ნაქალაქარის ტერიტორიაზე ნაწილობრივ გაითხარა V ს. საეკლესიო ნაგებობა — სამნავიანი ბაზილიკა, რომელსაც ნალისებური ავსიდა და ქვიშაქვის კაპიტელებით შემკული სვეტები გააჩნია. აღსანიშნავია აგრეთვე ბაზილიკის გათხრებისას აღმოჩენილი მარმარილოს არქიტექტურული დეტალები და მოზაიკის ფრაგმენტები. ყურადღებას იქცევდა ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ტერიტორიის გასწვრივ, ზღვის სანაპიროზე, ადგილობრივი მცხოვრებლები ხშირად პოულობდნენ ძველ მონეტებს, რაც იმითაც აიხსნება, რომ ამ ადგილებში ზღვა ინტენსიურად უტეგს ნაპირს და შლის ნაქალაქარის კულტურულ ფენებს. გასულ წელს ჩვენმა ექსპედიციამ ადგილობრივ მოსახლეობაში შეაგროვა 150 მონეტა, მათ შორის — რომაული, ბიზანტიური, არაბული და ა. შ. დაზვერვის შედეგად დადასტურდა, რომ პეტრას ქალაქური ნაწილი შიდაციხის ჩრდილოეთით ყოფილა გაშენებული.

1983 წელს დაიწყო პეტრას ნაქალაქარად მიჩნეული ტერიტორიის გეგმაზომიერი არქეოლოგიური შესწავლა. საველე სეზონის განმავლობაში გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლები დიდი მეცნიერული ღირებულებისაა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გათხრების შედეგად აღმოჩენილი არქიტექტურული ძეგლი — აბანოები. ერთი მათგანი შედარებით დიდი ზომისაა (20 მ.×10 მ.) და საკმაოდ კარგადაა დაცული. აბანო შედგება ერთ რიგში განლაგებული ხუთი განყოფილებისაგან. პირველი განყოფილება წარმოადგენს მოსაცდელ-გასახდელს. აგი განყოფილებათაგან ყველაზე მორიდლია, რაც აბანოს საზოგადოებრივ დანიშნულებაზე მიუთითებს. შემდეგი სათავსო ცივაუზიანი განყოფილებაა, აუზი ნათავსოს დასავლეთის მხარეს მიშენებული ნახევარწრიული მოყვანილობის აფსიდაში იყო მოწყობილი. კარგადაა შემონახული აუზის ჰიდრაულიკურხსნარაინი იატაკი, რომელსაც დასავლეთის მხარეს მცირედი დაქანება აქვს, რომ ხანძარი წყალი კედელში ჩაშენებული ყვარამიკული მილის საშუალებით გარეთ გამოდენილიყო. ცივაუზიანი განყოფილებიდან მობანავენი შედიოდნენ ჯერ თბილ, ხოლო შემდეგ ცხელ განყოფილებაში. თითოეულ მათგანს აფსიდებში მოწყობილი ორი აუზი გააჩნდა. ცხელ განყოფილებას გარედან მიშენებული ჰქონდა საქვაბე.

აბანოს თბილი და ცხელი სათავსები შემდეგნაირად თებოდა: აღნიშნული სათავსების იატაკები განლაგებული იყო ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით დაცილებულ აფურის სვეტებსა და სპეციალურ კვრამიკულ მილისებურ ღრუ სადგრებზე, რომელთაც კედლებში გამჭოლი ნახვრეტები გააჩნდა. დიობის გასათბობად გამოიყენებოდა აგრეთვე კედლების შიდა პირსა და შელესილობას შორის განლაგებული ოთხკუთხა მოყვანილობის, შიგნიდან ღრუ და გვერდით წახნაგებში გამჭოლი ნახვრეტების მქონე აფურები. იატაკქვეშა სივრციდან ცხელი ჰაერი ამგვარ აფურებში შედიოდა და კედლებს ათბობდა.

საქვაბე განყოფილების ის ნაწილი, რომელიც საცეცხლურის ზემოთ იყო განლაგებული და რომელშიც წყალი თებოდა, არ გადარჩენილა. ცნობილი რომაელი აგ-

ტორის ვიტრუვიუსის აღწერილობითა და ამავე დროის სხვა აბანოების ანალოგიით დგინდება, ორი წყლის გასაცხელებელი ქვაბის იატაკი სპილენძისაგან მზადდებოდა. ცეცხლი ქვაბს უშუალოდ ეხებოდა და აცხელებდა წყალს, რომელიც მიღების საშუალებით სათავსებში ნაწილდებოდა. წყალგაყვანილობის სისტემა არაა შემორჩენილი, თუმცა სათავსების გაწმენდისას აღმოჩნდა 3-4 სმ. დიამეტრის მქონე წყალსადენი კერამიკული მილების ფრაგმენტები. აღსანიშნავია აგრეთვე კერამიკული მილებისა და გვერდებზეცილი კრამიტებისაგან შედგენილი კოლექტორი, რომელშიც ცხელი სათავსოს ერთ-ერთი აუზიდან გამოსული ნახშირი წყალი მიედინებოდა.

აბანო ნაგებია ბაზალტის ქვით. მშენებლობისა და გამოყენებულა აგრეთვე აგური და კირხსნარი. ნაგებობას კრამიტის სახურავი ჰქონია, რაზედაც მიუთითებს გვერდებზეცილი კრამიტის ფრაგმენტების სიმრავლე.

აბანოს ნანგრევების გაწმენდისას აღმოჩნდა კონსტანტინე დიდის (306-337 წ. წ.) ექვსი ცალი სპილენძის მონეტა, მინის ნაწარმისა და კერამიკის ფრაგმენტები. ამ მონაპოვრის მიხედვით აბანო ახ. წ. IV ს-ით თარიღდება.

დიდი მეცნიერული მნიშვნელობისა იყო აგრეთვე სამაროვნის აღმოჩენის ფაქტი, რომლის შესწავლა მომავალ წლებშიც ვაგრძელებდა. ჯერჯერობით ექვსი სამარხისა გათხრილი, მათგან სამი იხვევტარიანი. ისინი სიღრმე გრუნტში ჩაჭრილი ორმოსამარხებია. ჩონჩხები არაა შემორჩენილი. ერთ-ერთი სამარხი, მისი ინვენტარის მიხედვით (სამტუჩა დოქი, კანთარისი, ბრინჯაოს სამაჯურები, ოქროსსარჩულიანი მძივები და ა. შ.), ძვ. წ. II ს-ით თარიღდება. დანარჩენ ორ სამარხში აღმოჩნდა: ამფორა, დოქები, წითელლაკიანი ლანგარი, მინის სურა-ძალზე მოხდენილი და ორიგინალური ფორმისა, მინის სასმისი, რკინის იარაღები (შუბისპირი, ცული, სატევრისპირები, სამკაული — რკინისა და ბრინჯაოს მშვილდსაკინძები, მინისა და პასტის მძივები, რკინის ბეჭედი, რომლის თვალბუდეში ჩასმულ ქვის საბეჭდავზე გამოსახულია წყვილი თავთავი — ნაყოფიერებისა და დოვლათის სიმბოლო). ზემოჩამოთვლილი ნივთები ახ. წ. IV ს-ით, ხოლო მთლიანად ხუროთმოძღვრული ძეგლები და სამარხების დიდი ნაწილი ახ. წ. IV-V საუკუნეებით თარიღდება.

გარდა ორმოსამარხებისა, აღმოჩნდა ორი ამფორასამარხიც. ერთ მათგანში დაცული იყო ჩვილი ბავშვის ჩონჩხი. ახალშობილთა დაკრძალვა ამფორაში ფართოდ გავრცელებული წესი იყო ელინურ სამყაროში. ამფორასამარხები აღმოჩენილია ფიჭვნარის ძვ. წ. V ს. ბერძნულ ნეკროპოლზეც. საყურადღებოა, რომ ბერძნების მიმაძვით გლინისტურ ხანაში (ძვ. წ. IV ს. ბოლო-III.) დაკრძალვის ამ რიტუალს ფიჭვნარას ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებიც მიმართავენ. ციხისძირის აღმოჩენების მიხედვით ჩანს, რომ ეს ტრადიცია გვიანანტიკურ ხანამდე შემორჩა.

სამაროვნის ტერიტორიაზე აღმოჩნდა კარგად დაცული ქვევრი, რომლის მხარის არეში ორი ასოსაგან შედგენილი მოწოვრამაა დაცული. როგორც ჩანს, მიცვალებულისათვის ამ ქვევრით ღვინო თუ სხვა სახის პროდუქტი ჩაუყობებოდა. მსგავსი ფაქტები სხვა სამაროვნებიდანაცაა ცნობილი.

უახლესი არქეოლოგიური მასალების მეცნიერული მნიშვნელობა დიდია, ძვ. წ. II ს. სამარხებისა და ადრე აქვე მახლობლად გათხრილი ანტიკური ხანის სამოსახლოს მიხედვით ჩანს, რომ პეტრა-ციხისძირის მიდამოებში ადრეფეოდალური ციხე-ქალაქის წარმოშობას ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნდა. თუ ადრე წერილობითი ტრადიციების შესაბამისად (მხედველობაშია პროკოპი კესარიელის ცნობები), ციხე-ქალაქ პეტრას ისტორია VI საუკუნიდან იწყებოდა, ახალი აღმოჩენების შემდეგ დასავლეთ საქართველოს ეს უმნიშვნელოვანესი საქალაქო ცენტრი უფრო ადრეულ პერიოდშიც კერძოდ, IV საუკუნეშიც მოქმედებდა, აქ, როგორც ირკვევა, საქალაქო ცხოვრებას საკმაოდ მაღალ დონისათვის მიულწევია და მას შესაბამისი კომუნალური მეურნეობაც

პქონია, რაც სანიტარული კულტურის მაღალი დონის მაუწყებელიცაა. პირველად აღმოჩნდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ნაქალაქართან უშუალოდ დაკავშირებული გვიანანტიკური ხანის სამაროვანიც.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სავსეა არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი მიმდინარე წელსაც განახლდა. წინასწარი მონაცემების მიხედვით, ახლო მომავალში ჩვენ კვლავაც მრავალი საყურადღებო აღმოჩენის მოწმენი ვიქნებით.

შენიშვნები

1. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის ქვის ხანის შემსწავლელი რაზმი მუშაობდა ს. გოგიტიძის (უფროსი), შ. მამულაძის (უმცრ. მეცნ. თანამშრ.), ა. ჯაველიძის (არქიტექტორი) და ე. კვირიკაძის (ფოტოგრაფი) შემადგენლობით.

2. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის მეტალურგიის შემსწავლელი რაზმი მუშაობდა დ. ხახუთაიშვილის (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ს. გოგიტიძის (რაზმის უფროსი), ა. ჯაველიძის (მხატვარ არქიტექტორი), ე. კვირიკაძის (ფოტოგრაფი) და რ. ქათამაძის (მძლოლი) შემადგენლობით.

3. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის ბოთოყვანის რაზმი მუშაობდა ნ. ვაშაკიძის (რაზმის უფროსი), გ. თავამაიშვილის (უმცრ. მეცნ. თანამშრ.), ი. იაშვილის (უმცრ. მეცნ. თანამშრ.), ა. ჯაველიძის მხატვარ-არქიტექტორი), ე. კვირიკაძის (ფოტოგრაფი) და რ. ქათამაძის (მძლოლი) შემადგენლობით.

4. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის ჩოლოქ-ფიჭვნარის რაზმი მუშაობდა ა. კახიძის (ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე), ი. ჩაველიშვილის (უმცრ. მეცნ. თანამშრ.), ა. ჯაველიძის (მხატვარ-არქიტექტორი), ე. კვირიკაძის (ფოტოგრაფი), ვ. ფერსელიძის (ლაბორანტი), თ. ინაიშვილის (მძლოლი) შემადგენლობით.

5. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის აჭარის-წყლის ხეობის შემსწავლელი რაზმი მუშაობდა შ. მამულაძის (რაზმის უფროსი), ბ. დიასამიძის (უმცრ. მეცნ. თანამშრ., მოწვევით), ა. ცეცხლაძის (უმცრ. მეცნ. თანამშრ., მოწვევით) შემადგენლობით.

6. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის ციხისძირის რაზმი მუშაობდა ნ. ინაიშვილის (რაზმის უფროსი), ს. გოგიტიძის (უფროსი მეცნიერ თანამშრ.), ლ. ჩხაიძის (უმცრ. მეცნ. თანამშრ.), ა. ჯაველიძის (მხატვარ-არქიტექტორი), ე. კვირიკაძის (ფოტოგრაფი) და რ. ქათამაძის (მძლოლი) შემადგენლობით.





ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებანი, რომელიც მოიწონა სკკ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ორგანული და განუყოფელი ნაწილია.

სწორედ ამიტომ აღიქვას ის ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა პარტიის იმ ღონისძიებათა შემადგენელ ნაწილად, რომლებიც ხორციელდება განვითარებული სოციალიზმის სრულყოფისათვის. აჭარის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი ინტერესით ეცნობოდნენ და განიხილავდნენ რეფორმის პროექტს. განხილვის პროცესი კუმპარიტად საყოველთაო-სახალხო ხასიათს ატარებდა.

რეფორმის ძირითად მიმართულებებში ნათქვამია: „სკოლის რეფორმის მიზანია დასძლიოს მის საქმიანობაში არსებული მთელი რიგი ნეგატიური მოვლენები, სეროზული ნაკლოვანებები და ხარვეზები. უნდა სრულდებოდეს განათლების სტრუქტურა. არსებითად ავამაღლოთ ზოგადსაგანმანათლებლო, შრომითი და პროფესიული მომზადების ხარისხი. უფრო ფართოდ გამოვიყენოთ სწავლების აქტიური ფორმები და ნეთოდები, ტექნიკური საშუალებანი, მიზანმიმართულად განვხორციელოთ სწავლებისა და აღზრდის ერთიანობის პრინციპი, ოჯახის, სკოლისა და საზოგადოებრიობის მჭიდრო კავშირი“.

სკოლის რეფორმას ჩვენ ყამირზე არ ვიწყებთ, გავაანია გარკვეული წანამდებრები სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში, მოსწავლეთა შრომით მომზადებასა და პროფორიენტაციაში. სრულყოფილად განხორციელდა საყოველთაო საშუალო განათლება, შესრულდა ძირითადი საგვემო დაეალებები. გარკვეულად განმტკიცდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა. ხელშესახები ძვრები შეინიშნება მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის საქმეში. გამრავლდებოდა მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი, შრომითი, სამხედრო-პატრიოტული, ინტერნაციონალური აღზრდის ფორმები და მეთოდები. უფრო მიზანსწრაფული და კონკრეტული გახდა ამ მიმართებით გაწეული მუშაობის ხარისხი.

სასკოლო რეფორმა მოითხოვს ზოგადი საშუალო და პროფესიული განათლების სტრუქტურის შეცვლას. იგი ითვალისწინებს, რომ ბავშვების სწავლა სკოლაში დაიწყოს ეგვი წლის ასაკიდან. 6 წლის ბავშვი რომ უკვე მომზადებულია სკოლისათვის სკოლამდელი აღზრდის სისტემის განვითარებამ დადასტურა. ამდინად, ამ ამოკანის გადაჭრა, შეიძლება ითქვას, ნაკლებ სიმნელებთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ყველაფერი მარტივად გადაწყდება, რეფორმა ითვალისწინებს დაწყებითი განათლების შინაარსისა და ამოკანების მნიშვნელოვან ცვლილებებს, რისთვისაც საჭიროა სკოლებმა ყველაფერი გააკეთონ სწავლების ხარისხის ამაღლების, მისი მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის. იმის პარალელურად, რომ დაწყებით სკოლაში ბავშვებს საფუძვლიანად უნდა შევასწავლოთ წერა, კითხვა და ანგარიში, აუცილებლად უნდა მივცეთ მათ ელემენტარული შრომითი ჩვევები, უფრო მეტად უნდა ვიზრუნოთ მათს ფიზიკურ აღზრდაზე.

არასრული საშუალო სკოლა ითვალისწინებს მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლას ხუთი წლის განმავლობაში. ცხრა კლასის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები იღებენ არასრულ განათლებას, ძირითადად წყდება აგრეთვე მოზარდთა შრომითი მომზადებისა და პროფესიული ორიენტაციის ამოკანა.

რეფორმა ითვალისწინებს მეცხრე კლასების კურსდამთავრებულთა შემდგომი



სწავლების ნაკადებს შორის თანაფარდობის შექმნას სახალხო მეურნეობის მოთხოვნების, მოსწავლეთა მიდრეკილებისა და ნიჭის შესაბამისად, საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებლებში შემოსვლელ მეცხრე კლასის კურსდამთავრებულთა რაოდენობის ზვედრითი წილის დაახლოებით ერთიორად გაზრდას. უმთავრესი კი ის არის, რომ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში მოსწავლეთა პროფესიული მომზადების დონე მკვეთრად ამაღლდეს იმ თვალსაზრისით, რომ მეცხრე კლასის კურსდამთავრებული იქ მიდიოდეს ხალისით და მოწოდებით და არა იძულებით, როგორც არც თუ ისე იშვიათად ხდება.

რეფორმა შესაძლებლობას მისცემს VIII-XI კლასების მოსწავლეებს, თავიანთი არჩევანით, უფრო ღრმად შეისწავლონ ცალკეული ციკლის საგნები ფაკულტატური მეცადინეობის მეოხებით. ჩვენ ვარკვეული გამოცდილება გვაგვაჩინა ფაკულტატური მეცადინეობისა, მაგრამ მისი ამჟამინდელი დონე სრულეობითაც არ გვაკმაყოფილებს. საჭიროა, სათანადოდ მოვაზნადოთ მატერიალური ბაზა და პედაგოგიური კადრები ამ საკითხის გადასაჭრელად. ყველა ახალგაზრდას, შრომითი საქმიანობის დაწყებამდე, შესაძლებლობა უნდა შეექმნას დაეუფლოს პროფესიას.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის მუშაობის გაუმჯობესებამ, ამ სკოლების კურსდამთავრებულებისათვის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის თანაბარი პირობების შექმნამ ახალი შესაძლებლობები უნდა მოგვცეს უმაღლესი განათლების შუიხე სპეციალისტების მომზადებისათვის. ჩვენი ვალია, უმაღლეს სასწავლებლებს სათანადოდ მოვუზნადოთ და მივაწოდოთ საჭირო კონტინგენტი. უაღრესად დროული იყო უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისას საშუალო განათლების ატესტატის ქულების გათვალისწინების გაუქმება. უაღრესად მალაქულიანი ატესტატის მაძიებლობამ ხელი შეუწყო იმას, რომ ზოგიერთი მოსწავლისა და მშობლისათვის სწავლამ დაკარგა თავისი უმთავრესი დანიშნულება და ვიწრო მერკანტილურ-უტილიტარული ხასიათი მიიღო.

ჩვენი პედაგოგები უდიდესი კმაყოფილებით გაცნენ და გააანალიზეს რეფორმის მესამე თავი, რომელშიაც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლებაზეა ლაპარაკი.

აბა, რომელ პედაგოგს არ უოცნებებია, რომ დაზუსტებულიყო შესწავლილი საგნები და მათი მოცულობა, აღმოგზვრილიყო სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების გადატვირთვა, კარგა ხანია ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი, რომ უაღრესად ზუსტად ჩამოყალიბდეს სასწავლო დისციპლინების ძირითადი ცნებები და წამყვანი იდეები, მოხდეს მათში მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევების ასახვა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს შრომითი აღზრდა, სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის წარმართვა. პარტია უაღრესად დროულად ჩაწვდა ამ პრობლემების გადაჭრის აუცილებლობას.

სასწავლო პროგრამების განტვირთვა და შესწავლილი მასალის კონკრეტულიცია სრულეობითაც არ ნიშნავს მუშაობის ვაადვილებას ან შესუსტებას. პირიქით, საჭიროა, სრულეყოთ სწავლების ფორმები, მეთოდები და საშუალებები, რათა უზრუნველყოთ სწავლებისა და აღზრდის მემკვიდრეობითობა, ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების ერთიანი დონე.

მისასაღმებელია, რომ რეფორმა გვეალებს, მუშაობაში გავითვალისწინოთ ეროვნული სასწავლებლების თავისებურებანი, გვაუმჯობესოთ მუშაობა მშობლიური ენის შესასწავლად. ამასთან ერთად დამატებითი ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს რუსული ენის შესასწავლად. ჩვენ რუსული ენის სწავლებაში მნიშვნელოვანი წარმატებები გვაქვს. ამ საქმეში დაგროვილი გამოცდილება უნდა გამოიყენოთ მუშაობის

ახალ მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვისათვის საშუალო სკოლადამოთავრებულ ყველა ასალგაზრდა ღრმად უნდა ფლობდეს დიდი ლენინის ენას.

სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებში მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის ურყევ საფუძვლად მიჩნეულია მათში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, მყარი მატერიალისტური წარმოდგენების, ბუნებისა და საზოგადოებრივი მოვლენების სწორი ახსნის უნარის გამომუშავება, მეტწილი ათვისების სულისკვეთების ჩანერგვა. განსაკუთრებით ნაზგასმულია საზოგადოებრივ-პუბლიცისტური ციკლის საგნების სწავლების მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებრივი მოვლენების არსში წვდომის უნარის გამომუშავებისათვის. იგი მიჩნეულია, როგორც მოსწავლეებში კომუნისტური რწმენის ჩანერგვისა და ყოველგვარი ნეგატიურის მიმართ შეურიგებლობის გრძნობით აღზრდის საშუალება. ძირითად მიმართულებებში წამოყენებულია ამოცანა, რომ იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ქვაკუთხედი უნდა გახდეს ასალგაზრდობის აღზრდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით, კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოცდილებით. ჩვენ ამ მიმართებით მუშაობის საკმაო გამოცდილება გვაქვს, მაგრამ ჯერ კიდევ სრულად ვერ ვიყენებთ ყველა შესაძლებლობას.

რეფორმა მოგვიწოდებს, რომ აღმზრდელობით მუშაობაში უფრო სრულად გამოვიყენოთ საბჭოთა სახელმწიფოს სიმბოლოები — სსრ კავშირის ჰიმნი, დროშა და გერბი, მოკავშირე რესპუბლიკების ჰიმნები, დროშები და გერბები, სახელმწიფო ჯილდოები და წარჩინების ნიშნები, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების სიმბოლოები.

ახალი აღმზრდის ჩამოყალიბებაში, როგორც ძირითად მიმართულებებშია ნათქვამი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ზნეობრივ და სამართლებრივ აღზრდას, სკოლა ვალდებულია მოსწავლეებს გამოუმუშაოს იმის შინაგანი მოთხოვნილება, რომ იცხოვრონ და იმოქმედონ კომუნისტური მორალის პრინციპებით, განუხრებლად დაიცვან სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები, საბჭოთა კანონები. მოსწავლეთა სამართლებრივ აღზრდაში ჩვენ ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები გვაგაჩნია. რა თქმა უნდა, როცა მოზარდი დანაშაულს სჩადის, უპირველესად სკოლას მოეთხოვება პასუხი, მაგრამ მინც არ შეიძლება არ აიინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის პროფილაქტიკისათვის აუცილებელია სრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, მოზარდთა დამნაშაევობის პროფილაქტიკა უაღრესად ძნელი საქმეა.

პარტია უმნიშვნელოვანეს ამოცანად შიიჩნევს მოსწავლეთა მხატვრული განათლებისა და ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესებას. საჭიროა ბევრეებს განუვითაროთ მშვენიერების გრძნობა, ჩამოვეყალიბოთ ჯანსაღი მხატვრული გემოვნება. ამასთან ერთად რეფორმის ძირითად მიმართულებებში სათანადო ადგილი ეთმობა ასალგაზრდათობის ფიზიკური განვითარების საკითხს, როგორც ფიზკულტურის გაკვეთილებზე, ისე კლასგარეშე საქმიანობაში

ჩვენ დიდი მუშაობა მოგვიხდება, რათა უზრუნველვყოთ ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტული სკოლები სათანადო ბაზებით, ინვენტარით. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს მწვრთნელთა მაღალკვალიფიციური კადრებით სპორტული სკოლების დაკომპლექტების საკითხს.

რეფორმის ძირითადი მიმართულებების მეოთხე თავი ეხება მოსწავლეთა შრომით აღზრდას, სწავლებასა და პროფესიულ ორიენტაციას. სწორად დაყენებული შრომითი აღზრდა, სწავლება და პროფესიული ორიენტაცია, მოსწავლეთა უშუალო მონაწილეობა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში განსაზღვრულია როგორც შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების გამომუშავების, პიროვნების მოქალაქეობრივი ჩამოყა-

ლიბების, ზნეობრივი და ინტერნაციონალური ფორმირების, ფიზიკური განვითარების შეუცვლელი ფაქტორები.

რეფორმის მეხუთე თავში — ბავშვთა და მოზარდთა საზოგადოებრივი აღზრდა ხაზგასმულია, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო სიდავად ზრუნავენ მოზარდთა საზოგადოებრივი აღზრდის განვითარებისათვის. გათვალისწინებულია გაუმჯობესდეს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდისა და განათლების ორგანიზაცია.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდ ჰუმანურობაზე მტყვევლებს ის ფაქტი, რომ რეფორმაში დიდი ყურადღება ეთმობა იმ ბავშვებისა და მოზარდების საკითხებს, რომლებიც ჯანსრთელობის მდგომარეობის გამო მოკლებულნი არიან ჩვეულებრივ პირობებში სწავლის შესაძლებლობას. ჩვენი ვალია დროულად გამოავლინოთ და აღვრიცხოთ ასეთი ბავშვები, ან მოვაკლოთ მათ ყურადღება და მზრუნველობა.

რეფორმა აყენებს ამოცანას—მკვეთრად ამაღლდეს მშობელთა პასუხისმგებლობა მოზარდი თაობის აღზრდაში, საჭიროა გავაძლიეროთ დახმარება ოჯახებისადმი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ოჯახებისადმი. აღზრდის ეფექტიანობის ამაღლება დიდად არის დამოკიდებული მოსწავლის მიმართ ოჯახის, სკოლის, საზოგადოების და შრომითი კოლექტივების მოთხოვნების ერთიანობასა და შეთანხმებულ ღონისძიებებზე.

რეფორმის მეექვსე თავი — მასწავლებელი საბჭოთა საზოგადოებაში — გამსჭვალულია იმ ბრძნული დებულებით სახალხო მასწავლებლის შესახებ, რომელიც ვ. ი. ლენინმა გვიანდერძა: სახალხო მასწავლებელი ჩვენში ისეთ სიმალღეზე უნდა დავაყენოთ, რომელზედაც იგი არასოდეს არ მდგარა, არ დგას და არც შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ეს ისეთი ჰუმანიტარულია, რომელიც დამტკიცებას არ საჭიროებს.

რეფორმის მიმართულებებში ზუსტადაა განსაზღვრული ის მიზნები და ამოცანები, რომელიც თანამედროვე პირობებში სახალხო მასწავლებელს ეკისრება. გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც უდაოდ შეუწყობს ხელს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მეთოდურ დაწვლვონებას, გაზრდის მათს ავტორიტეტს საზოგადოებაში.

მეშვიდე თავში ლაპარაკია სასწავლო-მეტერიალური ბაზის განმტკიცების საკითხებზე. რეფორმა მოითხოვს რომ უფრო ფართოდ გამოვიყენოთ სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების შესაძლებლობანი სასწავლებლების მშენებლობისათვის, მათი რემონტირა და აღჭურვისათვის.

როგორც სასკოლო რეფორმის დასკვნით ნაწილში ნათქვამია, „რეფორმის მიზნები კეთილშობილური, მაღალზნეობრივი და ჰუმანური. მათ რელიზაციას უდიდესი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა ადამიანების განათლებისა და კულტურის ღონის ამაღლებისათვის. იგი შექმნის მოზარდ თაობათა სწავლისა და აღზრდის, ცხოვრებისა და შრომისათვის, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის მათი მოზაადების საუკეთესო პირობებს, ყოველივე ეს სასიკეთო გავლენას მოახდენს ქვეყნის იდეურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და თავდაცვითი პოტენცილის განმტკიცებაზე, ჩვენი საზოგადოების ყოველმხრივ პროგრესზე, კომუნისმისაყენ მის წინსვლაზე“.

ზურაბ კომასიძე,

ბათუმის სახალხო დემუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე.

ტ ბ ე ლ ი ს მ ნ ა

XIII საუკუნის ცნობილი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის — ტბელ აბუსერიძის ცხოვრებითა და ლიტერატურული მემკვიდრეობით ბევრი მეცნიერი დაინტერესებულა (მ. ბროსე, თ. ყორღანი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, მ. ჩიქოვანი, პრ. რატიანი, ხ. ახვლედიანი). მისი ერთ-ერთი შესანიშნავი თხზულებაა „სასწულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი და ანდერძი მთქუშელისაჲ“, რომელიც პირველად (1897 წ.) გამოცემა თ. ყორღანიამ, შემდეგ (1941 წ.) ისტორიკოსმა დ. მუსხელიშვილმა. („ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატთან“ (თბილისი, 1941): ავტორი ტექსტს ურთავს ლექსიკონსა და ვრცელ გამოკვლევას, რომელშიაც ყურადღებას ამახვილებს ძეგლის ენის ზოგიერთ მხარეზე. ის ფაქტი, რომ 1981 წელს ხელახლა გამოიცა ეს თხზულება, ერთხელ კიდევ მოწმობს მის დიდ მნიშვნელობას (ი. სიხარულიძე, „ცხოვრება ქვითხუროდსა ბასილისა“ ბათუმი, 1981). ამ გამოცემას წინა გამოცემისაგან განსხვავებით დართული აქვს ხელნაწერის ფოტოაბრევი. შევნიშნავთ, აღნიშნულ ძეგლს, როგორც საყურადღებო საისტორიო წყაროს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ აკადემიკოსები ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ამ თვალსაზრისით საგანგებოდ განიხილავს მას პრ. რატიანი.

დიდია ამ ძეგლის მნიშვნელობა ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც. იგი კარგ მასალას გვაწვდის მაშინდელი პერიოდის სალიტერატურო ქართულისა და ცოცხალი მეტყველების ურთიერთობის გასარკვევად.

ორთოგრაფია ძეგლისა ძირითადად მისდევს ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ ნორმებს, მაგრამ გვაქვს ზოგიერთი გადახვევაც.

ფონეტიკა. გვხვდება თითქმის ყველა ფონეტიკური მოვლენის მაგალითები. გავრცელებული ჩანს ბგერათა დაკარგვის შემთხვევები (მაგალითებს ვუთარებთ პროფ. ი. სიხარულიძის გამოცემის მიხედვით). **ახოვანი** (12, 23), **ახოანისანი** (14, 3), **შდრ.: ახოვნისაჲ** (3, 1); **ბძანე** (14, 23), **ბძანებული** (7, 37). განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს ზმნის ფორმა „აკმაა“, რომელიც ლ. მუსხელიშვილმა ახსნა როგორც „აკმარა“. რ-ს დაკარგვა ნიშანდობლივი მოვლენაა ქვემოაჭარულისათვის.

ბგერათა დაკარგვის გვერდით გვხვდება ბგერათა ჩართვის შემთხვევებიც. **ჩუქვების სახედ** (7, 17).. ეს ფორმა ჩვეულებრივია აჭარულ დიალექტში.

საინტერესოა ხელნაწერის ფორმა **მამადმთავარი**, რომელიც ლ. მუსხელიშვილს გაუსწორებია როგორც უსწორო ფორმა: გამოცემაში შეუტანია „მამათმთავარი“. ი. სიხარულიძეს ტექსტში დაუტოვებია **ნამადმთავარი**. მამადმთავარი მრავლად გვხვდება სხვა ძეგლებშიც. ც. ქურციკიძეს იგი ასიმილაციის ნიმუშად მიაჩნია, ე. იმნაიშვილი დისიმილირებულ ფორმად თვლის. მ. ძიძიშვილს შესაძლებლად მიაჩნია ეს ფორმა ჩაითვალოს უძველესი ვითარების გადმონაშთად და ამდენად მრავლობითი რიცხვის თ სუფიქსის დ-საგან მომდინარეობის საბუთად. როგორც ცნობილია, ამოთქმულია მოსაზრება, რომ სახელისა და ზმნის მრავლობითი რიცხვის თ სუფიქსი მომდინარეობს დ-საგან. ეს მტკიცდება სვანურის ჩვენებით: ქართ.: ვართ, ხართ — სვან.: ხვარი-დ, ხარი-დ. თ. სუფიქსი ზმნაში არის სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში

დაყრუებული და გაფშვინვირებული დ სუფიქსი (ა. ჩიქობავა. მრავლობითობის სუფიქსთა გაგებისათვის ქართულში 1954).

ჩვენს ძეგლში ჯერ არ არის დაყრუებული გ თანხმოვანი ზმნაში შთაღვე (8, 30); დისიმილაცია არ არის მომხდარი სიტყვაში ლბილსა (8, 21), მაგრამ ჭურჭელნი უკვე დისიმილირებულია.

ანალოგიის ნიმუშია შე და ჩამო ზმნისწინებიანი ფორმები: „ქვითურთ შევლო შეღმართიცა დიდი“ (6, 34), „შთამოვლო საზარელი იგი და მყათარი ჩამოღმართი“ (6, 29). ხაზგასმულ სიტყვებში ჩართულია აღ ზმნისწინისეული თანხმოვანი.

მორფოლოგია. მოთხრობითის ნიშანი გამარტივებულია, მაგრამ ეს პროცესი მხოლოდ დაწყებულია. მოკვეცილია ნ ხმოვანფუძიან სახელთან. „ძმაჲ ჩემჲან აბუსერი მრავლნი კარგნი ხატნი დაასუენა“ (13, 21). სინტერესოა, რომ მა დაბოლოება ხმოვანფუძიან სახელებთან ახლაც დანახასიათებელია ქვემო აჟარის ზოგიერთი სოფლის მეტყველებისათვის.

შეუკვეცილია ბიძა მოქმედებითში: „დიდებულ ყოს ღმერთჲან პატრონით ჩუენით, ერისთავთ-ერისთავით, ბიძაჲთ ჩუენით, გრიგოლითურთ“ (14, 6). ეს ფორმაც ჩვეულებრივია ამჟამად აჟარულ დიალექტში.

საკუთარი სახელის ბრუნება ძირითადად ძველი ქართული ენის ნორმებს მისდევს, მოთხრობითსა და წოდებითში ფუძის სახით არის წარმოდგენილი. უმრავლეს შემთხვევაში საკუთარ სახელს არა აქვს ემფატიკური ხმოვანი (ნახის, ბასილის, იოსების, რუსუდანს, ივანეს და ა. შ.), მაგრამ გვაქვს გავრცობილი ფორმებიც.

მრავლობითი რიცხვის მაჟარმოვლად ძირითადად არის — ნ, თ სუფიქსები. ორ შემთხვევაში გვაქვს — ებ ნიშანი.

ეითარებითში -მდე თანდებულთან შენარჩუნებულია ბრუნვის ნიშნისეული დ: ეჲამამდე (11, 8), პირტყუამდე (5, 14). სინტერესოა, რომ ხელნაწერში ამ სიტყვაში დ ჩამატებულია. ამიტომ, ალბათ, რომ ლ. მუსხელიშვილი დ-ს წერს მაშინაც, როცა ეს ფორმები ხელნაწერში ქარაგმითაა წარმოდგენილი:

წარმოქმნილ სახელთაგან საინტერესოა საღვეე: „ხელთა შინა ჩემგან იყენს საღვეენი იგი ცხენითურთ“ (9, 24). საღვეე ძველ ქართულში იშვიათია. ლ. მუსხელიშვილს იგი დიალექტიზმად მიაჩნია. ამ ფორმაზე ყურადღება გაამახვილა პროფ. ზ. სარჯველაძემ. აქ უნდა გვქონდეს -ევ თემის ნიშანი. საინტერესოა, რომ ზმნის აწმყოს წრის ფორმებში -ევ თემის ნიშანი ქვემო აჟარულში ჩვეულებრივია (ხედევ, ზიდევ).

საინტერესოა „სახლოვანი“. „ძველი სახლოვანი დამშლილი იყო“ (12, 34), ძირეული, რასაკვირველია, არის „სახლო“. ლ. მუსხელიშვილი ამ სიტყვას განმარტავს, როგორც სადგომს, ბინას, თუმცა იქვე კითხვის ნიშანს უსვამს. შეიძლება აქ სიმრავლის, კრებითობის შინაარსი იყოს გადმოცემული.

მიცემით ბრუნვაში დასმული ჩუენ ნაცვალსახელით გადმოცემული ობიექტი ზმნაში მხოლოდ -გუ ნიშნით აღინიშნება: „ყოველთა დღესასწაულთა დაგულოცვლით“ (14, 15). „მუქუს ჩუენ“ ტიპის ფორმები ამ ძეგლში არ გვხვდება.

-ოდ სავრცობიანი ზმნები ჯერ კიდევ უღლების ძველ წესს მიჰყვებიან: „ეითარცა ეკლესიასა შინა ვიქტეოდე, ჰონე იგიცა ჩემთანავე ვიღოდის“ (9, 25), მაგრამ უკვე დაწყებულია ასეთი ზმნების დონიანებთან გათანაბრების პროცესი: „და ესრეთ იტყოდით“... (14, 16).

ზმნისწინიან ფორმებს მყოფადის მნიშვნელობა აქვთ, ხოლო -მცა ნაწილაკიანი აწმყოს ფორმები ძველი ქართული ენის სხვა ძეგლების მსგავსად ბრძანებითს გამოხატავენ.

უწყვეტლში მხოლოდითი რიცხვის I და II პირის ფორმას ერთვის ი ხმოვანი, რაც ძველ ქართულში იშვიათია: „მე ოდენ ვხედვედი“ (9, 27).

ენებითი გვარის — ნ სუფიქსის ნაცვლად გვაქვს — დ: „დასცვივდეს რკინანი“ (9, 15). ქუან (ქონა) ზმნას დაცული აქვს აწმყოში ნ თანხმოვანი: „ნუ გაქუნს მოცალებად“ (4, 26). ასეთი ფორმები იშვიათად გვხვდება ძველ ქართულში. სახარებაშია: „წინასწარმეტყველურად აქუნს“ (მათ, 21, 26 ც), „პური არა გუაქუნს“ (მათ. 16,7 ც).

მთელი ძველისათვის ნორმაა II ხოლმეობითის ფორმები: მრავალგზისობა საერთოდ მკვეთრად გამოხატული კატეგორია ჩანს ამ თხზულებაში.

სინტაქსი. საინტერესოა მასდარის ვითარებითი, მიცემითი და სახელობითი ბრუნვების მონაცვლეობა: „შემძლებელ იყვინან შეძრვად“ (4, 16); „რა შემძლებელ ვართ ჯეროვნად დიდებისმეტყუელებასა“ (11, 25).

ვითარებითში დასმული მასდარი გვხვდება მიზნის გარემოებად: „მივიდა შუელად“ (7, 10). მაგრამ საინტერესოა, რომ ამ ფუნქციით უარობს მომავალი დროის მიმღებობები ვითარებით ბრუნვაში: „მეცა მომანიტოს სრულქმნა ჩემგან სამუშაოკოდ“... „მრავალნი სასწაულნი აღესრულნეს დასაცემელად განზრდებულისა, მრავალთა არღარა მოსაწყუფედელად გარეუქუნქცევანი“ (11, 33), ზოგჯერ ერთ წინადადებაში ორივე კონსტრუქცია გვაქვს: შეიძლება ვთქვათ, რომ მომავალი დროის მიმღებობა ნორმაა აღნიშნული ძველისათვის. ახალი ქართულის ნორმების მიხედვითაა საერთოდ ნაწარმოები მომავალი დროის მიმღებობები: შესარაცხავი, შესაქმნელი, სატურავი, მოსაფარებელი, ნაცვლად ფორმებისა: შერაცხვადი, შექმნადი და სხვ.

იშვიათია მასდარული კონსტრუქცია დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ნაცვლად. საინტერესოა საწყისის უჩვეულო ფორმები, რომლებიც მიმღებობასაგან არის თავის მხრივ ნაწარმოები: „მღდელმან ზძანე ერისაგან ამინის მთქუმელობითა ორსავე დღესსაწაულს ცისკრად“.

სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით ძველში დაცულია ძველი ქართულის ნორმები, რამდენადაც მრავლობით რიცხვს აწარმოებს ნ, თ სუფიქსები. საინტერესოა, რომ გეოგრაფიული სახელი ხიზანი მრავლობითის ფორმად არის გავებული და ზმნაშიც აჩენს შესაბამის ნიშანს: „წაიხუნეს ხიზანი, მტერხედა გაეცემული“ (12, 21), შდრ.: „სრულქმნად.. ხიხათა ეკლებიისაჲ...“ (11, 31).

აღმოვიღვა ზმნაში ზოგჯერ დაცულია უფუნქციო ნ: „განზიდნა მას განაპებსა ქვათასა“ (8, 34).

საგანგებოდ გვინდა გავამახვილოთ ყურადღება ერთ მაგალითზე, სადაც ზმნა მრავლობითშია, კონტექსტით მოსალოდნელია მხოლოდითი რიცხვი: „და უკვეთუ ენების რამე ბასილის, მომთხოველსა მახლობელთა მიმართ მისთა, გინა სხუათა მიერ არა მომცემელთა, მეყსეულად შერისხვით აზხილის და იძულებით წინაშე მისსა მოაწიან და არავის მიუტევის ესევითარი წმიდამან“ (8, 2). აქ ლაპარაკია იმაზე, რომ წმ. გიორგი იმათ, ვინც ბასილის არ აძლევდა საკირო ნივთებს, შერისხვით აწხილებდა და მის წინაშე მოიყვანდა იძულებით. ასე რომ, ქვემდებარე ამ წინადადებაში ერთია. იქნებ აქ მესამე სუბიექტური პირის ნიშნად იყო უძველესი, სუფიქსი ნ, რომელიც შემდეგ გააზრებულ იქნა ჭოგორც მრავლობითის ნიშანი და ამის გამო ფორმაც „გაასწორეს“: მოაწიან (— მოაწიან).

ძველში ერთმანეთის მონაცვლედ გვხვდება ზმნების აღწერითი და ორგანული ფორმები: „სრულქმენ ტაძარი ჩემო“ (8, 36), „მწე ექმნებოდა წმიდაჲ ესე ახოვანი“ (9, 2); შდრ.: „ესრეთ განასრულა ტაძარი ესე“ (8,25); შეილი მისი იოვანე შეიწია“ (7, 5).

ლემსიპა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სიტყვას ძველ მნიშვნელობასთან ერთად ახალი მნიშვნელობაც მიუღია. კადრება იხმარება მნიშვნელობით (გაბედვას ნიშნავს): „მფრინველმან ვერ იკადრის გარდაფრენად“ (8, 28), „არღარა იკადრა შეწვენად კაცთად“ (7, 12). მაგრამ შესაკადრებლად უკვე ნიშნავს შესაფერისს. „ესე არიან სასწაულნი... ამით სიტყუათა შესაკადრებლად ღირსებისაებრ მოქუმელისაჲ“ (3, 3);

ვედრების პარალელურად გვაქვს შემოხუეწა: „რომელთა ვაზირობითა და შემოხუეწითა...“ (12, 38) შდრ.: „ვედრებოდა მის თანავე იგიცა“ (12, 8).

ძველი ქართულის „კეთილის ნაცვლად გვაქვს „კარგი“: „უკუეთუ ვინმე მდღეული არ კარგი მკითხველი დახუდებოდეთ“ (14, 21); „კარგსა მკითხველსა წააკითხებდათ“ (14, 22); „კარგნი ზატნი დასუენნა“ (13, 21). სასწაული მხოლოდ ერთი მნიშვნელობით იხმარება (საოცრება, საკვირველება): „ეს არიან სასწაულნი წმიდისა მოავარმოწამისა გიორგისნი“ (3, 2).

ერთ წინადადებაშია ცხენი და ჰუნე: „შემომავედრა ცხენი და მერმე წარიყვანა ჰუნე...“ (9, 40); ერთმანეთის გვერდითა ჰრქვან და ეწოდების.

დასარჩენელი საკვებს, საზრდოს ნიშნავს. „რამათა მოვირეწო დასარჩენელი სახლელულთა ჩემთაჲ“ (4, 38). თანადადების პარალელურად გვაქვს ვალი: „ვალისა მისისა ვილ ერთი ძელი წარულო ვინმე კაცმან“ (8, 6); დასტურდება ძველი ქართულის ლექსიკისათვის უჩვეულო ზმნისართი მეტისმეტად: „ბაკოელთა მეტისმეტად მოიჭირვეს“ (12, 37).

ცალკე გვიჩვენა გამოცვით ზოგიერთი ლექსიკური ერთეული, რომლებიც დღეს აჭარბულ დიალექტში არის დაცული: აღწევა — აღებას ნიშნავს „...აღწევად ქვისა მძიმისა“ (4, 18), აჭარბულში გვაქვს „აწევა“, დამართება შემთხვევას ნიშნავს: „მას აქადთ მრავალთა... დამართებათაგან, ვერცა მათ მოიცალეს“ (12, 28). ჩაჭრა ჩავარდნას, გადავარდნას, ნიშნავს: „შთასაჭრელად განმზადებულთა კაცთა...“ (11, 40).

ძეგლის ლექსიკა მეტად მრავალფეროვანია, თუნდაც ადამიანის საკუთარი სახელები და ტოპონიმიკა, რომლებიც ცალკე კვლევის ობიექტი შეიძლება იყოს.

ჩვენ მოკლედ წარმოვადგინეთ ტბელ აბუსერისძის თხზულების ენობრივი ანალიზი. მასში ძველი ქართულის ნორმების გვერდით მკვეთრად იგრძნობა ახალი სალიტერატურო ქართულის გავლენაც. განსაკუთრებით საინტერესოა დიალექტიზმები, რომლებიც დღეს აჭარბულ კილოშია დაცული. საერთოდ, ეს ძეგლი ენობრივად მდიდარია. ამ თვალსაზრისით მისი სრულყოფილი შესწავლა ბევრ საინტერესო საკითხს წარმოაჩენს.

ჩვენნი საერთო საქმე

ჩვენმა წინაპრებმა, განუწყვეტელი ძალადობისა და რბენის მიუხედავად, მფეთქავი გულივით ჩაგვაბარეს მრავალჭირანხელი ენა, ენა — სიმბოლო ქართველი კაცის გაუტეხლობისა, მშობლიური მიწისადმი ერთგულებისა, ჩაგვაბარეს მყარი, შეუბღალავი და ჩვენც მოვალენი ვართ დავიცვათ მისი სიწმინდე.

რესპუბლიკაში, განსაკუთრებით ბოლო წლებში, მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ქართული ენის სიწმინდის დასაცავად. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ



მიიღეს დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ეს უმნიშვნელოვანესი დადგენილება კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ თანმიმდევრულად ურუნავდნენ საქართველოში კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა ქართული ენის სიწმინდისათვის. იგი სრული პრინციპულით სიუთითებს იმ დიდ პასუხსაგებ მოვალეობაზე, რომელიც ენის წინაშე ატევს ყველას, ვინც მოწოდებულია ამისათვის. დადგენილებაში აღნიშნულია ამ დარგში მოპოვებული წარმატებანი, აგრეთვე ნაკლოვანებანი, უპირველეს ყოვლისა, ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ დაბალია მოსწავლეთა წერიითი მეტყველების კულტურა. ჩვენც სწორედ ამ საკითხზე გვექნება საუბარი.

დავიწყოთ იმით, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე წერიტის ნაშუშვერებში დაშვებული შეცდომების გამო პროფესორ-მასწავლებლები ხშირად ესაყვედურებიან საშუალო სკოლას და სამართლიანადაც.

ენის გრამატიკული კატეგორიების ცოდნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს წერის კულტურის დაუფლებას, აზრის მწყობრი, განსაგები ფორმით ჩამოყალიბებას. მდიდარი ლექსიკა, დახვეწილი სტილი, გრამატიკული კატეგორიების ღრმა ცოდნა, მხატვრული ნაწარმოების ანალიზის უნარი სწორად წერის და მეტყველების საწინდარი.

სად უნდა გამოუმუშავდეს მოზარდს ეს ჩვევები? პასუხი ერთია — სკოლაში მშობლიური ენის მასწავლებლის მზუნველობით, მისი პედაგოგიური ხელოვნებით.

ქართული ენის სასკოლო სახელმძღვანელოები იმგვარადაა შედგენილი, რომ ამა თუ იმ გრამატიკული კატეგორიის სწავლებისას, მიღებული ცოდნის განსამტკიცებლად გამოყოფილია შესაბამისი სავარჯიშოები. მასწავლებელთა ერთი ნაწილი მხოლოდ სავარჯიშოებით იფარგლება და შესწავლილ საკითხებს არ უკავშირებს საპროგრამო მხატვრულ ლიტერატურას, თავისუფალ თემას. ალბათ, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ მოსწავლეები გრამატიკული კატეგორიების ცოდნას ვერ უსადაგებენ ლიტერატურულ აზროვნებას.

როგორც ცნობილია, სხვათა სიტყვის ნაწილაკებს „მეთქი“, „თქო“, „ო“ სწავლობენ მეოთხე კლასში, მგვრამ მეოთხეკლასელთა წერის ნაშუშვერებში აშკარად შეინიშნება მათი უმართებულო ხმარება: „მინც თუ მიდიხარ, კაკოს ნუ დაენახვები, ის ბიჭი განანებს, ტყვიასავით დაუნდობელია“. ამ წინადადებაში მჭურმის დილოგი გაშინაარსებულია, სხვათა სიტყვის ნაწილაკი კი უგულვებელყოფილია. სასურველი იყო მოსწავლეს ეს წინადადება ირიბ ნათქვამად დაეწერა: „მეურმემ მხედარი გააფრთხილა, რომ ნათქვამად დაუნდობელ კაკოს არ დანახვებოდა, შეიძლება ენანებინა მასთან მისვლა“. მივიღეთ რთული ქვეწყობილი წინადადება. ჩეულებრივ, პირდაპირ ნათქვამს უსწრებს ან მოსდევს ავტორის სიტყვები, რომლებიც პირდაპირი ნათქვამიდან შესაბამისი წესებით გამოიყოფა. თუ ავტორის სიტყვები უსწრებს პირდაპირ ნათქვამს, მის შემდეგ იწერება ორი წერტილი, ამიტომ უნდა ყოფილიყო: „მეურმემ მხედარი გააფრთხილა: მინც თუ მიდიხარ, კაკოს ნუ დაენახვები, ის ბიჭი განანებს, ტყვიასავით დაუნდობელია“.

პირდაპირ ნათქვამთან სასეენ ნიშანთა მართებული ხმარება ნათქვამს უფრო ნათელსა და გასაგებს ხდის, მოსწავლეთა მეტყველებას ხვეწავს.

იგივე მდგომარეობაა ზმნისწინებისა და თანდებულების ხმარებისას. ზმნისწინების უმართებულო გამოყენება მეტყველებას გაუგებარს ხდის, ვერ აზუსტებს მოქმედების მიმართულებას. მოსწავლეთა ნაწერებში ვკითხულობთ: „ლექტენანტმა მათარიდან წყალი გადაღვარა და მდინარესთან მივიდა“. ან ასე: „...მდინარისაკენ გასწია“, და კიდევ: „მან მაშინვე მიაქცია ყურადღება მის დაწამებულ სახეს“. ამ წინადად-



ბაში მონაცვლეობს და-და გა-ზმნისწინი. უნდა იყოს: „მან მაშინვე მიაქცია დღეა მის გაწამებულ სახეს“.

თანდებულების უმართებულო ხმარება უფროსკლასელთა ნაწერებშიც შეინიშნება. მეცხრეკლასელი თავისუფალ თემში წერს: „სპექტაკლმა ჩემში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“. აქ ში თანდებულისი ფორმა უმართებულოდ არის ნახმარი, უნდა იყოს: „სპექტაკლმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“.

„მათ სიყვარულს წინ უდგას მშობლების სიხარბე ფულისათვის“. როგორც ცნობილია, — თვის თანდებულისი სახელი გარკვეულ ფუნქციურ სიახლოვეს ამჟღავნებს მი-თანდებულთან სახელთან, მაგრამ აქ, სადაც ზმნის სემანტიკით უფრო ხელშეწყობა მიმართულების ჩვენება, — თვით თანდებულს — მი თანდებული ცვლის, ამიტომ უნდა იყოს: „მათ სიყვარულს წინ უდგას მშობლების სიხარბე ფულისადმი“.

ქვემდებარისა და შემასმენლის შეუთანხმებლობა რიცხვში გვხვდება როგორც უმცროს, ისე უფროსკლასელთა ნაწერებში. „ჩვენი ხალხი სამშობლოს დასაცავად იბრძოდნენ“, — კვითხულობთ წერითს ნამუშევარში. ქვემდებარე კრებითი სახელით არის გადმოცემული, მას შემასმენელი მხოლოდით რიცხვში უნდა შეუთანხმდეს — „...ხალხი იბრძოდა“.

„მტკვარები მორწყულია სახელოვანი წინაპრების ოფლითა და სისხლით“. მოსწავლემ არ იცის, რომ საკუთარ სახელს მრავლობითი რიცხვი არა აქვს.

ქართულში, როგორც ცნობილია, ვითარებით ბრუნვის ნიშანია-ად(ა),-დ(ა), რომლის თანხმონებით ნაწილი-დ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ყრუვდება და ვლგულუბთ -ათ(ა),-თ(ა), მოსწავლეებისადმი სტუდენტების ნაწილი არ ითვალისწინებს ენობრივ ორთოგრაფიულ ნორმებს და წერს: „ღამეებს თეთრათ ათენებს“, „სოფლის გზაზე ურემი მიიმთ მიჭრიალებდა“, თეატრი უმსახიობოთ არ იქნება“.

ზოგჯერ, პირიქით, იქ, სადაც მრავლობითი რიცხვის ნიშანი „თ“ უნდა იყოს, ნაწერებში ვხვდებით „დ“-ს, მაგალითად „ძმებო, დავქუხოდ ნაღური“. ან კიდევ: „...და შემდარი ამ ქვეყნად მეფეცა ნუ გეგონებად!“.

გარდაუვალ ზმნებთან მეორე სერიაში ქვემდებარე სახელობის ბრუნვაში ღვას. დასავლეთ საქართველოს კილოებისათვის დამახასიათებელია სინტაქსური თავისებურება, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში „ეერგატული კონსტრუქციის“ სახელწოდებით არის ცნობილი — გარდაუვალ ზმნებთან ქვემდებარე მეორე სერიაში სახელობის ნაცვლად მოთხრობით ბრუნვაშია. სწორედ ასეთი შეცდომები გვხვდება მოსწავლეთა წერითს ნამუშევრებში. მაგალითად, „გერმანელმა მივიდა ონავარასთან და უთხრა“, „მან წყლიდან ამოვიდა და ონავარას დაუწყო ძახილი“, „წითელარმიელებმა გზას გაუღდნენ“.

რთული წინადადება მარტივ წინადადებათა ერთობლიობაა, რომლის ერთ ენობრივ მთლიანობად შემკვრელ საშუალებას ინტონაცია წარმოადგენს, რთული წინადადების სტრუქტურული და ფუნქციური მხარის შეგნებული ცოდნა წერითი და ზეპირი მეტყველების მაღალი კულტურის საწინდარია. რთულ წინადადებასა და მის სახეობებს პროგრამით მერვე კლასში სწავლობენ და მას თითქმის მთელი აკადემიური წელი ეთმობა. ამის მიუხედავად, მეცხრე-მეათე კლასელთა ნაწერებში იგრძნობა მაქვემდებარებელი კავშირების უმართებულოდ ხმარება, სიტყვათა შეუსაბამობა, რის გამოც დარღვეულია კავშირი გადმოსაცემ შინაარსსა და სათანადო გადმოსაცემ საშუალებას შორის.

ნაწერში კვითხულობთ: „ზოეტს მოსწონს მღვრიე, მშფოთვარე თერგი, იმიტომ რომ მასში ჰვრეტს ადამიანთა გავლიებული ცხოვრების სახეს“, უმჯობესი იყო, მოსწავლეს „რომ“ კავშირის ნაცვლად ეხმარა კავშირი „რადგან“. „ზოეტს მოსწონს მღვრიე, მშფოთვარე თერგი, რადგან მასში ჰვრეტს ადამიანთა გავლიებული ცხოვრგ-

ბის სახეს“. კითხვაზე — „რისთვის მოსწონს პოეტს მშფოთვარე თერგი?“ დამოკიდებული წინადადება უპასუხებს: „მოსწონს, რადგან მასში ჰერკულს ადამიანთა ბუნებრივი ბული ცხოვრების სახეს“.

„ნიკოლოზ ბარათაშვილი მზადაა მოშორდეს მეგობრებს, ნათესაებს, მამულს, სატრფოს, რომლის წიაღშიაც თავს ობლად გრძნობს“. ამ წინადადების წაკითხვისას იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს პოეტის სულით ობლობის დაძლევა მეგობრებთან, მამულთან, სატრფოსთან განშორებით არის შესაძლებელი. ასეთი ბუნდოვანება, ტექსტის უტოღინარობასთან ერთად, რთული წინადადების სტრუქტურული და ფუნქციური უტოღინარობითაც არის გამოწვეული. წვერ-კავშირი „რომლის“ მრავლობით რიცხვში უნდა იყოს, რადგან გამოხატავს რამდენიმე ერთგვარ წვერს (ირიბ დამატებას) და დამოკიდებულ წინადადებას აკავშირებს მთავართან. წინადადება შეიძლება ასე გასწორდეს: „ნიკოლოზ ბარათაშვილი მზადაა მოშორდეს მეგობრებს, ნათესაებს, მამულს, სატრფოს, რომელთა შორის თავს ობლად გრძნობს“.

ფუნქციური თვალსაზრისით, მთავარი წინადადების შინაარსი მოითხოვს მიზეზის გარემოების დამოკიდებულ წინადადებას, რადგან, კითხვაზე — „რატომ არის ნიკოლოზ ბარათაშვილი მზად მოშორდეს მეგობრებს. ნათესაებს, მამულს, სატრფოს?“ — დამოკიდებული წინადადება უპასუხებს: „მზადაა, რადგან მათ შორის თავს ობლად გრძნობს“. უნდა იყოს: „ნიკოლოზ ბარათაშვილი მზადაა მოშორდეს მეგობრებს, ნათესაებს, მამულს, სატრფოს, რადგან მათ შორის თავს ობლად გრძნობს“.

უზუსტობანი წინადადებებში განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების ხმარების დროსაც გვხვდება. ნაწერში ვკითხულობთ: „ლ. ქიაჩელმა ძალიან კარგად იცოდა, როგორც სისხლსაცე ტიპებისა და სახეების მძერწავმა, რომ მხატვრულ შემოქმედებაში იდეურობა ოსტატობის გარეშე გაუნაღლებელი თამასუქია“. ამ წინადადებაში „როგორც“ კავშირიანი დანართი უშუალოდ არ მოსდევს ასახსნელ სიტყვას. დარღვეულია სიტყვათა რიგი. უნდა იყოს: „ლ. ქიაჩელმა, როგორც სისხლსაცე ტიპებისა და სახეების მძერწავმა, ძალიან კარგად იცოდა, რომ მხატვრულ შემოქმედებაში იდეურობა ოსტატობის გარეშე გაუნაღლებელი თამასუქია“.

„რა თქმა უნდა სოლომონიც მუდლის აზრს იზიარებდა“. ჩართული წინადადებაში მძიმით არ არის გამოყოფილი.

დიდმა ენათმეცნიერმა ნიკო მარმა ჩვენს მშობლიურ ენას ასეთი შეფასება მისცა: „ქართული ენით გამოითქმება ყველაფერი, რის გამოთქმაც შეიძლება დედამიწის რომელიც ვნებათ ენით. არცერთ ენაზე რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში არ მოიბოვება აზრი, რომელიც ქართულმა ენამ სრულყოფილად ვერ გამოხატოს და მხატვრულად ვერ წარმოგვისახოს. ქართული ენა, განსაკუთრებით ცოცხალი ქართული ენა მაღალ-მხატვრულად წარმოსახავს ყოველ აზრს. ქართული იმდენად მდიდარია, რომ თავისი შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო მნიშვნელობის ენას წარმოადგენს“. ეს შეფასება გვაეალებს დიდი სიყვარულითა და სიფრთხილით მოვეპყრათ ჩვენს ენას, მშობლიურ ქართულს.

გულზარი ღინასანიძე

«ოტელოს» პირველი ქართული თარგმანის გამო



„ერთ კულტურას უფრო ფართოდ და ღრმად მეორე კულტურა შეიმეცნება. ესა თუ ის აზრი მთელი სიგრძე-სიგანით სხვა აზრთან ურთიერთობასა და ურთიერთ-შეხებაში აიხსნება: ამ აზრებს შორის იპართება დიალოგი. სწორედ ამ დროს ხდება შესაძლებელი ერთი კულტურის, ერთი აზრის კარჩაკეტილობისა და ცალმხრივობის გადალახვა. ჩვენ სხვის კულტურას ისეთ შეკითხვებს ვუსვამთ, როგორც მას თავისი თავისათვის არ დაუსვამს, და მასში ვეძებთ ისეთ პასუხს, რომლითაც ის ახლებურად წარმოგვიდგება, ახალ აზრობრივ სიღრმეებს წარმოგვიჩენს. თუ ჩვენი კულტურის მიმართ შეკითხვები არ გვექნება, მაშინ შემოქმედებითად ვერ გავივებთ სხვისსა. ორი კულტურის ასეთი დიალოგური შეხვედრით ისინი კი არ ერწყმიან ან ირვეიან ერთ-მანეთში, არამედ ამდიდრებენ ურთიერთს და იმავე დროს ინარჩუნებენ ერთიანობას და მთლიანობას“, მ. ბახტინის ამ სიტყვების მოყვანა იმისათვის დაგვიჭირდა, რომ ხაზ-გასმით აღვნიშნოთ, თუ რა პრობლემები წყდება მთარგმნელობითი მუშაობის დროს, როდესაც ერთი კულტურა მდიდრდება მეორე კულტურის წყალობით.

ამა თუ იმ ეპოქაში შესრულებული საუკეთესო თარგმანები ქართული ლიტერატურის კუთვნილება ხდება და ხელს უწყობს ეროვნული ლიტერატურის წინსვლას. ამ აზრის უდავო დადასტურებაა შექსპირის ქართული თარგმანები. XIX საუკუნეში მოწინავე ქართული საზოგადოება ცხოველ ინტერესს იჩენს შექსპირის შემოქმედებისადმი. ვახუთი „დროება“ ეროვნული სიამაყის გრძნობით აღნიშნავდა: „ესპანელებზე აღრე შექსპირი ქართველებს გვითარგმნიაო“.¹

შექსპირის ხსენება საქართველოში XVIII საუკუნიდან იწყება. მას მოიხსენიებს დავით ბატონიშვილი.² ამის შემდეგ არაფერი აღარ ისმის მე-19 საუკუნის 40-იან წლებამდე, როცა იწყება შექსპირის თარგმნა ქართულად. 1841 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილი გრ. ორბელიანს სწერდა, დიმიტრი ყიფიანმა შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ თარგმნაო.³ ეს პირველი ცნობაა შექსპირის ქართულად თარგმნის შესახებ. მას ქრონოლოგიურად წინ უსწრებს შექსპირის სხვა თარგმანები. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ „ოტელო“, გადათარგმნილი 1844 წელს სოფელ მეჯვრისხევში (მთარგმნელის ვინაობა უცნობია). ეს თარგმანი არ გამოქვეყნებულა, ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში № 1084-ით. პირველ გვერდზე გაკეთებული წარწერა გვაუწყებს, რომ ეს თარგმანი ყოფილ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის გადაუცია ბარბარე კონას ასულ ერისთავს. სხვადასხვა წყაროებში წააწყდებით მოსაზრებასაც, „რომ თარგმანი ეკუთვნის გიორგი ერისთავს“.⁴ ამ ვარაუდის გამო, დაგვებადა სურვილი დაგვედგინა, არის თუ არა ეს თარგმანი შესრულებული გიორგი ერისთავის მიერ. ამ ფაქტის დადგენით შექსპირის თარგმანის ისტორია ოთხი ათეული წლით უკან იწევს, რაც უინტერესო არ უნდა იყოს ქართული შექსპიროლოგიისათვის. მთარგმნელის ვინაობის გასარკვევად საჭირო შეიქმნა. გ. ერისთავის შემოქმედებითი გზის საფუძვლიანი შესწავლა.

გ. ერისთავი ცნობილია როგორც ნამდვილი ნოვატორი, ახალი გზის გამკაფავი ქართულ ლიტერატურაში, იგი არის რეალისტური კომედიის თეატრისა და ოსტატი, ქართული პროფესიული თეატრის სულისჩამდგმელი, მსახიობი, ჟურნალ „ცისკრის“ დამაარსებელი, რედაქტორი და გამომცემელი. „გ. ერისთავი 50-იან წლებში ვინაგებ-

და ქართული კულტურის, ქართველი ერის სულიერი ცხოვრების მაგისტრის გიორგი ერისთავის შრომების შესახებ

1832 წელს გიორგი ერისთავი შეთქმულების სხვა მთავარ მონაწილეებთან ერთად დააპატიმრეს. ცამეტი თვის პატიმრობის შემდეგ იგი გადაასახლეს ვილნოში. „გადასახლებაში ყოფნას გ. ერისთავისთვის უნაყოფოდ არ ჩიუვლია. მან შეისწავლა პოლონური ენა, გაეცნო ადამ მიცკევიჩის შემოქმედებას. ყველაფერმა ამან დადებითი გავლენა მოახდინა მის განვითარებასა და შემდგომ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე.“⁶ ამ პერიოდში გ. ერისთავი ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას: პოლონურ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, ა. მიცკევიჩის, ა. პუშკინის, ვ. პიუგოს, შილერის და სხვათა ლექსები, რომლებიც ენათესავებოდა მისი პოეზიის საერთო-რომანტიკულ ხასიათს. განსაკუთრებით ეს ითქმის ადამ მიცკევიჩის „პოლიგრამის“, „პოტოცკის საფლავეზე“.

1838 წლიდან გ. ერისთავი ახერხებს სამშობლოში შებრუნებით დაბრუნებას, საბოლოოდ კი იგი საქართველოში 1842 წელს ჩამოვიდა. ამ დროიდან მოყოლებული, გ. ერისთავი ერთ-ერთი მესვეურია ქართული თეატრისა, რომელიც ამ პერიოდში რეპერტუარის სიღარიბეს განიცდიდა. ამის გამო უცხოურ პიესებს თარგმნიდნენ, განსაკუთრებით გატაცებული იყვნენ შექსპირის დრამატურგით.

უცხოელი ავტორების რუსულიდან თარგმნა იმ დროისათვის უცხო არ იყო. შექსპირის ბევრი ნაწარმოებში თარგმნებოდა არა დედნიდან, არამედ რუსულიდან. „ოტელიოს“ ზემოხსენებული თარგმანიც შესრულებულია რუსულიდან პროზით. საეარაუღებელია, რომ მთარგმნელი გიორგი ერისთავი იყო.

ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტიც, რომ ჩიკაგოს ერთ-ერთ უნივერსიტეტში აღმოჩნდა „რომეო და ჯულიეტას“ ერისთავისეული თარგმანის ხელნაწერი.⁷ ეს ფაქტი პროფ. ნ. ყიასაშვილმა აღნიშნა.

გ. ერისთავის მთარგმნელობა რომ დამტკიცდეს, საჭიროა ამ საკითხის უფრო საფუძვლიანი გამოკვლევა, რაზეც მუშაობა გრძელდება.

ცინული კვლივით.

შენიშვნები

1. „დროება“, 1874 წ.
2. ტრიფონ რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, 1949 წ. გვ. 156.
3. კერძო წერილი, 1841 წ. 28 მაისი, ბარათაშვილი, თხზულებანი. თბ., 1945 წ. გვ. 79.
4. ქართული შექსპირიანი, 1964 წ. გვ. 131.
5. გ. ერისთავი, „თხზულებანი“, თბ., 1966 წ.
6. გ. ერისთავი, თხზულებანი, თბ. 1966 წ. გვ. 4.
7. ვახ. „კომუნისტი“, № 8, 1982 წ. ტექსტოლოგიის საკითხებზე.



მემედ აბაშიძის იუბილე თბილისში

ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის მემედ აბაშიძის დაბადების 110 წლისთავი მთელმა საქართველომ აღნიშნა.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, თუ როგორ იწინებეს აჭარის მშრომლებმა დიდი მამულიშვილის იუბილე. ბათუმიდან წემი საქართველოს დედაქალაქში გაგრძელდა. თბილისში ა. სორავას სახელობის მსახიობის სახლში გაიმართა დიდი საიუბილეო საღამო, რომელიც გასსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამეგობის მიღევანა ჯ. ჩარკვიანმა. მან თქვა:

— მემედ აბაშიძე, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი, ერთი იმათგანია, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე შეაღია მშობლიური მხარის ბედნიერებისათვის ბრძოლას, ვინც სიტყვით, საქმითა და მახვილი კალმით ემსახურებოდა თავისი ხალხის განათლებას, ბედნიერ მომავალს. მემედ აბაშიძე ერთი იმათგანია, ვინც იდეა დღევანდელი აჭარისა, მისი დღით-დღე მწარდი შესანიშნავი მიღწევების სათავეებთან.

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელმა მიღევანმა რუსთაველის პრემიის ლაურეატმა ფ. ხალვაშმა ილაპარაკა მ. აბაშიძის როლზე აჭარის მშრომელთა ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში, ქართული სიტყვის, ქართული მეტყველების აღორძინებაში.

გაბედული, მამაცი, მაღალი ერუდციის ადამიანი, რომელმაც მშობლიური ქართულის გარდა რამდენიმე უცხო ენაც იცოდა, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო აჭარის, მთელი საქართველოს მცხოვრებთა შორის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. — ასე დასასიათეს მ. აბაშიძე საღამოზე გამოსულმა ორატორებმა: სოციალის-

ტური შრომის გმირმა მწერალმა-აკადემიკოსმა გ. აბაშიძემ, მწერლებმა ი. რურუამ, ი. ქავჯარაძემ, ლ. სულაბერიძემ, საქართველოს სსრ სახალხო არტიტმა მ. სინიკაძემ, აჭარის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ლ. შარაშიძემ, პროფესორმა ი. სიხარულიძემ. ამაღლებებელი იყო ბათუმელი მოსწავლის, მ. აბაშიძის შვილთაშვილის დიანა აბაშიძის გამოხვლა. მან ილაპარაკა მ. აბაშიძის უფროს ვაჟზე მამულ აბაშიძეზე, რომელიც გმირულად დაიღუპა 1942 წელს ქერჩის დაცვისას. ფრონტიდან გამოგზავნილ თავის წერილებში იგი ითხოვდა, რომ ოქაზს მთელი დანაზოგი ფული გადაეცა თავდაცვის ფონდში.

ოქაზის ტრადიციებს ღირსეულად განაგრძობენ მ. აბაშიძის მემკვიდრენი. საღამოს ესწრებოდნენ მისი ქალიშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი ი. აბაშიძე, შვილიშვილები და შვილთაშვილები.

პოეტმა ვ. გორგანელმა წაიკითხა მ. აბაშიძისადმი მიძღვნილი ლექსი.

აჭარის ხელოვნების ოსტატთა და ანსამბლ „რუსთავის“ დიდი კონცერტით დამთავრდა მ. აბაშიძის დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიღვანი გ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჭანბერიძე, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მიღვანი ნ. გუგუნივა, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ტაკიძე.

* * *

რესპუბლიკის დედაქალაქის გლდანის რაიონმა მიიღო ქართველი ხალხის გაერთიანებისათვის მგზნებარე მებრძოლის,

მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მემედ აბაშიძის დაბადების 110 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმის ესტაფეტა. ამიერიდან მის სახელს ატარებს თბილისის ახალგაზრდა რაიონის ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალი.

ამ მოვლენისადმი მიძღვნილ მიტინგზე თავი მოიყარეს რაიონისა და ქალაქის ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა, აჭარიდან ჩამოსულმა სტუმრებმა. აქ მოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანაბერიძე, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. გუგუშავა, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ტაკიძე.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობას მდივანმა რ. მიმინოშვილმა, თბილისის № 80 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის პედაგოგმა ზ. ლორთქიფანიძემ თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს მემედ აბაშიძის უდიდესი წვლილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებისა და სწორი პოლიტიკური ორიენტაციის შემუშავების საქმეში.

მიტინგზე აგრეთვე სიტყვები წარმოთქმეს ვლადანის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ნიკოლაიშვილმა, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ფ. ხალვაშმა.

მიტინგი დამთავრდა. სამახსოვრო დღეს, რომელზეც წერია, რომ ქუჩას მიენიჭა ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მემედ აბაშიძის სახელი, მაღლიერი შთამომავალნი თავიგულებით ამკობენ.

მისხეთის მიწაზე

ტრადიციად დამკვიდრდა აჭარის მწერლების შეხვედრები მკითხველებთან განახლებული მისხეთის მიწა-წყალზე,

განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აჭარის მაღალმთიანი რაიონებიდან მოსულები დასახლდნენ.

წილს მისხეთის სტუმრები იყვნენ პოეტები ფრიდონ ხალვაში, მამია ვარშანიძე, შოთა როყვა, ზურაბ გორგილაძე, ჯემალ ქაიამაძე, შოთა ზოიძე, დავით თედორაძე.

— მეოთხთმეტე ხუთწლიდის დამღევამდე 180-ზე მეტი ოჯახი დამკვიდრდა აღდგენილ სოფლებში, — აღნიშნა მწერლებთან საუბრისას ადიგენის რაიონის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ჯემალ ნაკვიძიმე, — მომავალში 25 ნახოფლარსაც დაუბრუნდება სიცოცხლე. აღდგენილი სოფლების მშრომელთა წვლილი სასურსათო პროგრამის განხორციელებაში თვალსაჩინო ვაზდება.

იმავე დღეს მნიშვნელოვანი მოვლენის მოწმენი გახლნენ სტუმრები. სოფელ უღეში, ძველი ეკლესიის შენობაში ეთნოგრაფიული მუზეუმი გაიხსნა. საინტერესოა აქ წარმოდგენილი მისხეთის ყოფა-ცხოვრების ამსახველი ნიმუშები.

მუზეუმიდან სტუმარ-მასპინძლები სოფელ ზაზალოს ახალმშენებლობებს ეწვივნენ. აქ 28 სახლის მშენებლობა დამთავრების პროცესშია. ენ ნიშნავს, რომ მრავალრიცხოვან სოფელ უღეს მკვიდრთაგანი 28 ოჯახი ზაზალოს ბინადარი გახდება. მათ მომავალში სხვებიც შეუერთდებიან. აღდგენილ სოფელში დასახლების მსურველთა რიცხვი მატულობს.

შემდეგ მწერალთა ჯგუფი ეწვია ასპინძის რაიონს. სოფელ რუსთათან შეეგებნენ აჭარის მწერლებს მასპინძლები.

ხულოს რაიონიდან გადმოსაწლებული 78 ოჯახი ახლად აღორძინებულ უკვე საკუთარ სოფელ ივერიის კარიბჭესთან შეეგება მწერლებს. მასპინძელთაგან ყველაზე უმცროსი—წლინახერის ივერი იაკობიძე თავისი სოფლის თანატოლია. იგი პირველი ბავშვია, რომელიც ახალ სოფელში დაიბადა. პოეტებს გულთბილად მიესალმა სოფლის უზუცესი, 83 წლის მემედ ჩოგანე.

მან პოეტები მიიწვია თავისი შვილის ორსართულიან ღამაზე სახლში და ბედნიერი კაცის ღიმილით თქვა, რომ საძირკველის პირველი ქვა ამხანაგმა ელჟარდ შევარდნაძემ ჩადო, რომ ეს ექვსოთხიანი, ორსართულიანი კაპიტალური შენობა 45 დღეში აიგო.

— ახალ ჩამოსახლებულს ბინის ასაშენებლად დახმარების სახით ვაძლევთ ხესხად 4500 მანეთს, — თქვა პარტიის ასპინძის რაიონის პირველმა მდივანმა თენგიზ პატიაშვილმა.

იმავე დღეს ისტორიული ვარძიდან, საქართველოს სამხრეთით, აღორძინების პროცესში მყოფ ახალ სოფელს — მტკვარს ესტუმრა მწერალთა ჯგუფი, აქ ხულოს რაიონიდან, ჩამოყვანილი 30 ოჯახი საძირკველს უყრის ახალ სახლებს, აშენებს ბაღებს.

მესხეთის მიწაზე გატარებული დღეები აჭარის მწერალთა მომავალი ნაწარმოებების წამყვან თემად იქცევა.

„საბჭოთა აჭარა“ 50 წლისათ

გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“ არსებობის ნახევრასაუკუნოვან იუბილეს უთმობს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მშრომელთა კომუნისტური სულიერებით აღსაზრდელად ნაყოფიერი მუშაობისათვის, აჭარის ასს რესპუბლიკაში საგამომცემლო საქმის განვითარებაში დიდი წვლილისათვის და დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

ბევრი კარგი წიგნი დაიბეჭდა ამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე ბათუმში. ამ წიგნებთან ერთად უნდა აღინიშნოს ერთი კარგი წამოწყება — უკვე დაიბეჭდა რამდენიმე უძველესი საწარმოს, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ისტორია, მათი დღევანდელი მიღწევები, პერსპექტივები. მკითხველმა შეიყვარა „წიგნი შუქურების“ სერიით გამოცემული წიგნები, რომლებიც რესპუბლიკის მოწინავე აღამიანებზე, მათ ყოველ-

დღიურ საქმიანობაზე მოგვითხრობს. აქვე არ შეიძლება არ დავასახელოთ ფრიდონ ხალვაშის პოეტური კრებული „ასი მზე დედის გულისას“, რომელმაც რუსთაყვლის პრემია დაიმსახურა.

სოლქო გამომცემლობა თითქმის უნივერსალურია. აქ გამოდის მხატვრული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამხარეთმცოდნეო, თარგმნილი, განათლების, კულტურისაღმნი მიძღვნილი ლიტერატურა.

მიუხედავად მრავალდარგოვნებისა, სწორმა ტირაჟირებამ, ქაღალდისა და სხვა მასალების ეკონომიურმა ხარჯვამ, ხელნაწერის მოძრაობის გრაფიკის განუხრებლმა დაცვამ, შრომის სწორმა განიზიანებამ, დისციპლინამ, პარტიული და საბჭოთა ორგანოების საქმიანმა დახმარებამ გამომცემლობას შეაძლევინა, რომ აგერ უკვე მეშვიდე წელია „საბჭოთა აჭარა“ უდოცაციოდ მუშაობს.

უურნალ „ჭიროხის“ რედაქცია და მისი მკითხველები გამომცემლობა „საბჭოთა აჭარას“ (დირექტორი ა. ანდლედიანი) მსურვალედ უდოცავენ ნახევრასაუკუნოვან იუბილეს და ახალ წარმატებებს უსურვებენ.

* * *

ახლანდელ გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ დაბეჭდა ჭემალ ჭაყულის ისტორიული რომანი „მუშაჯირი“.

რომანში ასახულია 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი და მისი შედეგები, ოსმალთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლება და დედა-სამშობლოსთან დაბრუნება, რაც უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო არა მარტო აჭარის, არამედ მთელი ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

წიგნის ანოტაცია მკითხველებს აუწყებს, რომ „რომანის პირველი ნაწილი სახელწოდებით „მზე მალა იქნება“ დაიბეჭდა 1969 წელს, 1971 წელს გამოვიდა ორივე ნაწილი ერთად. 1973 წელს

კი რომანი რუსულ ენაზე გამოსცა „სო-
ვეტსკი პისატელმა“.

ქ. ჭაუელის რომანი მკითხველებს აც-
ნობს აჭარის ცხოვრების იმ პერიოდს,
შუბაჯირობა რომ წარმოიშვა.

„ათვინიერებენ მიმინოს“

ხეზონის პოლო პრემიერად ი. ჭავ-
ჭავაძის სახელობის ბათუმის თეატრმა
მაყურებელს უჩვენა ი. თაბუკაშვილის
პიესა „ათვინიერებენ მიმინოს“.

სპექტაკლი დადგა მ. ლებანიძემ, მხა-
ტვრულად გააუორმა ი. კუხიანიძემ,

სცენური პლასტიკა ეკუთვნის საქართვე-
ლოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ
მოდერატორს, საქართველოს კომკავშირისა
და კ. მარჯანიშვილის სახელობის პრე-
მიების ლაურეატს ა. შალიკაშვილს.

როლებს ასრულებდნენ: საქართვე-
ლოს სსრ დამსახურებული არტისტები
ე. გოვიბერიძე, ი. ცანავა, საქართველოს
სსრ დამსახურებული არტისტი ც. აბუა-
ნიძე, აჭარის ასსრ დამსახურებული არ-
ტისტი რ. კაკაურიძე, მსახიობები ლ.
აბულაძე, ბ. მუჯანაძე, შ. ბეჟანიძე, კ.
კობალაძე, ნ. თავართქილაძე, დ. მუგ-
რელიძე, ა. სულიაური, ლ. ზაქარიაძე,
ა. ქარჩავა, ნ. ძიძიგური და სხვები.

მთავარი რედაქტორი ალექსანდრე სამსონიანი

სარედაქციო კოლეგია:

ბაზილ ხაველიანი, ბიორგი ბანიჩილაძე, ზურაბ გორგოლაძე, მამია
მარშანიძე (პასუხისმგებელი მდივანი), შოთა ზომიკა, დავით თედორაძე,
ბიორგი ხალაშვილი, ჯეგალ ქათამაძე, ალექსანდრე ჩხაიძე, ფრიდონ
ხალვაში, დავით სხუთაიშვილი, ჯეგალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21. ტელ. 3-33-71

გადაეცა წარმოებას 6. 8. 84, ხელმოწერილია დასაბუქდალ 21. 8. 84, საგამო-
მცემლო თაბახი 5, შეკვეთის № 2522 ემ 00667, ქალაქის ზომი
60X90¹/₁₆, ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო
გაერთიანება, ბათუმი, ლექსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузинской ССР по делам изда-
тельств, полиграфии и книжной торговли. Полиграфическое
производственное объединение Аджарской АССР. Батуми,
ул. Р. Люксембург, 20.

6 70/121



8260 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118